პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კაპოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთ-ჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ავსტრიელ მენშევიკების და ფაშისტების შეთანხმება დემონსტრაციის „ვინერნეიშტადტში“ ჩატარების შესახებ.
- ვარშავაში გაიხსნა შრომის საერთაშორისო ბიუროს სესია.
- ფოსტის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა ჩინეთში.
- ბრიანის თათბირი საფრანგეთის ჯარების მთავარსარდალთან რეინის ოლქში.
- ბერლინის პრესა პუანკარეს სიტყვის შესახებ.
- ავსტრალიის დოკერების გაფიცვა შეწყდა.
- ამანულა-ხანის ახალი რეფორმები.

შაბათი, 6 ოქტომბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 232 (2275)

კომუნისტი
გრძელდება ხელისმოწერა ოქტომბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

პარტიის დასაყრდენი ძალა სოფლად

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილებაში, რომელიც შეეხება საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციების მორიგ ამოცანებს, სოფლად მუშაობის შესახებ ნათქვამია შემდეგი: „სოფლად მუშაობას ჯერ კიდევ ახლავს მრავალი დიდი ნაკლი. კერძოდ სრულებით არ არის საკმაო ის ყურადღება, რომელიც ექცევა მასების ჩაბმას საბჭოთა პრაქტიკულ მშენებლობაში.

აღნიშნავს რა, რომ ცალკე ორგანიზაციებს არ მოეპოვებათ მტკიცე ხაზი ღარიბ გლეხთა შორის მუშაობაში და კულაკების გავლენასთან ბრძოლის საქმეში (არ არის შესწავლილი სოფლის სოციალურ ფენებად დანაწილების საკითხი, ადგილი აქვს კულაკის როლის მიფუჩეჩებას), ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა მომავალში საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშაობის ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად დასახულ იქნეს ღარიბ გლეხების და სოფლის მოჯამაგირეების ორგანიზაცია“.

სოფლად მუშაობის დეფექტებზე განსაკუთრებით დაწვრილებით შეაჩერა თავისი ყურადღება საქართველოს კომპარტიის ცკას მეოთხე პლენუმმაც.

იმისათვის, რომ ახალი სოფლის მშენებლობა წარმატებით განვითარდეს, სხვა მრავალ ხელშემწყობ პირობებთან ერთად საჭიროა მუშაობა პარტიის და ხელისუფლების პოლიტიკის გამტარებელ კადრების გასაძლიერებლად. ასეთი კადრები ჩვენს სოფელში საკმაოზე მეტად მოიძებნება. მაგრამ მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ძალები ჯერ-ჯერობით ბევრ ადგილებში მოკლებულია სათანადო ხელმძღვანელობას, ორგანიზაციულად დარაზმული არ არის და, მაშასადამე, არ წარმოადგენს საზოგადოებრივად აქტიურ ძალას.

საქართველოს კომპარტიის ცკას მდივანი ამხ. კახიანი, თავის სიტყვაში ცკას მეოთხე პლენუმზე, ამის შესახებ, სხვათა შორის, შემდეგს ამბობს: „როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სოფლის მეურნეობის დარგში ამოცანათა შესრულების შესახებ, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ამას ვერ განვახორციელებთ, თუ არ გვეყოლება ის ძალა, რომელზედაც ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთ სოფელში. ეს ძალა კი არის ღატაკობა“!

საჭიროა ვიკითხოთ, რა არის გაკეთებული სოფლად პარტიის მთავარ დასაყრდენ ძალის, ღატაკობის ორგანიზაციისათვის? უნდა პირდაპირ ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ ბევრზე-ბევრი ნაკლი გვაქვს.

როგორია ის ღონისძიებები, რომელთაც საჭიროა მივმართოთ, რომ მუშაობა ღარიბ გლეხთა ორგანიზაციების გასაძლიერებლად, სათანადო სიმაღლეზე დადგეს. პირველყოვლისა აუცილებელია ნახევრად ლიკვიდატორულ ფსიქოლოგიურ განწყობილების ძირფესვიანად ამოფხვრა, რომელიც ამ დარგში აქა-იქ კიდევ არის. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები უნდა გაიმსჭვალონ იმის სრული შეგნებით, თუ რამდენად დიდმნიშვნელოვანია სოფლის ღარიბ - ღატაკთა ორგანიზაციის საქმე. საჭიროა საბოლოოდ დაძლეულ იქნას კულაკის ანტისაბჭოთა როლის მიფუჩეჩება.

არის ისეთი რაიონები, სადაც ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას ღარიბთა შორის მუშაობის აუცილებლობა სათანადოთ ვერ შეუფასებიათ, სადაც ის არ მიაჩნიათ დამოუკიდებელ დიდმნიშვნელოვან ამოცანად. მათი რაიონი თითქმის მთლიანად ღარიბ გლეხკაცობითაა დასახლებული. მაშასადამე, ღატაკთა ორგანიზაცია როგორც სპეციფიური, უაღრესი მნიშვნელობის ამოცანა თავისთავად ჰკარგავს აქტუალობას. ასეთ გადახრებს ღარიბთა შორის მუშაობის დარგში სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ. იქ, სადაც სჭარბობს ღარიბი გლეხკაცობა, უფრო მეტი ხელსაყრელი პირობები იქმნება მოჯამაგირეთა და ღატაკ გლეხკაცობის გაერთიანებისათვის.

თავისთავად ცხადია, ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა დიდ ორგანიზაციულ უნარს და პოლიტიკურ წინდახედულობას მოითხოვს. ერთი მხრივ აუცილებელია, რომ ღარიბთა ჯგუფები მტკიცე შემაკავშირებელ საშუალებას წარმოადგენდნენ ხელისუფლებისა და საშუალო გლეხკაცობის შორის, მეორე მხრივ საჭიროა სასტიკად დაცულ იქნას ღარიბ გლეხთა ორგანიზაციების კლასობრივი სახე, რომ არ დაიკარგოს საზღვარი ღატაკ გლეხობასა და სოფლის სხვა სოციალურ ფენებს შორის. ამას კი ბევრგან აქვს ადგილი.

წინდაწინვე ცხადია, რომ ღარიბთა შორის მუშაობას ყოველგვარ წინააღმდეგობას გაუწევენ სოფლის ყველა ჯურის ანტისაბჭოთა ელემენტები. ისინი თვითეულ შეცდომას, რომელსაც დაუშვებენ ამ დარგში ადგილობრივი ორგანიზაციები, გამოიყენებენ იმისათვის, რომ სახელი გაუტეხონ ღარიბების შორის მუშაობას და როგორმე ჩაშალონ ის. ასეთმა მდგომარეობამ არ უნდა შეუშალოს ხელი მუშაობის გაღრმავებას ღარიბ გლეხთა შორის.

ღარიბთა ორგანიზაციულად დარაზმვა უნდა მიმდინარეობდეს მათი პოლიტიკურად და ეკონომიურად შეკავშირების გზით. ღარიბთა ჯგუფები მხოლოდ მაშინ იქნება ცხოველმყოფელი, როცა ამ ჯგუფებს გარდა პოლიტიკურ მნიშვნელობისა, მიეცემა შესაფერი ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობაში. აქ კიდევ და კიდევ ისმება ჩვენს წინაშე საკითხი სოფლის კოლექტივიზაციის შესახებ. იმისათვის, რომ ღარიბ გლეხკაცობის კოლექტიურად გაერთიანება ჯანსაღ ნიადაგზე დადგეს, საჭიროა მთელი ადგილობრივი პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა ამ საქმეში. ჯერ-ჯერობით ღარიბთა კოლექტივიზაციის დარგში დიდი მიღწევებით ვერ დავიკვეხნით. ამ მხრივ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლის კოლექტიურად გარდაქმნის და გლეხის მეურნეობის მექანიზაციის საქმეს. და ეს ახალი სოფლის მშენებლობა უშუალოდ ებჯინება ღარიბთა ორგანიზაციის საკითხს. ეს უნდა კარგად ახსოვდეს ადგილობრივ ორგანიზაციებს. აქედან ისინი თავიანთ ყოველდღიურ მუშაობისათვის სათანადო პრაქტიკულ დასკვნას უნდა აკეთებდნენ.

ბრიანის პოლიტიკა

ფრაზებისა, დაპირებისა, მოტყუებისა და ილიუზიების ქვიშაზე აგებული ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური პაციფიზმი სასტიკად დამარცხდა ჟენევაში. ბრიანი სიტყვის ოსტატია. მას შეუძლია დაპირებათა კოშკი აგოს და ყველა სიცრუის ბადეში გაახვიოს. თავაზიანი სიტყვებითა და დიპლომატიური ხრიკებით იგი ატყუებდა გერმანელებს ორი წლის განმავლობაში და ასაზრდოებდა მათ ნახევარ-ნახევარ დაპირებებით, სიტყვის გადაკვრით. მაგრამ ბრიანმა სულ სხვა კილოზე დაიწყო ლაპარაკი, როცა ჯერი მიდგა ამ დაპირებათა განხორციელებაზე და როცა გერმანიამ სურვილი გამოსთქვა, რომ ბოლოს და ბოლოს სიტყვა საქმედ ქცეულიყო, როცა მან მოითხოვა, ლოკარნოში აღიარებული ახალი პოლიტიკის თანახმად, საფრანგეთს პირველი ნაბიჯი გადაედგა ყოფილ მებრძოლ მხარეთა მოსარიგებლად. ბრიანმა მაშინვე პირში ბურთი ჩასჩარა პრეტენზიან თანამოსაუბრეს და აგრძნობინა, რომ საფრანგეთი გამარჯვებულია, ხოლო გერმანია დამარცხებულთა ქვეყანაა. ამიტომ მხოლოდ საფრანგეთს აქვს თავის საზღვრების უზრუნველყოფისა და გამაგრების უფლება, გერმანია კი უნდა დასჯერდეს მცირე არმიას, რომელიც მას მოკავშირეებმა უწყალობეს გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატის დაწყნარებისათვის. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ გერმანიის არმია შესდგება 100.000 კაცისაგან, რომელთა შორისაც სჭარბობს საკადრო ან ოფიცერთა ელემენტი. სამაგიეროდ საფრანგეთს ჰყავს 106.000 ასეთივე ელემენტი, გარდა ამისა 200.000 ყოველწლიურად გაწვეული ჯარისკაცი, 150.000 კოლონიალური ჯარის კაცი, ხოლო სულ 700.000-იანი არმია. ამასთანავე გერმანიას უფლება არა აქვს გაიჩინოს სამხედრო ავიაცია, მძიმე არტილერია, აგოს ციხე, სიმაგრეები, შექმნას გენერალური შტაბი და სხვა. ყოველივე ეს საფრანგეთის იმპერიალიზმს საკმაოდ არ მიაჩნია და მან ჟენევის პაციფისტის ბრიანის პირით უკმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ გერმანია თვალსაჩინოდ აძლიერებს თავის სახალხო მეურნეობას, რაც მისთვის ხელსაყრელ მომენტად გადაიქცევა, თუ ომი დაიწყო. უეჭველია, გერმანიის აღმშენებლობითი მუშაობა ძალიან არ ეჭაშნიკება ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმს... მშვიდობიანობის კომედიანტებს, რომლებიც ვითომდა იბრძოდნენ ცივილიზაციისათვის, უფლება-სამართლიანობისათვის, მილიტარიზმის სრული მოსპობისათვის, სურვილი აქვთ ხვედრად არგუნონ გერმანიის ხალხს მარადი უძლურება და მარადი მონობა. მთავრობანი, რომლებმაც ეს-ეს არის ხელი მოაწერეს ომის საუკუნო შეჩვენების პაქტს, ახლა თავისი ბელადის ბრიანის სახით ლამობენ დაამტკიცონ, რომ განიარაღება მოუხერხებელია და ყველა ხალხს სამუდამოდ ის უწერია, რომ იარაღით აღჭურვილი ერთ-მეორის პირისპირ იდგეს.

ხოლო უკეთესად რომ დაასაბუთოს მუდმივი შეიარაღების საჭიროება, ბრიანმა ნამდვილი ლაშქრობა დაიწყო საბჭოების წინააღმდეგ და მათ შეუსაბამო ბრალდება წაუყენა — მილიტარისტობა დასწამა. საბჭოებს, რომლებმაც ორიოდ-სამიოდე წლის განმავლობაში მსოფლიო კაპიტალის 14 შეიარაღებული თავდასხმა განიცადეს, უფლება არა აქვთ, ყოფილი ნახევრად-ანარქისტი ბრიანის აზრით, თავდასაცავი ზომები მიიღონ თავით-ფეხებამდე შეიარაღებული იმპერიალისტების წინააღმდეგ. საბჭოების წინააღმდეგ გამოსვლით ბრიანმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა (რასაკვირველია, ინგლისის თანხმობით) კონტრრევოლიუციის ბელადობაზე. ნახევარ საუკუნის წინათ, ნაპოლეონის ომების შემდეგ, შეიქმნა საღმრთო კავშირი; იგიც ევროპის მშვიდობიანობის დასაცავად დაარსდა, მაგრამ უკიდურეს კონტრ-რევოლიუციონურ კავშირად გადაიქცა იმ ერების წინააღმდეგ, რომლებიც ესწრაფოდნენ პოლიტიკურ თავისუფლებას. საღმრთო კავშირი ერთა ლიგის პირდაპირი წინამორბედია; მან ახლა ნიღაბი ჩამოიგლიჯა და მოუწოდებს თავის მიმდევრებს, შეებრძოლონ მუშათა კლასს, რომელიც ცდილობს განთავისუფლდეს კაპიტალისტური უღლისაგან. ეს უკვე ბოლშევიკების ეჭვი აღარ არის, არამედ ერთა ლიგის უდიდესი ბელადის სიტყვაში ოფიციალურად აღნუსხული ფაქტია.

საინტერესოა, რომ ბრიანის სიტყვის დროს დაიბეჭდა საფრანგეთის გენერალური შტაბის საიდუმლო გეგმა მომავალი რევოლიუციის ჩაქრობის შესახებ. თურმე, ივნისში გაიმართა სამხედრო საბჭოს თათბირი პარიზში. საბჭოს უნდა შეემუშავებინა ზომები იმ შემთხვევისათვის, თუ აჯანყება მოხდება საფრანგეთის რევოლიუციონურ დედაქალაქში. ერთმანეთს შეეჯახა ორი პროექტი. ერთნი ამბობდნენ, რომ რევოლიუციასთან საბრძოლველად ჯარებმა თვით პარიზში უნდა მოიყარონ თავი.

ამ აზრს არ იზიარებდა გენერალური საბჭო, რომელსაც ჯერ კიდევ არ დავიწყებია პარიზის კომუნის სისხლის ღვრით ჩაქრობა. ახლაც, მისი აზრით, საჭიროა პარიზის დატოვება რევოლიუციონერების ხელში და ვერსალში დაბანაკება, რომ იქიდან ეძგეროს რევოლიუციონურ პარიზს და ძირიან-ბუდიანად ამოხოცოს მთელი მისი რევოლიუციონური მოსახლეობა.

ამ გეგმის ერთ-ერთი საბუთია ჯარისკაცების დაძმობილების შიში რევოლიუციონერებთან. ამგვარად, საფრანგეთის მუშათა კლასმა იცის კაპიტალისტების განზრახვა მის მიმართ.

ყოველივე ეს სრულებითაც ხელს არ უშლის საფრანგეთის მუშათა კლასს სისტემატიურად ებრძოლოს კაპიტალისტურ ექსპლოატაციას და იმპერიალისტურ ძარცვა-გლეჯას, მარტო უკანასკნელ თვეს საფრანგეთში 100 გაფიცვაზე მეტი იყო, რომელთა უმრავლესობა გამარჯვებით დამთავრდა. ახლა სწარმოებს ჩრდილოეთ საფრანგეთის ფეიქართა გრანდიოზული ბრძოლა, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის გადიდებას. საფრანგეთის მთავრობა ყოველნაირ ზომას ხმარობს, რომ მუშათა მოძრაობამ არალეგალური ხასიათი მიიღოს. ის ხელს უშლის ყოველგვარ მშვიდობიან მანიფესტაციებს. მაგრამ იგი ვერ მოახერხებს ხელი შეუშალოს ეკონომიურ ბრძოლას, კაპიტალის ბატონობის ამ ნორმალურ თანამგზავრს. ამ გზაზე დაბრკოლებათა შექმნას ცდილობენ ბატონი რეფორმისტები, კაპიტალის გულმოდგინე თანაშემწენი. მათი ბელადი ჟუო ახლა ჟენევაშია მოკალათებული და ბრიანს სოლიდარობას უცხადებს. ამასვე სჩადის ბონკური, სოციალისტ-რეფორმისტების ბელადი. მომავალ ბრძოლაში საფრანგეთის მუშათა კლასი გაიგებს მათ ნამდვილ ზნესა და მიხვდება, თუ ვინ არიან მისი ნამდვილი მეგობრები.

ხ. როპოპორტი.

პარიზი.

პროგრამის მიღება მუშათა პარტიის ყრილობაზე

მემარცხენეფრთა პროგრამას უწოდებს „სასწრაფო დახმარების კარეტას კაპიტალიზმის გადასარჩენად“

ბენეში ჩეხო-სლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ

3 ოქტომბერს გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა ლოძის საფეიქრო მრეწველობაში

ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობა

კამათი პროგრამის შესახებ

ლონდონი, 4 ოქტომბერი. ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობა ბირმინგამში იხილავდა პროგრამის პროექტს. კამათში პირველ ორატორად გამოვიდა **მაკდონალდი,** რომელმაც შეიტანა წინადადება, რომ ყრილობას მთლიანად მიეღო პროგრამა. მაკდონალდის შემდეგ გამოვიდა დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ლიდერი **მექსტონი.** მექსტონი იმ ცნობილი პლატფორმის ავტორია, რომელიც ჰგმობს მუშათა პარტიის მემარჯვენე ფრთის პოლიტიკას. მექსტონის ტრიბუნაზე გამოჩენას ტაშით შეხვდნენ.

„პროგრამის ავტორები — განაცხადა მექსტონმა,—ფიქრობენ სოციალიზმზე გადასვლას ნელი, ხანგრძლივი და მშვიდობიანი გზით, რომელიც საპარლამენტო მეთოდებით უნდა განხორციელდეს. მაგრამ მუშათა პარტიის მთავრობას არავინ მისცემს საშუალებას ასეთი გზით წავიდეს სოციალიზმისაკენ. მუშათა პარტიამ რომ, კომუნისტების დევნის ნაცვლად, სცადოს ბრძოლის დაწყება კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მომავალ არჩევნებში იგი გარკვეულ უმრავლესობას მიიღებს“.

მექსტონმა ვერ ჩამოაყალიბა მემარცხენე ფრთის დადებითი კონტრთეზისები. მუშათა პარტიის აღმასკომის სახელით გამოსულმა **მავრისონმა** განაცხადა—მექსტონის გამოსვლა დაგვიანებული და უნაყოფოაო. მან გესლიანად უსაყვედურა მექსტონს, რომ ეს უკანასკნელი წინააღმდეგი არ იყო იმ რეზოლიუციისა, რომელიც ითვალისწინებს კომუნისტების განდევნას მუშათა პარტიიდან.

მემარცხენე ფრთამ დემონსტრატიულად შეიტანა წინადადება პროგრამის მთლიანად უარყოფის შესახებ. მემარცხენე დელეგატმა **ბროუნმა** მოხერხებულად **გამოაამჟღავნა მუშათა პარტიის პროგრამის ლიბერალური შინაარსი.**

„ეს არის არა სოციალიზმის პროგრამა,—განაცხადა ბროუნმა, — **არამედ ეტლი, რომელმაც სასწრაფო დახმარება უნდა გაუწიოს კაპიტალიზმს“-ო.**

ყრილობამ კენჭის უყრელად და მთლიანად მიიღო პროგრამა და შემდეგ გადავიდა მის ნაწილ-ნაწილ განხილვაზე. (ადს).

ნევილ ჩემბერლენი მაკდონალდის „დემოკრატიის“ შესახებ

ლონდონი, 4 ოქტომბერი. ჯანმრთელობის მინისტრმა **ნევილ ჩემბერლენმა** (საგარეო საქმეთა მინისტრის ძმა) ეჯბესტონში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც პარალელი გაიყვანა კონსერვატორებისა და მუშათა პარტიის ყრილობებს შორის. „სასაცილოა განაცხადა ჩემბერლენმა, — **რომ მაკდონალდი კონსერვატორებს უკიჟინებს მთლიანობის უქონლობას, მაშინ, როდესაც მისი საკუთარი მეთოდი მთლიანობის უზრუნველსაყოფად მდგომარეობს იმაში, რომ ის თავიდანვე სდევნის ყოველგვარ ოპოზიციას. ეს კი ბევრად უფრო ჰგავს დიქტატურას, ვიდრე პარტიის ნამდვილ დემოკრატიას“.**(ადს)

ახალი აღმასრულებელი კომიტეტი

ბირმინგამი, 4 ოქტომბერი. მუშათა პარტიის ყრილობაზე არჩეულ იქნა პარტიის ახალი აღმასკომი, რომელშიაც შევიდნენ: **ლენსბერი, კლაინსი, მოსლი, ტრეველიანი, კრეპში, ხერსტი, ხეტჩინსონი, მორისონი, სიუზანა ლაურენსი, ელენ ვილკინსონი.** აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **მორისონი.** (ადს).

კელოგის პაქტი და საბჭოთა კავშირი

კელოგის განცხადება

ვაშინგტონი, 4 ოქტომბერი. 4 ოქტომ[illegible] კელოგს,—რატომ არ გამოაქვეყნა სახელმწიფო დეპარტამენტმა ის აქტი, რომლითაც საბჭოთა კავშირი კელოგის პაქტს შეუერთდა და რომელიც დეპარტამენტმა წარსულ კვირას მიიღო. კელოგმა მიუგო:

„ის, რომ საბჭოთა კავშირი პაქტს შეუერთდა, გამოქვეყნდა 1-ლ სექტემბერს, ამიტომ შეერთების აქტის მიღება უმნიშვნელო მოვლენად მიგვაჩნია“ (პრესის აზრით, კელოგის განცხადება სწორე არ არის, ვინაიდან ამერიკელ პრესას მუდამ ძალიან აინტერესებდა ყველაფერი ის, რაც შეეხებოდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის პირველი ოფიციალური ცნობის გამოქვეყნებას ამერიკის მთავრობის მიერ)

დეპარტამენტმა საბჭოთა კავშირის შეერთების აქტის ტექსტი გაზეთებს დაუგზავნა „დეკლარაციის“ სათაურით. შეკითხვაზე—რატომ დეპარტამენტმა არ გამოაქვეყნა ის დოკუმენტები, რომლებიც ამ აქტს აქვს დართული, კელოგმა სთქვა: „აქტს დართული აქვს მხოლოდ ლიტვინოვის ნოტა პაქტის ნაკლთა შესახებ. ამ ნოტის ტექსტი საბჭოთა მთავრობამ უკვე გამოაქვეყნა“.

3 ოქტომბერს პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს კელოგმა განაცხადა, რომ ნოტას არავითარი დოკუმენტი არა აქვს დართული. ამის შემდეგ დეპარტამენტის მოხელეებმა კელოგის ყურადღება მიაქციეს ლიტვინოვის ნოტას, რომლის გამოქვეყნებაც ამჟამად დე[illegible] პარლამენტს, როგორც იტყობა, ზოგიერთი [illegible] (ადს).

ნიუ-იორკი, 4 სექტემბერი. პრესა აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა მიიღო აქტი საბჭოთა კავშირის შეერთების შესახებ. ზოგიერთი გაზეთი გადმოგვცემს კელოგის ზეპირ შენიშვნებს 4 ოქტომბერს, პრესის წარმომადგენელთა მიღების დროს. კელოგმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის შეერთების აქტს თან არ ახლავს არავითარი შენიშვნა და ახსნა-განმარტებათ. კელოგმა, ალბად, არ იცოდა საქმის ვითარება. დეპარტამენტში საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს აცნობეს, რომ საფრანგეთის ელჩმა გადასცა ლიტვინოვის ნოტა შეერთების შესახებ.

იუწყებიან, რომ საბჭოთა კავშირის შეერთების საკითხს განაგებს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი კასტლი, რითაც, ალბად, აიხსნება ის, რომ კელოგმა არ იცოდა საქმის ვითარება.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნ“ ეხება ბორას მიერ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ კელოგის პაქტის რატიფიკაცია სენატის მიერ ობიექტურად გულისხმობს საბჭოთა მთავრობის ცნობას. გაზეთი წინადადებას იძლევა განხილულ იქნეს სენატში ანგარიში კომუნისტების მოქმედების შესახებ შეერთებულ შტატებში და აგრეთვე ნიკარაგუაში. გაზეთის ეს წინადადება, აშკარაა, გამოწვეულია სურვილით წინააღმდეგობა გაუწიოს საბჭოთა კავშირის ცნობას.

კელოგს არა სურს გამოსთქვას თავისი აზრი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. (ადს).

ბენეშის განცხადება

საბჭ. კავშირთან მოლაპარაკების დაწყების წინ

პრაღა, 4 ოქტომბერი. ჩეხო-სლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბენეშმა დეპუტატთა პალატისა და სენატის საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე წარმოსთქვა სიტყვა საგარეო პოლიტიკის შესახებ. თავის სიტყვაში ბენეშმა, სხვათა შორის, განაცხადა, რომ **მთავრობის დაწესებულებები ამჟამად ჰკრებენ მასალას საბჭოთა კავშირთან ეკონომიური მოლაპარაკების დასაწყებად. იმედი მაქვს, ეს მოლაპარაკება მალე დაიწყებაო.** (ადს).

ბერლინის პრესა პუანკარეს სიტყვის შესახებ

ბერლინი, 4 ოქტომბერი. გერმანიის დემოკრატიულ პრესას შამბერში პუანკარეს მიერ წარმოთქმული სიტყვა „მშვიდობიან“ სიტყვად მიაჩნია. პრესის აზრით, ეს სიტყვა მომავალი მოლაპარაკების (რეინის ოლქის ევაკუაციის შესახებ) საიმედო წინასიტყვაობაა. მემარჯვენე პრესის აზრით კი, პირიქით, პუანკარეს სიტყვა მორიგი გამოსვლაა გერმანიის წინააღმდეგ და გამართლება ბრიანის იმ ქვეითი ანტიგერმანული სიტყვის, რომელიც მან ჟენევაში წარმოსთქვა.

ცენტრის ორგანო „გერმანია“, აგრეთვე „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგ“-ი, როგორც ეტყობა, სხვის ზეგავლენით დაწერილ სტატიებში აკრიტიკებენ პუანკარეს სიტყვას. (ადს).

ავსტრიელ მენშევიკების შეთანხმება ფაშისტებთან

ვენა, 4 ოქტომბერი. ქვემო-ავსტრიის საოლქო მთავრობის თავმჯდომარეს ურეშსა და სოციალ-დემოკრატებისა და ჰეიმვერის (ფაშისტების) წარმომადგენლებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება 7 ოქტომბრისათვის ვინერ ნეიშტადტში დანიშნული დემონსტრაციების შესახებ. შეტაკების თავიდან ასაცილებლად, სოციალ-დემოკრატებისა და ჰეიმვერის დემონსტრაციები მოხდება სხვადასხვა საათებში და სხვადასხვა მარშრუტით (ადს).

ფარისევლური შეკითხვა

ვენა, 4 ოქტომბერი. პარლამენტში ირჩეოდა სოციალ-დემოკრატების მიერ შეტანილი სასწრაფო შეკითხვა, რომელშიაც სოციალ-დემოკრატები მოითხოვდნენ ავსტრიის „შინაგან განიარაღებას“. შეკითხვა დაასაბუთა რენერმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატები მზად არიან შევიდნენ კოალიციაში ბურჟუაზიულ პარტიებთან. რენერი მოუწოდებდა ბურჟუაზიულ პარტიებს, „სოციალ-დემოკრატებთან ერთად უზრუნველჰყონ სამოქალაქო მშვიდობიანობა“. რენერი შეეხო „ჰეიმვერის“ ორგანიზაციების მუშაობას და აღნიშნა, რომ ამ ორგანიზაციებს ფულს აძლევენ გერმანელები, რომლებიც სცდილობენ ჰეიმვერის დახმარებით [illegible] მუშათა კლასის სოციალური მიღწევ[illegible] რობა კეთილად არის განწყობილი ჰეიმვერის მიმართო.

რენერს უპასუხა კანცლერმა ზეიპელმა, რომელიც იცავდა ჰეიმვერს და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ჰეიმვერს უდაო უფლება აქვს სამრეწველო ოლქებშიაც გამოვიდესო“.

ზეიპელს უპასუხა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ლიდერმა ოტო ბაუერმა, რომელმაც განაცხადა — ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თანამდებობის პირები მთელი ძალღონით სცდილობენ „დაამშვიდონ მუშათა მასებიო“. შემდეგ ბაუერმა განაცხადა: „მთავრობასაც სურს შინაგანი განიარაღება, მაგრამ ფაშისტების წინააღმდეგ არ გამოდისო“.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორატორების სიტყვები ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ, თითქოს ორატორები ცდილობდნენ გაექარწყლებიათ მუშათა მასების თვალში სოციალ-დემოკრატებსა და ხელისუფლებას შორის ვინერ ნეიშტადტის მანიფესტაციების შესახებ მიღწეული შეთანხმება. (ადს).

ვინერნეიშდატდში დანიშნულ დემონსტრაციის წინ

ვენა, 5 ოქტომბერი. 7 ოქტომბრისათვის ავსტრიის ფაშისტებისა და სოციალ-დემოკრატების მიერ დანიშნულია დემონსტრაცია ქალაქ ვინერ ნეიშტადტში. „არბეიტერ ცეიტუნგში“ დაბეჭდილია სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის „შუცბუნდ“-ის პრეზიდიუმის მოწოდება, რომელიც წინადადებას აძლევს მუშებს არ გამოვიდნენ სახლებიდან 7 ოქტომბერს. ვინერნეიშტადტში დაგროვილია მთელი ქვემო-ავსტრიის გარნიზონი. ვენიდან ჩამოვიდა ჟანდარმერიის გაძლიერებული რაზმები და სამხედრო ნაწილები. ქალაქი სამხედრო ბანაკ[illegible] თავის მოყრა ქალაქის მიდამოებში და თითქოს მათ განზრახული ჰქონდეთ ხელი შეუშალონ ფაშისტების აღლუმს. დღეს კონფისკაცია უყვეს „როტე ფანე“-ს და კომუნისტ-ქალთა გაზეთს „არბეიტერინ“-ს იმ მოწოდების გამოქვეყნებისათვის, რომელიც შეეხებოდა რკინის გზელთა და საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას ქვემო-ავსტრიაში, კომპარტიის სამდივნოში და „როტე ფანეს“ რედაქციაში მოახდინეს გაჩხრეკა, დააპატიმრეს პარტიის გენერალური მდივანი კოპლენიგი.

რუმინეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა პროცესი

ვენა, 4 ოქტომბერი. რუმინეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა პროცესის მე-10 დღეს კლაუზენბურგში დაიწყო მოწმეთა დაკითხვა. დამცველთა პროტესტის მიუხედავად, სასამართლომ დაჰკითხა აგრეთვე „ოხრანკის“ რამდენიმე წარმომადგენელს. როდესაც „ოხრანკის“ აგენტები ამტკიცებდნენ, ვითომ მათ დაპატიმრებულები არ უწამებიათ, ეს უკანასკნელნი ჩვენებას აწყვეტინებდნენ: „თქვენ სტყუიხართ“-ო. ამისათვის ორს დაპატიმრებულს სასამართლომ მიუსაჯა თვითეულს 15 დღით კარცერში დამწყვდევა (ადს).

საბერძნეთი და სამხრეთ-სლავია

პარიზი, 4 ოქტომბერი. ლონდონიდან ბელგრადში მიმავალი ვენიზელოსი პარიზში შეჩერდა, სადაც ერთხელ კიდევ ესაუბრა სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრს მარინკოვიჩს. სამხრეთ-სლავიის ოფიციალური ცნობის თანახმად, ამ საუბრის დროს მინისტრები შეთანხმდნენ იმ საფუძვლის შესახებ, რომელსაც უნდა დაემყაროს მომავალი მოლაპარაკება ბელგრადში.

გაზეთების კორესპონდენტებთან საუბრის დროს ვენიზელოსმა განაცხადა: სალონიკის საკითხმა ამჟამად უკვე დაჰკარგა სიმწვავე, რადგან ბელგრადმა, როგორც სჩანს, უარი სთქვა ისეთი მოთხოვნის წამოყენებაზე, რომელიც საბერძნეთის ღირსებისათვის შეუფერებელიაო. შემდეგ ვენიზელოსმა განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს დასდოს თურქეთთან არა მარტო თავდაუსხმელობის, არამედ მეგობრობის ხელშეკრულებაც. (ადს).

ლატვიის ელჩის გაწვევა მოსკოვიდან

რიგა, 4 ოქტომბერი. გაზეთი „ლატვის“ სწერს: „თავის დროზე პრემიერ იურაშევსკსა და ნაციონალურ ცენტრს შორის მოხდა შეთანხმება იმის შესახებ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის ბალოდისის ჟენევიდან ჩამოსვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ გაიწვევენ მოსკოვიდან ლატვიის ელჩს ოზელს. მხოლოდ ამ მიზეზით იქნა გადადებული გამოქვეყნება მოხსენებისა ოზელის შესახებ. ნაციონალურ ცენტრს უარი არ უთქვამს თავის მოთხოვნაზე. არავითარი საბაბი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს მოთხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული“.

ბრიანისა და გილიომას თათბირი

პარიზი, 4 სექტემბერი. ბრიანს თათბირი ჰქონდა საფრანგეთის საოკუპაციო ჯარის მთავარსარდალს გილიომთან იმ საკითხების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულნი არიან რეინის ოლქის ევაკუაციის ტექნიკასთან. „ევრ“-ი სწერს—ამ საუბარს გადაჭარბებული მნიშვნელობა არ უნდა მიეცესო. (ადს).

შრომის საერთაშორისო ბიუროს სესია

ვარშავა, 4 ოქტომბერი. 5 ოქტომბერს ვარშავაში იხსნება ერთა ლიგასთან არსებული შრომის საერთაშორისო ბიუროს სესია. ვარშავაში ჩამოვიდნენ ალბერ ტომა და სხვა დელეგატები. ჩამოვიდა აგრეთვე პოლონეთის წარმომადგენელი ერთა ლიგაში, სოკალი.

„ფოლადის მუზარადი“-ს წინააღმდეგ

ბერლინი, 4 ოქტომბერი. იმასთან დაკავშირებით, რომ „ფოლადის მუზარადი“ აწარმოებს კამპანიას ვეიმარის კონსტიტუციის გადასინჯვის მიზნით, სახალხო პარტიის ფრაქციის პრეზიდიუმმა აუკრძალა ფრაქციის წევრებს „ფოლადის მუზარადის“ წევრებად ყოფნა. (ადს).

გაფიცვა საფრანგეთში

პარიზი, 4 ოქტომბერი. „ჰუმანიტე“ იუწყება, რომ ალუენსა, არმანტიერში და მათ მიდამოებში გაფიცულნი მტკიცედ იცავენ თავიანთ მოთხოვნილებებს.

ლილის მიდამოებში გაფიცულთა ერთმა ნაწილმა დასთმო თავისი პოზიციები, მაგრამ მათ ნაცვლად გაფიცულთ ემატებიან ახალი ძალები. ლილში გაფიცვა ფართოვდება. (ადს).

უშედეგო მოლაპარაკება

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. კელოგმა განაცხადა, რომ მის მოლაპარაკებას იაპონელ პოლიტიკურ მოღვაწე უშიდასთან რაიმე ახალი შეთანხმება არ მოჰყოლია. (ადს).

მადლობის გამოცხადება

ბერლინი, 4 ოქტომბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მადლობას უცხადებს გერმანიის დელეგაციას ჟენევაში ჩატარებული მუშაობისათვის და მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ საკითხებმა რეინის ოლქის ოკუპაციის შეწყვეტისა და საყოველთაო განიარაღების შესახებ ვერ მიიღეს ისეთი მიმართულება, როგორც მოსალოდნელი იყო.

რეზოლიუციაში კომისია გამოსთქვამს აგრეთვე თავის შიშს ნაციონალურ უმცირესობათა მდგომარეობის გამო და წინადადებას აძლევს გერმანიის მთავრობას ეცადოს ერთა ლიგაში ამ საკითხს მეტი ყურადღება მიაქციოს. (ადს).

სიმშილობა ინდოეთში

ლონდონი, 4 ოქტომბერი. სიმლიდან მიღებული ცნობებით, გვალვების გამო ინდოეთს შიმშილი მოელის. გვალვამ გააფუჭა მრავალი ნათესი. მოუსავლობა განსაკუთრებით საშიშია იმით, რომ მოსახლეობის 80 პროც. მხოლოდ მიწის მუშაობას მისდევს. არ უარყოფენ სერიოზულ მღელვარებათა შესაძლებლობას. (ადს).

სხვადასხვა

● ავსტრალიის დოკერების გაფიცვა დასრულდა.

● დააპატიმრეს ბულგარეთის გლეხთა კავშირის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი ღრაგნევი.

ლოძის ფეიქართა გაფიცვა

ვარშავა, 4 ოქტომბერი. რადგან მრეწველებმა გადაჭრილი უარი განაცხადეს დაეკმაყოფილებიათ ლოძის ფეიქართა მოთხოვნა ხელფასის 20 პროცენტით გადიდების შესახებ, **3 ოქტომბერს ღამით გამოცხადდა საფეიქრო მრეწველობის მუშათა საყოველთაო გაფიცვა.**

პროფკავშირის დადგენილებას გაფიცვის გამოცხადების შესახებ ფაბრიკების დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ქრისტიან დემოკრატებისა და მუშათა ნაციონალური პარტიის ყვითელი კავშირები გაფიცვას არ შეუერთდნენ.

წინასწარი ცნობებით, 4 ოქტომბერს **დილით ლოძში გაიფიცა 40.000 ფეიქარი. გაფიცულთა განწყობილება მხნე და ენერგიულია,** მიუხედავად იმისა, რომ ამ რამდენიმე ხნის წინად გამოცხადებული გაფიცვა ჩაიშალა.

მოსალოდნელია, რომ **გაფიცვა გადაედება ლოძის მახლობელ საფეიქრო ცენტრებსაც.** გაფიცვასთან დაკავშირებით, ლოძში მიემგზავრება შრომის მინისტრი იურკევიჩი. **როგორც ეტყობა, მთავრობა პოლონეთის სოციალისტური პარტიის დახმარებით ჩაშლის გაფიცვას.** (ადს).

პილსუდსკის მარცხი

ბერლინი, 4 ოქტომბერი. იმ მოლაპარაკების გამო, რომელსაც პილსუდსკი აწარმოებდა, რუმინეთში ყოფნის დროს „ბერლინერ ტაგებლატ“-ის ბუქარესტელი კორესპონდენტი იუწყება:

„რუმინეთის ოფიციოზურ დეპეშათა სააგენტოს მიერ პილსუდსკის გამოგზავრების გამო გამოქვეყნებული სრულიად უშინაარსო კომუნიკე ადასტურებს იმას, რომ უშედეგოდ დამთავრდა პოლონეთის ცდა გამოსულიყო შუამავლად უნგრეთისა და მცირე ანტანტას შორის. რუმინეთის ავტორიტეტულ წრეებში აცხადებენ, რომ მოლაპარაკების შემდეგ პილსუდსკი ხელცარიელი დარჩა. რუმინეთში პრინციპიალურად უარჰყოფენ უნგრეთთან შეთანხმებას ამ უკანასკნელისათვის რაიმე ტერიტორიალური დათმობის საფუძველზე“. (ადს)

უთანხმოება პოლონეთის მენშევიკებში ღრმავდება

ვარშავა, 5 ოქტომბერი. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტიის საბჭოს უკანასკნელმა სესიამ შესძლო თავიდან აეშორებინა ფორმალური გათიშვა, უთანხმოება პარტიის რიგებში მაინც გრძელდება. განსაკუთრებით გამწვავდა შინპარტიული ბრძოლა იავორსკის (პილსუდსკის მომხრე) ჯგუფის დეპუტატების ახალ ნაბიჯების გამო. გუშინ იავორსკის ჯგუფმა ვარშავაში მოიწვია აღნიშნულ ჯგუფის გავლენის ქვეშ მყოფ პროფკავშირთა წარმომადგენლების კონფერენცია. კონფერენციაზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებიც კი არ დაუშვეს. კონფერენციამ დაადგინა შექმნას ვარშავის პროფკავშირთა გაერთიანება—ვარშავის პროფკავშირთა საბჭო საწინააღმდეგოდ პროფკავშირთა ცენტრალური კომისიისა, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა. კონფერენციის დადგენილება მით უფრო ღირსშესანიშნავია, რომ პოლონეთის სოც. პარტ. ცენტ. კომიტეტის ორგანომ „რაბოტნიკ“-მა კონფერენციის წინ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც წინადადებას აძლევდა პარტიის წევრებს ბოიკოტი გამოეცხადებინათ კონფერენციისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა მათ რეპრესიებით. ოპოზიციონურ წრეებში აცხადებენ, რომ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ვარშავის 26 პროფკავშირის ორგანიზაცია 20.000 წევრით.

ამანულა-ხანის რეფორმები

ქაბული, 4 ოქტომბერი. 3 ოქტომბერს ფადიშაჰთან შესდგა მეორე დიდი კრება (დურბარი), რომელზედაც ფადიშაჰმა აღნიშნა, რომ ჩადრის მოხსნა არ ეწინააღმდეგება ისლამსო. ამის შემდეგ მან ჩადრი მოხსნა თავის ცოლს, რომელიც იქვე კრებაზე იყო, და წინადადება მისცა დამსწრეთ მიებაძათ მისთვის, ე. ი. ნება მიეცათ თავიანთ ცოლებისათვის ევლოთ უჩადროთ. ფადიშაჰის წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

შემდეგ ფადიშაჰმა აცნობა კრებას, რომ სკოლებში ქალ-ვაჟთა სწავლება 11 წლამდე ერთად იქნებაო. გარდა ამისა, დაარსდება პირველი საფეხურის სკოლები ხუთ წლიანი კურსით. ასეთი სკოლები გაიხსნება დიდ ქალაქებში. განზრახულია აგრეთვე საშუალო და სპეციალური სკოლების გახსნა.

სხვა რეფორმებიდან ფადიშაჰს განზრახული აქვს: სახელმწიფო ბანკის გახსნა, შემოსატანი ბაჟის შემცირება ნავთის პროდუქტებზე და სახარჯო საგნებზე, საავადმყოფოთა ქსელის გაფართოვება, საპენსიო ფონდის დაარსება მოსამსახურეთათვის, საიდუმლო პოლიციის რეორგანიზაცია, სამოქალაქო ავიაციის საზოგადოების მოწყობა. გარდა ამისა, ფადიშაჰს განზრახვა აქვს საგარეო საქმეთა და სამხედრო მოხელეებს აუკრძალოს უცხოეთის ქვეშევრდომ ქალების შერთვა. (ადს).

დაჭრილი დემონსტრანტები

[illegible] დან, რომლებიც დაჭრეს „რესპუბლიკის დროშის კავშირი“-ს (რომელსაც სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს) თავდასხმის [illegible] წითელ ფრონტელთა კავშირის წევრებზე, სამი მძიმედ დაჭრილი მუშა ჯერ კიდევ საავადმყოფოში წევს. ორი მუშის სიცოცხლეს საფრთხე მოელის (ადს).

კრასინი“-ს შესახვედრად

ამხ. მიქოიანის მისალმება „კრასინს“

მოსკოვი, 5 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. მიქოიანმა „კრასინის“ დაბრუნების გამო გამოსცა ბრძანება, რომელშიაც ჯამს უქებს „კრასინის“ სამი თვის მძიმე მუშაობას. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის კომისარიატის სახელით ამხ. მიქოიანი ესალმება ყინულის მჭრელის მშვიდობიანად დაბრუნებას სახელოვანი მოგზაურობიდან და აღნიშნავს მეზღვაურთა და მეთაურთა შემადგენლობის გმირობას. ბრძანება შემდეგი სიტყვებით თავდება:

„გაუმარჯოს საბჭოთა სავაჭრო ფლოტის სიამაყეს—„კრასინს“ და მის მეზღვაურებს!“. (ადს).

გზაში შესახვედრად

ლენინგრადი, 5 ოქტომბერი. 5 ოქტომბერს, დილის 8 საათზე, ნავთსადგურიდან გავიდა ყინულისმჭრელი „პურგა“, რომლითაც „კრასინ“-ის შესახვედრად გაემგზავრნენ თავდაცვა - ავიაქიმის, საოლქო პროფესიონალური საბჭოს, ლენინგრადის ნავთსადგურის მუშების, საზღვაო-სამხედრო ორგანიზაციების და პრესის წარმომადგენელნი.

ნახევარი საათის შემდეგ ნევის მეორე ნაპირიდან გავიდა ბალტიის ფლოტის ნაღმოსანი ცენტრალური და საოლქო კომისიების წევრებით.

შემდეგ გავიდა კიდევ ორი ყინულისმჭრელი, რომლებმაც წაიყვანეს მუშათა წარმომადგენლები და ექსპედიციის მონაწილეთა ოჯახების წევრნი.

ყინულის მჭრელ „სიკაჰ“-ით გაემგზავრნენ ლენინგრადში მყოფი უცხოელი საკონსულოების წარმომადგენლები.

დღისით „კრასინ“-ის შესახვედრად გავიდნენ კატერები. ნავთსადგურში ყველა გემი მორთულია დროშებით. ნავთსადგურში უამრავი ნავი და კატერი. (ადს)

რადიო-მოყვარულ შმიდტის მოწვევა მოსკოვში

მოსკოვი, 5 ოქტომბერი. რადიო-მოყვარული შმიდტი სოფელ ვოზნესენია-ვოხმიდან, რომელმაც პირველმა მიიღო სიგნალები დაღუპულ „იტალია“-დან, რადიოს მოყვარულთა საზოგადოებამ მოსკოვში მოიწვია „კრასინის“ ექსპედიციის მონაწილეთა ჩამოსვლის დღისთვის. მოსკოვში მოიწვიეს აგრეთვე მფრინავი ხერვეევი და ბორტმექანიკოსი კვატაკოვსკი, რომლებიც „მალიგინის“ მოგზაურობაში იღებდნენ მონაწილეობას. (ადს).

ამერიკა დაინტერესებულია „კრასინის“ ექსპედიციით

ლენინგრადი, 5 ოქტომბერი. ამერიკის დეპეშათა სააგენტოების „იუნაიტედ პრეს“-ის „ინტერნეიშენელ ნიუს სერვისის“, „ასოშეიტედ პრესის“ და გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმს“-ის კორესპონდენტები, რომლებიც ლენინგრადში ჩამოვიდნენ, აცხადებენ, რომ ამერიკა არაჩვეულებრივ ინტერესით ადევნებდა თვალყურს „კრასინის“ ექსპედიციას. „კრასინის“ მოგზაურობის დროს თვითეულმა მათგანმა ამერიკაში ტელეგრაფით გადასცა საშუალოდ 25.000 სიტყვა და მრავალი საფოსტო ცნობა.

ახალგ. ლენინური კომკავშირის ცკას პლენუმი

მოსკოვი, 5 ოქტომბერი. ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის გახსნა დანიშნულია 22 ოქტომბრისათვის. დღის წესრიგი: ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი საკითხები (მომხ. ამხ. ხითაროვი), ახალგაზრდობის შრომისა და განათლების საკითხები (ამხ. ჟდანოვი), მეორე საფეხურის სკოლებისა და ტეხნიკუმების შესახებ (ამხ. ფურეტოვი), საკავშირო ხელმძღვანელობის ამოცანები თვითკრიტიკის გატარებასთან დაკავშირებით. (ადს).

სამეცნიერო აკადემიის წევრობის კანდიდატები

ლენინგრადი, 5 ოქტომბერი. სამეცნიერო მუშაკთა სექციამ ისტორიულ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო აკადემიის ყველაზე უფრო სასურველ კანდიდატებად სცნო: ამხ. პოკროვსკი—ისტორიკოს - მარქსისტთა რუსეთის სკოლის ცნობილი მეთაური, ამხ. გრუშევსკი—ავტორი კაპიტალისტური შრომის უკრაინის დამოუკიდებელი ისტორიული პროცესის შესახებ და უკრაინის ლიტერატურის მრავალტომიანი ისტორიისა, ამხ. რიაზანოვი—მარქსიზმის ისტორიისა, და მუშათა საერთაშორისო მოძრაობის ცნობილი მკვლევარი და ამხ. ლუკინი—ავტორი კაპიტალისტურ შრომისა პარიზის კომუნის შესახებ. ეკონომიურ მეცნიერებათა დარგში სექციამ მხარი დაუჭირა ამხ. ბუხარინის კანდიდატურას. (ადს)

საკავშირო საპლანერო შეჯიბრი

გაფრენის სიმაღლის და სიშორის რეკორდი.

სიმფეროპოლი, 5 ოქტომბერი. საკავშირო საპლანერო შეჯიბრების დროს კოკტებელის მახლობლად მფრინავმა იუმაშევმა თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს პლანერით დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი გაფრენის სიმაღლესა და სიშორეზე. იუმაშევი აფრინდა 14 საათზე და დაეშვა 14 საათსა და 53 წუთზე ფეოდოსიის გარეუბანში; სულ გაიარა 14 კილომეტრი და მიაღწია 27.5 მეტრის სიმაღლეს. (ადს).

ნავთის სარეკორდო ამოღება

დონის როსტოვი, 5 ოქტომბერი. განვლილ სამეურნეო წელს გროზნეფტმა სავსებით შეასრულა ნავთის ამოღების საწარმოო პროგრამა. ამოღებულია 3.442.000 ტონა, რაც სარეკორდო ციფრს წარმოადგენს არა მარტო იმ ხნისათვის, რაც ნავთის სარეწავების ნაციონალიზაცია მოხდა, არამედ მთელ მათი არსებობის განმავლობაში (ადს).

გრიგალი შავ ზღვაზე

ბათომი, 5 ოქტომბერი. ბათომში მესამე დღეა კოკისპირული წვიმები მოდის. მდინარეებში წყალმა ძლიერ იმატა.

ბათომის ნაპირებზე და შუა ზღვაში საშინელი ქარიშხალია, რომლის სიძლიერე 8 ბალამდე აღწევს.

ყირიმ - კავკასიის ხაზის გემი „ლენინ“-ი, რომელიც ღამით 5 ოქტომბერს წავიდა ბათომიდან ფოთისაკენ, იძულებული შეიქნა დაბრუნებულიყო ბათომში. (ადს)

კავკასია და როსტოვს შუა ტელეფონის ხაზის დაზიანების გამო, 18 საათის (ნაშუადღევის 6 საათის) შემდეგ მოსკოვიდან დეპეშები აღარ მოდის.

18 საათის შემდეგ მიღებული ცნობები გადმოცემულია რადიო - ტელეგრაფით

მასიური მუშაობის მორიგი ამოცანები

ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას IV პლენუმზე

მასების მონაწილეობა მშენებლობაში

ამხანაგებო, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დასმა საკითხისა წარმოებებში მასიური მუშაობის შესახებ ადასტურებს ამ საკითხის დიდ მნიშვნელობას და პარტიის დაინტერესებას ამ მუშაობით. ვერც პარტიულ, ვერც საბჭოთა და პროფესიონალურ მუშაობას ვერ წარმოვიდგენთ მუშათა და გლეხთა მასების აქტიური მონაწილეობის გარეშე. შეუძლებელია სერიოზული ლაპარაკი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, წარმოების რაციონალიზაციის, ჩვენი სოფლის სოციალისტური საფუძვლებზე გარდაქმნის, კოლექტიურ მეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა მშენებლობის და სხვ. შესახებ, თუ ამ მშენებლობაში ფართო და აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებენ მუშათა და გლეხთა მასები.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და მრეწველობის რაციონალიზაციის საკითხები გვიკარნახებენ მუშების ჩაბმას მრეწველობის უშუალო ხელმძღვანელობის საქმეში. ეს ამოცანა უფრო და უფრო საარსებო ხდება.

ლენინის დირექტივა

ჯერ კიდევ 1920 წლის დეკემბერში საბჭოების მე-8 ყრილობაზე ლენინი ასეთ ამოცანას უსახავდა პარტიას: „ახალი ამოცანები უნდა შევაგნებინოთ ასეულ მილიონებს, რომლებიც თაობიდან თაობამდე მონობასა და ჩაგვრაში ცხოვრობდნენ და რომელთაც ჩახშული ჰქონდათ ყოველგვარი თვითმოქმედება; უნდა შევაგნებინოთ რამდენიმე მილიონ მუშას, რომლებიც პროფკავშირებში იმყოფებიან, მაგრამ პოლიტიკურად ჯერ შეგნებულნი არ არიან და ვერ მიეჩვივნენ, რომ თავიანთი თავი პატრონებათ იგრძნონ; საჭიროა მათი შეკავშირება არა იმისათვის, რომ ხელისუფლებას წინააღმდეგობა გაუწიონ, არამედ იმისათვის, რომ მხარი დაუჭირონ, განავითარონ თავიანთი, მუშური ხელისუფლების ღონისძიებანი, განახორციელონ ისინი ბოლომდე“.

ლენინის ეს სიტყვები ნათქვამია 1920 წელს, ე. ი. სამხედრო კომუნიზმის პერიოდში. მაგრამ ეს გარემოება, რასაკვირველია, სრულებითაც არ ამცირებს მათს მნიშვნელობას დღევანდელი დღისათვის. პირიქით, საბჭოთა ქვეყნის მთელი შემდგომი განვითარება უფრო მკვეთრად აყენებს იმ ამოცანას, რომელიც დაგვისახა ვლადიმერ ილიჩმა.

ბრძოლა ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ

ახალი ეკონომიური პოლიტიკა, უეჭველია, საბჭოთა კავშირის ეკონომიური განვითარების საფუძვლად გადაიშალა. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ, უეჭველია, დაგვაძლევინა ის ეკონომიური რღვევა, რომელსაც ჩვენ მივადექით 1920 წლის დამლევს. მაგრამ ამასთანავე ერთად უდავოა, რომ მან გამოიწვია კლასობრივი წინააღმდეგობანი ჩვენს ქვეყანაში, რადგან საბჭოთა ეკონომიკის გაძლიერებასა და განვითარებასთან ერთად ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ რაოდენადმე ხელფეხი გაუხსნა კერძო-კაპიტალისტურ სექტორს სოფლად და ქალაქად. ვიმეორებ, ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გამოიწვია კლასობრივი წინააღმდეგობანი ჩვენს ქვეყანაში. თვითეული პრაქტიკული მუშაკი ქალაქისა და სოფლის საწარმოში ყოველდღე განიცდის ანტისაბჭოთა ძალების, ანტიკომუნისტურ მიმდინარეობათა მოწოლას, რომელიც მომართულია მოსახლეობის არაპროლეტარული ფენებიდან. იმისათვის, რომ შევებრძოლოთ ამას, რომ საშუალება არ მივსცეთ მათ, თუნდაც მეტად უმნიშვნელო ფესვები გაიდგან მუშათა კლასში და მშრომელ გლეხობაში, საჭიროა გავაღრმავოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი მასიური მუშაობის ღირსება.

შახტის საქმის მაგალითი, არტემოვსკის ორგანიზაციის მაგალითი, სმოლენსკის ორგანიზაციის მაგალითი, ჩვენი ტყიბულის დამზიანებლობის მაგალითი და აგრეთვე,—თუმცა უფრო ნაკლებად,—ბათომის საბაჟოს მაგალითი გვიჩვენებს, თუ რამდენად შეეგუა საბჭოთა პირობებს ჩვენი კლასობრივი მტერი და რამდენად ავრცელებს იგი თავის გავლენას ზოგჯერ კომუნისტების ჯგუფებზედაც კი.

მასიური მუშაობის ამოცანა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ წინააღუდგეთ ანტისაბჭოთა, ანტიპარტიული, ანტიკომუნისტური ძალების ამ მოწოლას და ისე დავრაზმოთ მუშათა კლასი და გლეხობის მშრომელი ფენები, რომ ადგილი არ ჰქონდეს არავითარ რყევას მშრომელთა მასების იმ ზოგიერთ ფენებშიაც კი, რომლებიც ყველაზე უფრო ადვილად ემორჩილებიან უცხო გავლენას.

მიღწევები მასიურ მუშაობის დარგში

გადავჭერით თუ არა საქართველოში ის ამოცანა, რომელიც ჯერ კიდევ 1920 წელს ლენინმა დაუსახა მთელ ჩვენს პარტიას?

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მას აქეთ, რაც ლენინმა ეს სიტყვები სთქვა, ჩვენ, უეჭველია, უდიდესი მუშაობა შევასრულეთ მუშათა კლასის დასაპყრობად მის ჩასაბმელად ჩვენს პარტიულს, სამეურნეო და პროფესიონალურს ორგანიზაციებში. მასიური მუშაობის ეხლანდელი ფაქტიური მდგომარეობის გამოსარკვევად მე, თავისთავად ცხადია, დამჭირდება ლაპარაკის დაწყება ჩვენი პარტიული უჯრედების მუშაობიდან. მე ძალიან ოპტიმისტურად არ ვაფასებ ჩვენს მასიურ მუშაობას საქართველოში, მაგრამ პარტუჯრედების მუშაობა წარმოებებში და პირველ ყოვლისა თბილისში, უეჭველად გაუმჯობესდა, მეტადრე პარტიის თბილისის კომიტეტის მე-5 პლენუმის შემდეგ, რომელმაც შეიმუშავა დაწვრილებითი რეზოლიუცია სპეციალურად ამ საკითხის შესახებ. მაგრამ, მიუხედავად ასეთი წინსვლისა, მაინც უნდა აღვიაროთ, რომ მასიური მუშაობა ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის თბილისშიც კი.

პარტორგანიზაციების მასიური მუშაობა

პარტუჯრედების და პროფორგანიზაციების ურთიერთობა

პარტუჯრედების მასიური მუშაობის ძირითადი დეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად პარტუჯრედები საკმაო აქტივობას არ აჩენენ პროფკავშირებში, ზოგჯერ პროფორგანიზაციების მაგიერობას ეწევიან და ამით ხელს უწყობენ პროფკავშირთა ორგანოების პასივობას. ამ უარყოფით მოვლენებს, რასაკვირველია, ყოველნაირად უნდა შევებრძოლოთ.

ძირითად მასიურ მუშაობას პროფკავშირები უნდა აწარმოებდნენ. უჯრედები კი უნდა ხელმძღვანელობდნენ ამ მუშაობას, ეხმარებოდნენ პროფკავშირებს. მაგრამ მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასწიონ პროფორგა- [illegible] ტემში დიდი მნიშვნელობა აქვთ პარტუჯრედების ღია კრებებს. უჯრედების მუშაობის ეს მხარე უკანასკნელ ხანებში გაუმჯობესდა, მაგრამ არა საკმაოდ. ავიღოთ რამდენიმე მაგალითი ბათომისა და თბილისის პრაქტიკიდან.

პარტუჯრედების ღია კრებების შესახებ

მთელი 1927 წლის განმავლობაში ბათომის თამბაქოს ფაბრიკაში სულ 9 ღია კრება მოხდა, ხოლო 1928 წლის პირველ ნახევარში—უკვე 13. შემჩნეულია კრებების რიცხვობრივი ზრდა წყალზე მომუშავეთა შორისაც. 1927 წლის განმავლობაში მათ ჰქონდათ 6 ღია კრება, 1928 წლის პირველ ნახევარში კი—13.

რამდენი ესწრება საშუალოდ ამ კრებებს? მთელი 1927 წლის განმავლობაში ბათომის ხუთ საწარმოს (მე-3 საბჭოთა ქარხანა, თამბაქოს ფაბრიკა, ბეტონის ქარხანა, ქალაქის ალმასკომი და წყალზე მომუშავენი), უჯრედების თვითეულ ღია კრებას საშუალოდ დაესწრო 5 უპარტიო მუშა. ეს რიცხვი, რასაკვირველია, სრულებით არ არის საკმაო. იგი გვიჩვენებს, რომ საწარმოთა უჯრედებმა ვერ დააინტერესეს მუშები, ვერ ჩააბეს ისინი თავიანთ მუშაობაში. 1928 წლის პირველ ნახევარში უჯრედის კრებას საშუალოდ უკვე მეტი უპარტიო მუშა ესწრება და მათი რიცხვი 17 კაცამდე ადის. მაგრამ ჩვენ ამას ვერ დავჯერდებით. უნდა ვეცადოთ, რომ უჯრედების მუშაობაში ჩავაბათ მუშათა ძირითადი აქტივი მაინც, მუშათა ძირითადი მასა.

რამდენიმე მაგალითი თბილისის პრაქტიკიდან: „პროლეტარის“ ფაბრიკაში მუშაობს 420 მუშა, აქედან 120 კომუნისტია და 300 უპარტიო. უჯრედების ღია კრება 4 იყო, დახურული—8. ღია კრებებს საშუალოდ დაესწრო 18 უპარტიო.

26 კომუნარის ქარხანაში 450 მუშაა, აქედან 160 კომუნისტი. ღია კრება 3 იყო, დახურული—24. საშუალოდ ღია კრებას დაესწრო სულ 18 უპარტიო მუშა.

მთავარი სახელოსნოების მღებავთა ცეხში 115 მუშაა, აქედან 35 კომუნისტი. ღია კრება იყო 2, დახურული—4, საშუალოდ დაესწრო 14 უპარტიო მუშა.

ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ საჭირო არ არის. ყველა ეს მაგალითი ერთსა და იმავეს ადასტურებს. უჯრედების ღია კრებებს მეტის მეტად ცოტა უპარტიო მუშა ესწრება, მიუხედავათ ერთგვარი ზრდისა უკანასკნელ ხანებში. ეს დამახასიათებელია თბილისისათვისაც, ბათომისათვისაც და, ცხადია, სხვა ქალაქებისათვისაც. რითია გამოწვეული კრებებზე დასწრების ასეთი ნაკლებობა? რატომ არის, რომ უპარტიო მუშები თითქოს მცირედ არიან დაინტერესებულნი პარტუჯრედების მუშაობით? ასეთი უარყოფითი მოვლენის მიზეზების გამორკვევა აუცილებლად საჭიროა, რომ გამოინახოს მათი თავიდან აცილების საშუალებანი.

უპარტიო მუშები უნდა დავაინტერესოთ

მიზეზი ბევრია, მაგრამ შევჩერდებით მთავარზე. ღია კრების წინასწარ მომზადებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს უპარტიოების ჩასაბმელად. მაგრამ მეტ წილად ეს მომზადება მეტად სუსტად სწარმოებს. მაგალითად, უჯრედები წინდაწინვე არ აცხადებენ არც დღის წესრიგს, არც მომხსენებლის გვარს. რაკი უპარტიო მუშამ არ იცის, რა საკითხებია დასმული ღია კრებაზე, რაკი არ იცის, ვინ აკეთებს მოხსენებას,—იგი, რასაკვირველია, დიდად არ არის დაინტერესებული ამ კრებებით.

შემდეგ უნდა შევჩერდეთ იმაზე, თუ რა საკითხებია დაყენებული უჯრედების ღია კრებებზე და როგორ აყენებენ მათ. საერთოდ მიღებულია, რომ საკითხებს განიხილავენ უჯრედებში და შემდეგ გადააქვთ მუშათა საწარმოო კრებებზე. რა გამოდის აქედან? რაკი საკითხს უჯრედში იხილავენ, კომუნისტები საერთო კრებებზე აღარ ლაპარაკობენ. ცხადია, ასეთ პირობებში საერთო კრება უსიცოცხლოდ ჩაივლის.

ამხანაგები ლენინის რაიონიდან წინადადებას იძლევიან, გაუქმდეს საწარმოს კონკრეტული საკითხების წინასწარი განხილვა უჯრედში და ისინი პირდაპირ საერთო-საქარხნო კრებებზე დაისვას. არაფერ ზიანს არ მოიტანს, რომ კომუნისტები ერთმანეთს შეეკამათონ უპარტიოთა თანადასწრებით, მით უმეტეს, რომ ეს კამათი გამოაცოცხლებს საერთო კრებებს. რასაკვირველია, პრინციპიალური ხასიათის საკითხები ჯერ უჯრედების სხდომებმა უნდა განიხილონ, მაგრამ არაპრინციპიალური საკითხებისათვის ეს საჭირო არ არის. უჯრედების ღია კრებებზე ისმება ისეთი საკითხები, როგორიც არის, მაგალ., ცირკულარების გარჩევა, [illegible] დახვა კამპანიის საკითხები, და ძალიან ნაკლებად საყოფა-ცხოვრებო ხასიათის საკითხები, რომლებიც ძალიან ეინტერესებათ მუშებს. პარტიის სარაიონო და სამაზრო კომიტეტების ცნობების მიხედვით, ყოფა-ცხოვრების საკითხებს რატომღაც უჯრედების დახურულ სხდომაზე არჩევენ. მე ვფიქრობ, ეს შეცდომაა. გაცილებით უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ საყოფაცხოვრებო სიმახინჯეთა კონკრეტული საკითხები, ახალი ყოფაცხოვრების შექმნის საკითხები უჯრედების ღია კრებებზე ან საერთო-საქარხნო კრებებზე ირკვეოდეს. იგივე ითქმის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქარხნის კონკრეტულ საწარმოო საკითხების შესახებ.

არის ხანდისხან ისეთი შემთხვევები, როგორც, მაგალითად, ბორჯომის ტყის ქარხა- [illegible] ჩევა საკითხი ქარხნის მდგომარეობის შესახებ, ისმენენ მოხსენებას, გამოაქვთ რაღაც დადგენილებები, მაგრამ ამ კრებაზე უპარტიოებს არ იწვევენ. კიდევ მეტი, უპარტიო მუშებს არ ეუბნებიან იმასაც, თუ რა მოხდა უჯრედის სხდომაზე და რა გადაწყვეტილება მიიღეს ამ საკითხის შესახებ. ბორჯომის ტყის ქარხანაში კი მუშებს მეტისმეტად აინტერესებთ თავიანთი წარმოების მდგომარეობა, რადგანაც იქ გვიანდება ხელფასის გაცემა. მუშებს შორის იქ ხმა გაუვრცელებიათ, აპირობენ სამუშაოს და მუშების შემოკლებას, რადგანაც ჩვენი ტყის დამზადება ძალიან ძვირად ჯდება. უჯრედი იხილავს ამ საკითხს, მაგრამ თავისი გადაწყვეტილებები საერთო საქარხნო კრებაზე არ გადააქვს. ეს გულს უცრუებს მუშებს და კომუჯრედს აშორებს მათ. მუშებს ეჭვი ებადებათ, რომ კომუჯ. რაღაცას უმალავს მათ, რადგანაც თავიანთი წარმოების შესახებ თვითონ მათ არაფერი იციან. ბათომში, ადგილობრივი ტრანსპორტის კომუჯ. მთელი პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ორი სამეურნეო ხასიათის საკითხი გაირჩა, ამასთან პირველი საკითხია, მუშებისათვის მეტად საინტერესო საკითხი—დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების წესის შესახებ, დასმულ იქნა უჯრედის დახურულ სხდომაზე და მუშები ამ საკითხს არ გასცნობიან. ღია კრებებზე კი ისმება ისეთი საკითხები, როგორიც არის საკითხი საერთაშ. მდგომარეობის შესახებ მოხსენება თავდაცვა-ავიაქიმისა, რემედასისა და სხ. რასაკვირველია, ასეთი საკითხები უნდა დავსვათ, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მეურნეობისა და საწარმოს საკითხებს, ამა თუ იმ წარმოების მდგომარეობის კონკრეტულ საკითხებს. მაშინ კომუჯრედის ღია სხდომებს გაცილებით უფრო მეტი უპარტიო მუშა დაესწრება.

შემჩნეულია კიდევ ერთი უტაქტობა უჯრედების მხრივ, რომელიც, უეჭველია, გავლენას ახდენს ღია კრებების დამსწრეთა რიცხვზე. გამოცხადებულია კომუჯრედის ღია კრება უპარტიოებთან ერთად, სხდომაზე სწყდება სხვადასხვა საკითხი, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ უპარტიო მუშებს უცხადებენ დასტოვონ კრება: აცხადებენ კომუჯრედის დახურულ სხდომას. მუშები, რასაკვირველია, უკმაყოფილონი რჩებიან. შთაბეჭდილება ისეთია, თითქო უპარტიო მუშები მოიწვიეს რაღაც უმნიშვნელო საკითხის განსახილველად; შემდეგ კომუჯრედი კრებას ხურავს და ცალკე მსჯელობს „უმნიშვნელოვანეს“ საკითხების შესახებ. ეს უტაქტობა უნდა მოისპოს. კომუჯრედის ღია კრებები უფრო ხშირად უნდა ეწყობოდეს დახურული კრებების ის უდიდესი რიცხვი, რომელიც მე აქ მოვიყვანე და შეეხება 1927 წელს, უმთავრესად აიხსნება შინაპარტიული მდგომარეობით (ოპოზიციასთან ბრძოლით და სხვ.), რომელიც გვაიძულებდა საკითხების მთელი რიგი დაგვემუშავებინა დახურულ კრებებზე. მაგრამ მომავალში ეს მდგომარეობა უნდა შეიცვალოს.

პარტორგანიზატორების მუშაობა

კიდევ ერთი სერიოზული ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ძალიან ხშირად მთელი კომუჯრედის მაგივრად მუშაობს კომუჯრედის ბიურო, ამასთან ბიუროს გადაწყვეტილებებს კომუჯრედის სხდომებზე ამტკიცებენ მექანიკურად საკითხების განუხილავად. ესეც ასუსტებს მასიურ მუშაობას.

მასიური მუშაობის ხარისხზე დიდს გავლენას ახდენს იმ პარტიული ორგანოების მუშაობა, რომლებიც ცოცხალი გამტარებლები არიან მასებში პარტიული გადაწყვეტილებებისა, რომლებიც პარტიის გარშემო რაზმავენ მუშათა განსაზღვრულ ჯგუფს და რომლებიც ამ ჯგუფს აკავშირებენ კომუჯრედთან.

უნდა ითქვას, რომ პარტორგანიზატორები ფაქტიურად მხოლოდ თბილისში მუშაობენ. სხვა ქალაქებმა ჩვენ ვერ მოგვცეს ცნობები მათი მუშაობის შესახებ. როგორც სჩანს, ეს მუშაობა სხვა ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული. მაგრამ თბილისშიც პარტორგანიზატორების მუშაობა ჯერ კიდევ სუსტადაა დაყენებული. პარტორგანიზატორებმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს მუშებთან კავშირის დასამყარებლად საჭირო ფორმების გამონახვა, ვერ მოახერხეს მუშაობის მოწესრიგება მუშათა დასვენების დროს, საკმარისად არ უმარტავენ მუშებს კომუჯრედის გადაწყვეტილებებს. ჯერ-ჯერობით პარტორგანიზატორების მუშაობა გამოიხატება მხოლოდ საწევრო გადასახადების შეკრებაში, რაც, რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს მათი მუშაობის საფუძვლად.

ამას გარდა, კომუჯრედიც სუსტ ხელმძღვანელობას უწევს პარტორგანიზატორების მუშაობას. შეიძლება ეს იმით აიხსნება, რომ ეს ახალი საქმეა და ჩვენ არა გვაქვს ამ მუშაობაში გამოცდილება, მაგრამ, ყოველს შემთხვევაში, საჭიროა პარტორგანიზატორების მუშაობა გაუმჯობესდეს.

მუშაობა ოსტატებს შორის

რაც შეეხება მუშაობას ოსტატებს შორის, მუშაობა სწარმოებს მხოლოდ თბილისისა და ბათომის ორგანიზაციებში. არც ხაშურში, არც სამტრედიაში და არც ფოთში ეს მუშაობა ჯერ არ დაუწყიათ. მაგრამ თბილისშიც ეს მუშაობა სწარმოებს უმთავრესად დიდ წარმოებებში და მთავარ სახელოსნოებში, ტრამვაის პარკში და „26 კომუნარის სახელობის“ ქარხანაში. ბათომში ცოტათ თუ ბევრად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ნავთის სინდიკატში, თუჯის ჩამომსხმელ და ბიდონის ქარხნებში. ოსტატებს შორის მუშაობაშიც შემჩნეულია მრავალი ნაკლი, რომელიც საჭიროა ახლავე იქნას გათვალისწინებული და გამოსწორებული. მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ოსტატები ამ მუშაობას მეტისმეტის უნდობლად ეპყრობიან. ოსტატებს შორის მუშაობის მთავარი მიზანი მდგომარეობს მათს საზოგადოებრივ პოლიტიკურს აღზრდაში, მათი დახმარებით იმ ახალგაზრდობის კვალიფიკაციის ამაღლებაში, რომელიც მოდის ჩვენს ქარხანაში. მაგრამ ხშირად ოსტატს არ უნდა იმეცადინოს მოწაფესთან, არ უნდა ასწავლოს, რადგან ხელფას იმ სისტემის პირობებში, რომელიც ზოგიერთ ქარხანაშია, მიღებული, ის ამ საქმეში ჰკარგავს. ოსტატების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა სუსტადაა დაყენებული. არ არის საკმაო ის მუშაობა, რომელიც სწარმოებს ოსტატების გადასამზადებლად და მათ დასაწინაურებლად, და, ბოლოს, ამ გადასამზადებელ მუშაობაში ძალიან სუსტად არიან ჩაბმული საინჟინერო ტეხნიკური ძალები, რომლებიც, ჩვეულებრივად, არ ეტანებიან ამ სამუშაოს.

კომკავშირი წარმოებებში

წარმოებებში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომკავშირის მასიური მუშაობა. ამ დროს განმავლობაში კომკავშირმა ჩაატარა შეჯიბრებათა მთელი რიგი: შეჯიბრება კარგ მოწაფეობაზე, შეჯიბრება წარმოების გასაუმჯობესებლად საუკეთესო წინადადებაზე და სხვ. ამ შეჯიბრებებმა საუკეთესო შედეგები მოგვცეს. იმ შეჯიბრებათა შემდეგ, რომლებიც ჩატარებულ იქნა თბილისში, ბათომში, სოხუმში, ქუთაისში, ხაშურში, შემჩნეულია სამუშაოების გამოტოვების შემცირება, შემცირება სამუშაოზე დაგვიანების საათებისა, ახალგაზრდობის ინტერესის ზრდა თავისი კვალიფიკაციის აწევისადმი და სხვ. მაგრამ ამ მუშაობაში ამავე დროს არის მრავალი არსებითი ნაკლიც. ასეთია, უპირველესად ყოვლისა, ის არასაკმარისი ხელმძღვანელობა, რომელსაც პარტიული ორგანიზაციები უწევენ კომკავშირს მასიურ მუშაობაში. ამ მოვლენას თითქმის ყველგან აქვს ადგილი. ამასთან შემჩნეულია, რომ კომკავშირის მუშაობას ადმინისტრაცია სათანადო ყურადღებას არ აქცევს, ხშირად კი მტრულადაც ეკიდება მას. კომკავშირლების მონაწილეობა კი საწარმო და ეკონომიურ თათბირებში ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან ხშირად კომკავშირის უჯრედი მამოძრავებელ ძალად ხდება ამა თუ იმ ეკონომიურ და საწარმოვო საკითხების განხილვის დროს ამა თუ იმ წარმოებაში. მაგ., მთავარი სახელოსნოების შემკრებ საამქროს კომუჯრედმა სამი თვის განმავლობაში მოისმინა მოხსენებები—ადმინისტრაციისა, საწარმოო თათბირისა, თავისი წარმომადგენლებისა შრომის დაცვის კომისიაში, საქარხნო კომიტეტისა და შემფასებელ საკონფლიქტო კომისიისა; ამას გარდა ჩატარდა მრავალი შემოწმება იმ პრაქტიკულ დადგენილებათა შესრულებისა, რომლებიც გამომჰქონდათ ხსენებული მოხსენებების გამო. ეს ადასტურებს წარმოებაში კომკავშირთა უჯრედების მუშაობის სწორ მიმართულებას. მაგრამ, ვიმეორებ, კომკავშირის მასიური მუშაობის ძირითადი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ პარტიული უჯრედი ამ მუშაობას საკმარის ხელმძღვანელობას არ უწევს.

პარტიის კავშირი მუშათა კლასთან მტკიცეა

ყველა ჩამოთვლილი დეფექტი, რასაკვირველია, უარყოფილად მოქმედებს კომუჯრედისა და მუშათა მასებს შორის კავშირის დამყარებაზე. მაგრამ იმ დასკვნას ვერ გამოვიყვანთ, თითქოს ჩვენ საქმე გვაქვს პარტიისადმი მუშათა კლასის მხრივ შექცევასთან. პირიქით მუშები ეტანებიან პარტიას, ისე, მაგ., თუ ავიღებთ პერიოდს 1927 წლის 1 ივლისიდან 1928 წლის 1 ივლისამდე, დავინახავთ შემდეგს სურათს იმისას, თუ რამდენად ეტანებიან მუშები ჩვენს პარტიას: სულ ამ დროს განმავლობაში შემოვიდა პარტიაში მიღების შესახებ 10.493 განცხადება. ამ რიცხვიდან ფაბრიკა- ქარხნების მუშებზე მოდის 24 პროც., ტრანსპორტის მუშებზე— 19 და დანარჩენ დაქირავებულ მუშებზე—9 პროც. ამნაირად, საერთოდ მუშების მიერ შემოტანილია განცხადებების საერთო რიცხვის 58 პროც. ეს ციფრები მოწმობენ, რომ მუშათა კავშირი პარტიასთან საკმაოდ მტკიცეა. მაგრამ იმისათვის, რომ ეს მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდეს, საჭიროა წარმოებაში, უპირველეს ყოვლისა, გაძლიერდეს პარტუჯრედების მასიური მუშაობა. ამიტომ აღნიშნული დეფექტები პარტორგანიზაციებმა უნდა გამოასწორონ.

პროფკავშირების მასიური მუშაობა

პროფკავშირების ზრდა

გადავდივარ პროფკავშირთა მასიურ მუშაობაზე. უკანასკნელ წლებში ჩვენ ვამჩნევთ პროფკავშირის წევრთა რიცხვის განუწყვეტელ ზრდას. 1926 წელს პროფკავშირის წევრთა რიცხვი 157.000-ს უდრიდა, 1927 წელს—168.000, ე. ი. საერთო რაოდენობა 6,8 პროცენტით გაიზარდა. 1928 წლის 1 აპრილისათვის პროფკავშირის წევრთა რიცხვი უდრიდა 180.000-ს ე. ი. 1927 წელთან შედარებით, გვაქვს მომატება 14 პროცენტით. როგორც ხედავთ, რიცხვობრივად პროფკავშირები იზრდებიან, ეს მუშებში პროფკავშირების გავლენის ზრდის მაჩვენებელია. მაგრამ, რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენში პროფკავშირთა მუშაობა სათანადო სიმაღლეზე სდგას. პროფკავშირის წევრთა რიცხვის ზრდა გვავალებს კიდევ უფრო გავაძლიეროთ მასიური მუშაობა მუშებს შორის.

სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს დირექტივის თანახმად, 1926 წელს ჩატარებულ იქნა პროფკავშირთა აპა- [illegible] საჩინოდ გადიდდა ქვედა პროფორგანოების რიცხვი. მაგ., თუ დეცენტრალიზაციამდე 1926 წელს ქვედა პროფორგანოთა რიცხვი 1.438-ს უდრიდა, ამჟამად ჩვენ გვაქვს 2,113 ქვედა პროფორგანო, ე. ი. მათი რიცხვი გაიზარდა თითქმის 35—40 პროცენტით. მაგრამ პროფორგანოთა რიცხვის ეს გადიდება მოხდა უმთავრესად პროფრწმუნებულთა რიცხვის შემცირებით და ახალ წარმოებებში პროფესიონალური ორგანიზაციების მოწყობით. გასულ წელს გადარჩევის შემდეგ ჩატარებულ იქნა პროფკავშირთა აპარატების გადახალისება, ამასთან სამაზრო პროფბიუროები გადახალისებულია 69 პროცენტით, პროფკავშირთა ცენტრალური გამგეობა 50 პროცენტით, ავტონომიური რესპუბლიკების პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო—44 პროცენტით, ხოლო საქართველოს პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო—33 პროცენტით. ეს გარემოება, ამხანაგებო, იმის მაჩვენებელია, რომ პროფორგანიზაციათა გადარჩევის შემდეგ აქტიურ მუშაობაში ჩაბმულია მუშაკთა ახალი კადრი და, ამნაირად, გაფართოვებულია ის პროფაქტივი, რომელიც ჩვენ გვყავდა 1925 წელს.

მეტი ყურადღება პროფაქტივს

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს მსხვილი ნაკლი, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ პროფაქტივის მუშაობაში. პროფესიონალური მუშაობის მთელი სიმძიმე პროფკავშირთა ორგანოებში აწევს იმ მუშაკებს, რომლებიც ხასყიდელს იღებენ, პროფაქტივი კი სუსტადაა მუშაობაში ჩაბმული. აქტივის აღზრდა სუსტად სწარმოებს.

სულ არ არის საკმარისი ან სრულებით არ სწარმოებს პროფაქტივის აღზრდა ნაციონალურ უმცირესობიდან აფხაზეთში, სამხრეთოსეთში, აჭარისტანში, ბორჩალოში და სხვ.

შეიძლება გვითხრან, რომ ეს აიხსნება სხვადასხვა სპეციფიური პირობით, მაგრამ ეს ახსნა არ არის. ჩვენთვის ცხადია, რომ პროფკავშირებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ პროფაქტივის აღზრდას ეროვნულ უმცირესობათაგან.

სუსტადაა დაყენებული უსასყიდლოთ მომუშავე აქტივის მომზადებისა და გადამზადების საქმე და, ბოლოს, ძალიან სუსტადაა დაყენებული ინფორმაცია პროფორგანოთა შორის, განსაკუთრებით ინფორმაცია ზედა აპარატებიდან ქვეით, რაც, ცხადია უარყოფითს გავლენას ახდენს პროფკავშირთა მუშაობაზე.

საწარმოო თათბირები

პროფკავშირთა მასიური მუშაობის სისტემაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავთ საწარმოო თათბირებს. ეს მუშაობა ჯერ არა სდგას სათანადო სიმაღლეზე. არის მრავალი რაიონი და კავშირი, სადაც საწარმოო თათბირებზე დამსწრეთა რიცხვი სრულიად უმნიშვნელოა. მაგალითად, ტყვიბულში საწარმოო თათბირებზე დამსწრეთა რიცხვი უდრის 2 პროცენტს, მშენებელთა პროფესიონალურ კავშირში— 12 პროცენტს, კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირში—13 პროცენტს, მბეჭდავთა კავშირში—18 პროცენტს, მკერავთა კავშირში—9 პროცენტს და მელითონეებში—13 პროცენტს.

მაგრამ არის ისეთი პროფკავშირებიც, სადაც საწარმოო თათბირებზე დამსწრეთა რიცხვი გაცილებით დიდია. გემო-კვების კავშირში—33 პროც. ფეიქრებში—50 პროც., წყლის ტრანსპორტზე მომუშავეთა—42 პროც., ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირში—49 პროც.

საშუალოდ, ეკონომიურ თათბირებზე დამსწრეთა რიცხვი საქართველოში უდრის 20 პროცენტს. ჩვენ, რასაკვირველია, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ წინ წავსწიოთ ჩამორჩენილი წარმოებები და კავშირები, მით უფრო ისეთი კავშირები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ: მელითონეები, მკერავები, მბეჭდავები, მშენებლები, მემაღაროეები და სხვ.

სულ 1926 წელს საწარმოო ეკონომიურ თათბირებს დაესწრო 23.000 კაცი, ხოლო 1927 წელს—38.000 კაცი.

ამნაირად ვამჩნევთ საწარმოო თათბირებზე დამსწრეთა რიცხვის უეჭველს ზრდას. უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა იმის გათვალისწინება, თუ რამდენი პროცენტი სრულდება საწარმოო თათბირთა წინადადებებისა და გადაწყვეტილებებისა. ყველა იმ ცნობების მიხედვით, რომელთა შეკრება პროფკავშირებისა და პარტიულის ხაზით ჩვენ შევსძელით, გამოირკვა, რომ 1927 წელს საწარმოო და ეკონომიურ თათბირებს გამოუტანიათ 4.983 წინადადება ამათში ცხოვრებაში გატარებულია 3.068, ე. ი. 61 პროც. რამდენიც არ ვეცადე, ვერ მოვახერხე გამეგო ან პროფკავშირებისაგან ან სამეურნეო მუშაკებისაგან, თუ რად დარჩა დანარჩენი 49 პროც. განუხორციელებელი. სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხი მე არ მიმიღია. არის პასუხი მხოლოდ ამ.-კავკ. რკინის გზებიდან, სადაც ამ წინადადებათა შესრულების პროცენტი ყველაზე უფრო დაბალია, სახელდობრ 41 პროც.

ამხანაგები ლენინის სარაიონო კომიტეტიდან ამ მოვლენის მიზეზად ასახელებენ ბიუროკრატიზმს, რომელმაც ღრმად გაიდგა ფესვები ლენინის რაიონში. რომ საწარმოო თათბირის თუნდაც უმნიშვნელო წინადადება გაატარო, ამისათვის საჭიროა ათასი ინსტანცია, ყოველნაირი ასიგნობა, რეზოლიუციები და სხვ. და, ბოლოს, მუშათა წინადადებების 59 პროც. მაინც ქვეშაა ამოდებული. მაგრამ არიან კავშირები სადაც შესრულების პროცენტი ასე თუ ისე შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. მაგ., ფეიქართა კავშირში — 81 პროც., მელითონეებში —79 პროც. მეტყავეებში — 72 პროც., წყლის ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში — 92 პროც. და სხვ. [illegible] თათბირებზე? როგორც სჩანს, წინადადებათა უდიდესი ნაწილი — 80 პროც. — ეკუთვნის მუშებს. ასე, მაგალითად, 85 წარმოების გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ 437 წინადადებიდან 328 წინადადება შეტანილი იყო მუშების მიერ, ხოლო ადმინისტრატიულ - ტეხნიკური პერსონალის მიერ — 93, ე. ი. 20 პროც.

სამეურნეო მუშაკები და საწარმოო თათბირები

ეს, რასაკვირველია, არა არის სრული გამოკვლევა, მაგრამ საკმაოდ დამახასიათებელი კია. უნდა გამოვტყდეთ რომ ეკონომიურ თათბირებსა და ჩვენს სამეურნეო მუშაკებს შორის, ჩვენი დაწესებულებების ხელმძღვანელებს შორის, დღემდე არ არის დამყარებული სავსებით ნორმალური ურთიერთობა. მაგ. ბათომში „აზნეფტტრესტი“-ს სამუშაოთა უფროსმა საწარმოო თათბირების მუშაობის შესახებ სიტყვა სიტყვით სთქვა შემდეგი: „კვერცხები ქათამს ვერაფერს ასწავლიანო“, მე ინჟენერი ვარ და მუშა ვერ მასწავლის, თუ როგორ უნდა მუშაობა წარმოებაშიო“.

მეორეს მხრით, ხშირად ყველა სამეურნეო მუშაკი არ იღებს მონაწილეობას ეკონომიურ თათბირებში, ხოლო ხშირად მონაწილეობას იღებენ იმიტომ, რომ დაამტკიცონ, რომ ეკონომიური თათბირების წინადადებები უვარგისია. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიური თათბირები, სამწუხაროდ, ხანდისხან ვერ მუშაობენ კარგად.

არა ზოგადი ფრაზები, არამედ კონკრეტული წინადადებანი

ხშირად კონკრეტულ წინადადებათა მაგივრად გამოაქვთ უშინაარსო დადგენილებები. მაგალითად, თბილისის ალმასკომის ეკონომიურმა თათბირმა მოისმინა მოხსენება და დაადგინა: „საწარმოო თათბირს დაუშვებლად მიაჩნია დეფექტები, და წინადადებას იძლევა აღმოფხვრილ იქნას ეს დეფექტები მოკლე ხანში“. მეორე წარმოებაში ასეთი რეზოლიუცია გამოიტანეს: „გამოსწორებულ იქნას ყველა საწარმოო დეფექტი“. „26 კომუნარის სახელობის“ ქარხანაში გამოტანილ იქნა ასეთი გადაწყვეტილება: „წინადადება მიეცეს ადმინისტრაციას, მიიღოს ზომები ქარხნის ორგანიზაციის საქმეში დეფექტების აღმოსაფხვრელად“. ეს ფრაზები არაფერს გვეუბნებიან, მათი საშუალებით, ცხადია, მუშაობა არ გამოსწორდება.

იმ მასალიდან, რომელიც მე თქვენ გაგაცანით, უნდა გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: დღემდე მრავალ წარმოებაში საწარმოო თათბირს ვერ გამოუნახავთ კონკრეტულად ის საკითხები, რომლებიც მათ უნდა გადასწყვიტონ. დღემდე ეკონომიურ თათბირების დღიურ წესრიგში საკითხთა უმრავლესობას საერთო ხასიათის საკითხები შეადგენენ, რომელთაც ოდნავადაც არ შეეძლოთ ხელი შეუწყონ წარმოებას ნაკლთა აღმოფხვრაში. დღემდე მოხსენებების შესახებ გამოაქვთ საერთო ხასიათის უშინაარსო რეზოლიუციები.

საწარმოო მუშაობაში ქალები უნდა ჩავაბათ

ეხლა, ამხანაგებო, ნება მომეცით გადავიდე იმ საკითხზე, თუ რამდენად ებმებიან ჩვენს საწარმოო მუშაობაში ქალები. იმავე 85 მსხვილი წარმოების გამოკვლევიდან აღმოჩნდა რომ საწარმოო ეკონომიური თათბირის 309 წევრიდან მამაკაცი არის 285, ქალი — 23, ახალგაზრდა — 26, როგორც ვხედავთ, ქალების რიცხვი უმნიშვნელოა. თამბაქოს ქარხანაში, სადაც უმთავრესად ქალები მუშაობენ, ამ ფაბრიკის საწარმოო თათბირის 9 წევრიდან არ არის არც ერთი მუშა-ქალი. იგივე სურათია ოზურგეთის აბრეშუმის სახვევ ფაბრიკაში და სხვ.

ეს მოწმობს სრულიად დაუშვებელ დამოკიდებულებას ქალების ჩაბმის საქმისადმი როგორც პარტიული ორგანიზაციებისა, ისე პროფესიონალური კავშირების მხრივ.

ცეკას დირექტივა არ არის შესრულებული

საწარმოო თათბირების მუშაობის ნაკლი, ის არის, რომ თათბირებზე მეტ წილად ისეთი საკითხები ისმება, რომლებიც უკვე გადაწყვეტილია მაღლამდგომ ორგანოებში. ამით მუშებს ერთმევათ ინიციატივა ამა თუ იმ საკითხის განხილვის დროს. ეს ხდება მიუხედავად პარტიის ცეკას დირექტივისა, რომელიც მიღებულ იქნა ამხ. გოდაპრელიძის მოხსენების გამო მიმდინარე წლის დასაწყისში. ამ დირექტივაში ნათქვამია:

„წესად უნდა იქნას შემოღებული გასატარებელ სამეურნეო ღონისძიებათა და კაპიტალური მშენებლობის ყველა საკითხის წინასწარ განხილვა მუშებთან ერთად“.

აი, ამხანაგებო, რას ამბობს პარტიის ცეკა. თბილისის მაუდის ფაბრიკაში აღმოჩნდა, ისეთი ინჟენერი, რომელმაც, როდესაც მას წინადადება მისცეს, რომ ფაბრიკის ხარჯთაღრიცხვისა და კალკულიაციის საკითხი მუშათა საერთო კრებაზე განხილულიყო, განაცხადა: „ეს სამეურნეო საიდუმლოებაა, მე მას მუშათა კრებაზე ვერ გამოვიტანო“. მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს დირექტივა შესრულებული არ არის არა მარტო სამეურნეო მუშაკების მიერ, არამედ პროფორგანიზაციების მიერაც. საქართველოს კომპარტიის ცეკას ეს დირექტივა გამომდინარეობს ჩვენი პარტიის მე-10 ყრილობის გადაწყვეტილებიდან, რომელშიაც ნათქვამია შემდეგი: „პროფკავშირები უშუალო მონაწილეობას ღებულობენ ყველა მუშაობაში ერთიანი სამეურნეო გეგმის შესადგენად და განსახორციელებლად, ამრიგად, ისინი წარმოადგენენ იმ ორგანოებს, რომლებიც მუშათა ფართო მასებს აბამენ საბჭოთა რესპუბლიკის მეურნეობის მართვა-გამგეობის საქმეში“.

მაგრამ თუ სამეურნეო მუშაკები ისეთი ყურადღებით მოეპყრნენ ამ საკითხს, როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, და თუ თვით პროფკავშირებმაც სუსტი ყურადღება მიაქციეს მას, ჩვენ ამ დირექტივას, რა თქმა უნდა, ვერ შევასრულებთ.

სადელეგატო კრებები

შემდეგ შევეხები სადელეგატო კრებების მუშაობას წარმოებებში. ამ კრებებს ცოტად თუ ბევრად სისტემატიურად იწვევენ. მაგრამ მათ მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ დეფექტებს, რომლებიც აუცილებლად უნდა დავძლიოთ. უწინარეს ყოვლისა უნდა ვთქვა, რომ სადელეგატო კრებების დღის წესრიგი კიდევ უფრო ფორმალურია, ვიდრე საწარმოო თათბირების დღის წესრიგი. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს საკითხებს ძალაუნებურად სვამენ. დღის წესრიგი დატვირთულია საერთო — პოლიტიკური საკითხებით. მომხსენებლები სადელეგატო კრებებზე მოიასუსტებენ. ყოველივე ამის გამო მუშებს ამ კრებების მუშაობა არ აინტერესებთ. აი საინტერესო ფაქტი: თბილისის ტრამვაის სადელეგატო კრებაზე, რომელსაც 400 კაცი დაესწრო, ირჩეოდა ტრამვაის განვითარების 5 წლიანი გეგმა. გამოიტანეს ასეთი რეზოლიუცია: „კონფერენცია იწონებს გეგმას და გამოსთქვამს სურვილს, რომ ის მთელი 100 პროცენტით განხორციელდეს; ჩვენის მხრივ მაქსიმალურ ენერგიას დავხარჯავთ დასახული გეგმის შესასრულებლად“. ეს სრულიად უშინაარსო სიტყვებია. რამ გამოიწვია ეს? რა თქმა უნდა იმან, რომ თვით კრება სათანადოდ არ იყო მომზადებული და ამიტომ ვერ დააინტერესა მუშები ამ გეგმის პრაქტიკული მხარეებით.

ასეთია, ამხანაგებო, საერთოდ პროფკავშირთა მასიური მუშაობის ძირითადი დეფექტები ამჟამად. პარტიის მე-10 ყრილობამ ასე განსაზღვრა პროფკავშირების როლი და მნიშვნელობა:

პროფკავშირები — კომუნიზმის სკოლაა

„პროფესიონალური კავშირები როგორც კომუნიზმის სკოლა, უნდა ემსახურებოდნენ მშრომელი მასების ყოველდღიური ცხოვრების ყველა დარგს, თანდათან უნდა აბამდნენ მშრომელთა ფართო ფენებს სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეში, ყოველთვის უნათებდნენ მათ გზას ჩვენი პროგრამის იდეებით, უნდა მიჰყავდეთ მშრომელნი კერძოდან ზოგადამდე, თანდათან აწინაურებდნენ მათ უპარტიობიდან კომუნისტებამდე“.

[illegible] ვერ შევსძელით გამოგვენახა მუშაობის ის კონკრეტული ფორმები, რომლებიც იმ ტემპით გაანაღდებდნენ პარტიის მეათე ყრილობის დადგენილებებს, რომელიც საჭიროა ჩვენი პარტიისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

შემდეგ ამავე რეზოლიუციაში ნათქვამია: „თავის როლს — კომუნიზმის სკოლის როლს — პროფკავშირები ამჟამად იმდენად შეასრულებენ, რამდენადაც ისინი იქნებიან პროლეტარული მასების ხელმძღვანელნი კომუნისტური პრაქტიკის საქმეში, ე. ი. მეურნეობის პრაქტიკული რეორგანიზაციის და მის კომუნისტურ საფუძვლებზე აგების საქმეში. საბჭოთა კავშირში მხოლოდ ის პროფკავშირი წარმოადგენს კომუნიზმის ჭეშმარიტ სკოლას, რომელსაც შეუძლია თანდათან ჩააბას მშრომელთა განსაკუთრებით ჩამორჩენილი ფენები საბჭოთა სახალხო მეურნეობის შეგნებულად გაუმჯობესებისათვის წარმოებულ მუშაობაში“.

ეს რეზოლიუცია ეხლანდელ მუშაობისათვისაც ძალაში რჩება. ის დეფექტები, რომლებიც მე აღვნიშნე, ხელს უშლიან პროფკავშირების გავლენის გაძლიერებას მუშათა კლასზე.

მასების კულტურული დონის ასაწევად

მუშათა კლუბების ნაკლოვანებანი

გადავდივარ პროფკავშირების კულტურულ მუშაობაზე. უნდა ვაღიაროთ, რომ კლუბების ის რაოდენობა, რომელიც ჩვენ გვაქვს სრულებით არ არის საკმაო პროფკავშირთა ყველა წევრის კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

კლუბების საერთო რიცხვი უდრის 71-ს, 1926 წელს კლუბები აერთიანებდნენ პროფკავშირების წევრთა 18 პროცენტს, ხოლო 1927 წელს—უკვე 19 პროცენტს. ზრდა აშკარაა, თუმცა საკმაოდ ვერ ჩაითვლება. კლუბების წევრებში მუშები შეადგენენ 44 პროცენტს, მოსამსახურეები—43 პროცენტს, მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახის წევრები—7 პროცენტს, ქალები—24 პროცენტს, ახალგაზრდობა—24 პროცენტს. პროფკავშირები უნდა შეეცადონ, რომ უფრო ჩააბან ჩვენს კლუბში მუშები და, უმთავრესად, მუშა ქალები.

რამდენად აკმაყოფილებენ კლუბები პროფკავშირების წევრთა მოთხოვნილებებს? თბილისში ასეთი სურათი გვაქვს: კლუბები თბილისში იტევენ 8.000 კაცს, მაშინ, როდესაც თბილისში პროფკავშირების წევრი 70.000-ია. საზაფხულო კლუბები იტევენ 14,000 კაცს. ამრიგად, ზამთარში კავშირის წევრს შეუძლია კლუბში მოხვდეს 8 დღეში ერთხელ, ხოლო ზაფხულში— ხუთ დღეში ერთხელ.

ჩვენს წინაშე სდგას კლუბების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანა.

ჩვენი კლუბების მუშაობის ხარისხი ჯერ კიდევ ძლიერ დაბალია. დღემდე კლუბის ესტრადებზე სჭარბობს ხალტურა, რომელიც რყვნის მუშებს და არაფერს დადებითს მათ არ აძლევს.

რა თქმა უნდა, მძიმე სამუშაო დღის შემდეგ ჩვენს მუშებს საშუალება უნდა ჰქონდეთ დაისვენონ კლუბებში, მაგრამ იმ მსუბუქ სანახაობასთან ერთად, რომელიც აკმაყოფილებს ამ ბუნებრივ მოთხოვნილებას, ართობს და აცინებს მათ, კლუბები მუშათა აუდიტორიის კულტურულ მოთხოვნილებასაც უნდა აკმაყოფილებდნენ. ხალტურასთან ერთად კლუბებში ხშირად იმართება მუსიკალურ-ვოკალური ნომრებიც. შესაძლებელია ეს ცუდი არ იყოს, რომ ამავე დროს აღმზრდელობითი მუშაობა არ მოიკოჭლებდეს. ამას გარდა სიმფონიური კონცერტები და რთული მუსიკალური კონცერტები და რთული მუსიკალური ნაწარმოებები მეტ ნაწილად იმდენად გასაგები არ არიან მუშისათვის, რამდენადაც ჩვენ ეს გვსურს. ეს ჩვენი მინუსია და ამას ანგარიში უნდა გაეწიოს.

კლუბების მუშაობაში ასახული არ არის ისეთი საკითხები, როგორიც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხები. მე ამით ის კი არ მინდა ვთქვა, რომ კლუბები საწარმოო თათბირებად უნდა გადაიქცნენ. მაგრამ, უდავოა, რომ მათ უნდა გააძლიერონ მუშაობა საწარმოო საკითხების გაშუქების საქმეში და მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მუშების კულტურულ აღზრდას.

საკლუბო მუშაობის კიდევ ერთი სერიოზული ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ კლუბის არა ყველა წევრი იღებს მონაწილეობას კლუბის აქტიურ მუშაობასა და ცხოვრებაში. საკლუბო დემოკრატია უფრო ფორმალურია. გაცხოველებული მუშაობა კლუბებში სწარმოებს მხოლოდ არჩევნების წინ. ამ პერიოდის გარდა, კლუბის წევრები თითქმის არ იღებენ მონაწილეობას საკლუბო მუშაობაში და, ამრიგად, მთელი მუშაობა აწევა დაქირავებულ მუშაკებს. რა თქმა უნდა, ეს დიდი ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

ბიბლიოთეკები მოვამარაგოთ შესაფერისი ლიტერატურით

ამხანაგებო, ჩემი მოხსენება გაგრძელდა, ამიტომ ვერ შევჩერდები მუშაობის ისეთ მნიშვნელოვან დარგებზე, როგორიცაა კინო, ბიბლიოთეკა და სხვ. აღვნიშნავ მხოლოდ ერთ მეტად დიდ ნაკლს ჩვენი ბიბლიოთეკების მუშაობაში. ლიტერატურა, რომელიც მოიპოვება ჩვენს ბიბლიოთეკებში, ნაწილდება შემდეგნაირად: ქართულ ენაზე—24 პროცენტი, სომხურზე—3,1 პროც., რუსულზე—72 პროც., ამხანაგებო, ეს ციფრები არ საჭიროებენ კომენტარიებს, ისინი ნათლად მოწმობენ საქმის არანორმალურად დაყენებას ჩვენს ბიბლიოთეკებში. აშკარაა, რომ ჩემ მიერ მოყვანილი ციფრები სრულებით ვერ გამოხატავენ საქართველოს მუშა-მოსახლეობის ნაციონალურ შემადგენლობას.

საჭიროა მივაქციოთ ყურადღება იმასაც, რომ ჩვენს ბიბლიოთეკებში სრულიად არ მოიპოვება ლიტერატურა ნაციონალურ უმცირესობათა ენებზე. საჭიროა მივიღოთ გადამჭრელი ზომები აღნიშნული დეფექტების აღმოსაფხვრელად.

რადიოს შესახებ ვიტყვი იმას, რომ იგი მუშაობს მხოლოდ მსხვილ პოლიტიკურ კამპანიების ჩატარების დროს? რადიო-გადაცემა ცუდათაა მოგვარებული, განსაკუთრებით ნაციონალურ უმცირესობათა ენებზე.

კულტმუშაობა ქალებს შორის

კულტმუშაობა მუშა-ქალთა შორის უფრო ცუდადაა დაყენებული, ვიდრე მუშებს შორის. ჩვენ ძალიან ცოტა საბავშო ბაგა და საბავშვო ბაღი მოგვეპოვება. ამავე დროს, თუ ჩვენ არ მოვაწყვეთ საკმაო რაოდენობის საბავშვო ბაგები და საბავშვო ბაღები, ვერ შევსძლებთ მერთებულად დავაყენოთ კულტმუშაობა მუშა-ქალთა შორის. გამოირკვა, რომ თბილისში საბავშო ბაღებში მოქცეულია სულ 12 პროცენტი მთელ ბავშვთა მოსახლეობისა. მდგომარეობა, როგორც ხედავთ, მეტად გამწვავებულია და ჩვენს საბჭოთა, პროფესიონალურ და სხვ. ორგანიზაციებს დასჭირდებათ სერიოზულ ღონისძიებათა მიღება ამ დარგში. შესაძლებელია, რომ წრეულს ვერ შევსძლებთ ვერაფრის გაკეთებას, ვინაიდან ეს საბიუჯეტო ხასიათის საკითხია, მაგრამ მომავალ წლისათვის მაინც ამ დიდ ნაკლს ანგარიში უნდა გაეწიოს.

საჭიროა აგრეთვე ყურადღება მიექცეს კომკავშირის საკლუბო მუშაობას და საკლუბო ადმინისტრაციის დამოკიდებულებას ამ მუშაობასთან. ყოფილა შემთხვევა, როდესაც კლუბის გამგეობას ახალგაზრდათა სექციისათვის გაუღია 2 მ. და 50 კაპ. თვეში. განა ახალგაზრდათა სექცია შეუძლია 2 მ. და 50 კაპ. აწარმოოს კულტურული მუშაობა? ამავე დროს კომკავშირელები დიდ აქტივობას იჩენენ ამ საკითხში. საჭიროა ამ აქტივობის დადებითად გამოყენება და განმტკიცება და არა დაქუცმაცება.

ჩვენი ნებაყოფლობითი საზოგადოებანი

გადავდივარ ჩვენს ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მუშაობის საკითხზე, უნდა ვაღიაროთ, რომ ერთად-ერთი ნებაყოფლობითი ორგანიზაცია, რომლის მუშაობა ნამდვილად დამაკმაყოფილებელია, რომელმაც შესძლო შემოეკრიბა თავის გარშემო მუშები, გლეხები და საინჟინერო-ტეხნიკური ძალებიც კი—ეს არის ქალაქისა და სოფლის შეკავშირების საზოგადოება.

რაც შეეხება სხვა ნებაყოფლობით ორგანიზაციებს (რემედასი, ავიაქიმი და სხვ.), უნდა პირდაპირ ვსთქვათ, რომ მათი მასიური მუშაობა მეტად ცუდად არის დაყენებული.

თუ შევადარებთ ჩვენსა და რუსეთის ნებაყოფლობით ორგანიზაციებს, წევრთა რიცხვისა და აგრეთვე საწევრო გადასახადების მხრივ, დავინახავთ, რომ ჩვენ სრულებითაც არ გვიჭირავს უკანასკნელი ადგილი.

ზოგიერთ ნებაყოფლობით ორგანიზაციას პირველი ადგილიც კი უჭირავს მთელ კავშირში. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში ვერ დაუკარგავს რწმენას მასიური მუშაობის საკითხს. საქმე იმაშია, რომ კულტურული მუშაობა ცუდადაა დაყენებული ამ საზოგადოებებში, ამ ორგანიზაციათა გავლენა მუშურ-გლეხურ მასებზე უმნიშვნელოა. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ სამეურნეო მუშაკებს და ზოგიერთ პროფკავშირის მუშაკსაც არ ესმით ნებაყოფლობითი საზოგადოებების მასიური მუშაობის ამოცანები. მაგალითად, ამიერ-კავკასიის რკინის გზათა მთავარი სახელოსნოები თავის 1927 წლის მასიურ მუშაობას აფასებენ იმ ფულადი ეკონომიის თვალსაზრისით, რომელსაც მათ მიაღწიეს.

რა თქმა უნდა, ეკონომიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს აგრეთვე ფულის შეგროვება რემედასის მიერ, რადგან ეს ფული საჭიროა ჩვენი ამხანაგებისათვის, რომლებიც იტანჯებიან კაპიტალიზმის საპყრობილეებში, მაგრამ ეს მაინც ვერ ამოხწურავს ჩვენს ამოცანას. არა ნაკლები, თუ მეტი არა, მნიშვნელობა აქვს იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ როლს, რომელსაც საერთო საბჭოთა სისტემაში თამაშობენ ნებაყოფლობითი ორგანიზაციები. რამდენად სუსტად ესმის ჩვენი ნებაყოფლობითი საზოგადოებების ბევრ ხელმძღვანელს ამ საზოგადოებათა ნამდვილი ამოცანები, სჩანს, თუ გინდ, შემდეგი მაგალითიდან. ამხანაგმა, რომელსაც ვგონებ, რემედასის მუდმივი მდივანი ეწოდება, ნებაყოფლობით საზოგადოებათა წარმომადგენლების თათბირზე, რომელიც გაიმართა პარტიის ტეხნიკურ კომიტეტთან, სთქვა: „მასიური მუშაობა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ვაგროვებთ ფულს“-ო. ამავე ამბობდა თავდაცვა-ავიაქიმის წარმომადგენელი. ცხადია, ნებაყოფლობით ორგანიზაციების „გენერალური“ და „არაგენერალური“ მდივნების ასეთი შემადგენლობით ვერ იქნება გატარებული ვერავითარი მასიური მუშაობა. საჭიროა პარტიის სამაზრო კომიტეტებმა და ჩვენმა ცენტრალურმა კომიტეტმა გადასინჯონ ნებაყოფლობით საზოგადოებათა ხელმძღვანელი შემადგენლობა, ვინაიდან ამ საზოგადოებებში გაერთიანებულ წევრთა რიცხვი წარმოადგენს მუშათა, გლეხთა და მოსამსახურეთა საგრძნობ რაოდენობას. ამ მასების დატოვება ასეთი ხელმძღვანელების ხელში ყოვლად შეუძლებელია. ასეთი ხელმძღვანელები ვერ გაშლიან მასიურ მუშაობას მუშებსა და გლეხებს შორის, ვინაიდან მათ თვითონ არ ესმით მასიური მუშაობა.

ქალაქის საბჭოები და მასიური მუშაობა

სექციური მუშაობა მოიკოჭლებს

შემდეგი საკითხი, რომელიც მოითხოვს ჩვენს ყურადღებას—არის ქალაქის საბჭოების მასიური მუშაობა.

საბჭოთა გადარჩევამ 1926 წელს საბჭოები განაახლა საშუალოდ 30 პროცენტით. სხვადასხვა ქალაქებში ეს განახლება გამოიხატება შემდეგნაირად: თბილისი—32 პროც., ბათომი – 63 პროც., ქუთაისი—43 პროც., უპარტიოთა რიცხვი ყველა საბჭოში 1926 წელს შეადგენდა 48 პროცენტს, 1927 წ.—37 პროცენტს. ვამჩნევთ უპარტიოთა რიცხვის კლებას ქალაქის საბჭოებში. მართალია თუ გინდათ, ქალაქის საბჭოს სექციები მუშაობენ მარტო თბილისში. ამასთან ეს მუშაობაც ვერ ჩაითვლება სავსებით დამაკმაყოფილებლად. რაც შეეხება სხვა ქალაქის საბჭოებს, გულახდილად უნდა ვსთქვათ, რომ იქ არავითარ სექციონურ მუშაობას არ აწარმოებენ.

თბილისში საბჭოს მონაწილეობა სექციონურ მუშაობაში გამოიხატება შემდეგში: მუშები—409 კაცი, მოსამსახურენი—267. სულ სექციონურ მუშაობაში ჩაბმულია საბჭოს 902 წევრი.

სადეპუტატო მაგიდები

როგორც უწყით, უკანასკნელ ხანებში მოეწყვეს ეგრედ წოდებული სადეპუტატო მაგიდები წარმოებებში. ჯერ-ჯერობით ამ დარგში გამოცდილება მცირეა. მაგრამ მუშაობა თითქო უკვე იშლება. ამ ცდის მარცხის მიზეზს შეადგენს ის, რომ ალმასკომმა ვერ შესძლო ამ მუშაობის სწორედ დაყენება. ერთის მხრივ, სადეპუტატო მაგიდები ხშირად ვერ აძლევენ ხეირიან პასუხს იმ საკითხებზე, რომლებიც აინტერესებენ მუშებს, მეორეს მხრივ, ალმასკომი სუსტად უპასუხებს ან სრულებით არ უპასუხებს იმ შეკითხვებზე, რომლებსაც მუშებისაგან ღებულობს, სადეპუტატო მაგიდების მეშვეობით. ეს ყოვლად დაუშვებელია. სადეპუტატო მაგიდებს შეუძლიათ არსებობა და უნდა იარსებონ კიდეც მსხვილ წარმოებებში, როგორც ისეთმა ორგანოებმა, რომლებიც ეხმარებიან საბჭოს და ალმასკომს ალღო აუღონ მუშათა სურვილებს და განწყობილებას და რომლებიც, მეორეს მხრივ, აწვდიან მუშებს ინფორმაციას მუშათა საბჭოების შესახებ.

იშვიათად იმართება გაერთიანებული სხდომები ქალაქის საბჭოებისა და ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომებისა. მაგალითად, ქუთაისში ერთი წლის განმავლობაში გაიმართა სულ ერთი ასეთი სხდომა. იშვიათად ხდება აგრეთვე ქალაქის საბჭოების სხდომის გადატანა მსხვილ წარმოებებში, მუშათა მასებში. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ასეთი სხდომა დიდ ინტერესს იწვევს მუშებში.

მუშების დაწინაურება

ბოლოს, ძალიან მოისუსტებს საბჭოს წევრ. მუშების დაწინაურების საქმე. ადგილი არა აქვს საბჭოს მუშა-დეპუტატების შემოწმებას და მათ ანგარიშებას თავიანთ ამომრჩევლთა წინაშე. შეიძლება ითქვას, რომ რევოლიუციის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი—ანგარიშგება დეპუტატისა თავის ამომრჩეველთა წინაშე, თითქმის არ ტარდება.

ქალაქის საბჭოების მუშაობაში ადგილი აქვს მრავალ ბიუროკრატიულ გადამახინჯებას. ეს დამახასიათებელია ყველა ჩვენი ქალაქის საბჭოსათვის, მაგრამ მე შევჩერდები მხოლოდ თბილისის საბჭოზე, რომელიც მაგალითს უნდა წარმოადგენდეს სხვებისათვის.

თბილისის ალმასკომის მუშაკები თვითონ აღნიშნავენ, რომ მუშათა დაწინაურება ალმასკომის აპარატში შემთხვევით ხასიათს ატარებს. ხშირად სექციას გამოაქვს დადგენილება პასუხსაგებ სამუშაოზე დაწინაურების შესახებ, პრეზიდიუმი ამტკიცებს ამ დადგენილებას, მაგრამ მას ცხოვრებაში არ ატარებენ.

ბიუროკრატიზმის ნაშთები

მუშების დაწინაურების დროს განყოფილების გამგეები დიდ წინააღმდეგობას უწევენ ალმასკომის საორგანიზაციო განყოფილებას, ერთ განყოფილების გამგეს უდიდეს პოლიტიკური კამპანიის—სახლების მუნიციპალიზაციის გატარების დროს წინადადება მისცეს გამოეყენებინა ამ მუშაობაში საბჭოს წევრი-მუშები. მან უპასუხა, მუშებს ვერ ვენდობით, რადგან ისინი ვერ დასძლევენ ამ მუშაობას. ეს აშკარა ბიუროკრატიზმია. მეორე გამგემ განაცხადა: მან არ იცის არც ერთი გაუმჯობესება, რომელიც აიხსნებოდეს სექციის პრაქტიკული მუშაობით. იმ კაცს, ვინც ასე ლაპარაკობს, სხვა სიტყვით სურს სთქვას: „ძირს სექციები“-ო. ესეც ბიუროკრატიული მიდგომაა საკითხისადმი. მუშებისათვის დახმარების აღმოჩენის ნაცვლად, იმის ნაცვლად, რომ დაუახლოვოს ისინი სახელმწიფოებრივ მუშაობას, ეს გამგე აბუჩად იგდებს მათ. ასეთ მიდგომას სექციონური მუშაობისადმი გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ.

ბიუროკრატიულ მოვლენებს ადგილი აქვთ თბილისის ალმასკომის მუშაობის სხვა დარგებშიაც. მაგალითად, შეკითხვაზე პროტექციონიზმისა და ნათლი-მამობის შესახებ ჯანმრთელობის განყოფილება უპასუხებს (როცა მას მიმართეს), რომ კოლექტიური ხელშეკრულების დადების შემდეგ ჩვენ განყოფილებაში არც ერთ ასეთ შემთხვევას ადგილი აღარ ჰქონია. ყველას შრომის ბირჟის საშუალებით ვღებულობთ, კოლექტიური ხელშეკრულება და

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მე-4 პლენუმი მასიური მუშაობის შესახებ

(რეზოლიუცია ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენების გარშემო)

გაუკეთა რა ჯამი მასიურ მუშაობას, რომელიც ჩატარდა [illegible] წარმოებებში, საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის დადგენილების შემდეგ (1927 წლის თებერვალი), პლენუმი აღნიშნავს, რომ ამ საკითხს საქართველოს პარტორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას, თუმცა პარტიის მე-XV ყრილობამ და საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის ივნისის მიმართვამ მკაფიო და ნათელი დირექტივები მოგვცა კონკრეტული საკითხების მასიური დამუშავების შესახებ, მაგრამ დღემდე ამ საქმეში ადგილი აქვს გატაცებას, ზოგად-პოლიტიკური საკითხებით, სუსტ დამუშავებას კონკრეტული მასალისა თავის წარმოების მდგომარეობის და მუშაობის შესახებ, კრებების არარეგულიარულ მოწვევას, დღის წესრიგის სუსტად მომზადებას და ზედმეტად დატვირთვას, მომხსენებელთა არაკვალიფიციურობას და სუსტ მომზადებას და სხვას.

მასიური მუშაობის თვალსაჩინო ნაკლს წარმოადგენს ფუნქციების არა საკმაო განსაზღვრა პარტორგანიზაციებსა და პროფორგანიზაციებს შორის (წვრილმანი მზრუნველობა და უჯრედების მიერ პროფორგანოს მაგივრობის გაწევა). ეს გარემოება ხშირად იწვევს პროფორგანიზაციების პასივობას და მასიური მუშაობის მთელი სიმძიმის გადატანას პარტუჯრედზე.

პლენუმი საგანგებოდ აღნიშნავს პარტორგანიზაციების მასიური მუშაობის სისუსტეს, რის მაჩვენებელიც არის, პირველ ყოვლისა, მასიური მუშაობისა და წარმოების გასაუმჯობესებელი მუშაობის ერთმანეთთან სუსტად დაკავშირება; სრულიად საკმაო არ არის ქვედა პროფორგანიზაციებისა და აგრეთვე მუშათა ფართო მასების მონაწილეობა სამეურნეო ორგანიზაციების წლიურ და საპერსპექტივო საწარმოო გეგმების განხილვაში; სუსტი ყურადღება ექცევა რაციონალიზაციის საკითხებს, შრომის ნაყოფიერებას, მუშებისა და მუშა-ქალების დაწინაურებას, საბჭოთა-სამეურნეო აპარატების გამუშურებას და ამავე დროს საკმაოდ არ არიან ჩაბმულნი უპარტიო მუშათა მასები ამ მუშაობაში.

ც. კ. აღნიშნავს მასიური მუშაობის სისუსტეს მუშა ქალებსა და მუშების ცოლებს შორის; ამის უმთავრესი მაჩვენებელია მუშა ქალების მეტის-მეტად ნაკლები ჩაბმა სადელეგატო კრებებში, საწარმოო-ეკონომიურ თათბირებში და სხვა.

პლენუმი აღნიშნავს პარტიის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საჭიროებას მასიურ მუშაობაში იმ მიზნით, რომ მუშები და მუშა ქალები ჩაბმულ იქნან სამეურნეო, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანოების პრაქტიკულ მუშაობაში. პარტორგანიზაციები უნდა ეცადონ, რომ პროფორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ მასიურ მუშაობაში წარმოებებზე და თვითონ ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ ამ მუშაობას.

პლენუმი აღნიშნავს აგრეთვე, რომ პარტუჯრედები საკმაო ხელმძღვანელობას არ უწევენ კომკავშირის მასიურ მუშაობას.

პლენუმი ემყარება ზემოთ აღნიშნულს და ადგენს:

1. პარტიის ზრდის მოწესრიგების საკითხის შესახებ მოცემულ საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მე-3 პლენუმის დირექტივების განსახორციელებლად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სისტემატიურ მუშაობას უპარტიო აქტივისტი მუშებისა და მუშა ქალების ჩასაბმელად პარტიაში. ამ მიზნით უჯრედებმა სისტემატიური და გაძლიერებული მუშაობა უნდა აწარმოონ უპარტიო მუშათა აქტივთან.

2. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პარტიული აქტივის ყოველდღიურ მზადებას; სამისოდ, პირველ ყოვლისა, გაუმჯობესდეს უჯრედის მიერ გასახილველი საკითხების [illegible] უნდა ხელმძღვანელობდეს პარტორგანიზაციების და აგიტპროპორგანიზატორების მუშაობას და აუმჯობესებდეს პარტგანათლების და კულტურული მუშაობის ღირსებას.

3. მასიურ მუშაობას საფუძვლად დაედოს საგეგმო და სხვა სამეურნეო-საწარმოო საკითხების დამუშავება (გენერალური გეგმების განხილვა, წარმოების რაციონალიზაცია, შრომის ნაყოფიერება, კოლექტიური ხელშეკრულებანი, მუშებისა და მუშა ქალების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საკითხები, საწარმოთა ხელახალი მოწყობა და სხვ.); ამ მუშაობაში უნდა უზრუნველყოფილ იქნას უჯრედების პრაქტიკული ხელმძღვანელობა და მასში მაქსიმალურად იქნან ჩაბმულნი უპარტიო მუშები და მუშა ქალები, აგრეთვე საინჟინერო-ტეხნიკური მუშაკები. მსხვილ წარმოებებში მასიური მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილ უნდა იქნას ცეხებში, რითაც განხორციელდება უჯრედისა და პროფორგანიზაციის მეტი კავშირი უპარტიო მასებთან და უზრუნველყოფილი იქნება უჯრედების უახლოესი მონაწილეობა ადგილობრივი პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში.

4. პლენუმი აღნიშნავს, რომ ახალი მშენებლობის მუშები ჯერ კიდევ საკმაოდ არ არიან ჩაბმულნი მასიურ მუშაობაში. ამიტომ პლენუმი წინადადებას აძლევს პარტორგანიზაციებს გააძლიერონ ახალი მუშების ჩაბმა საბჭოთა, სამეურნეო და პროფესიონალური ორგანოების მუშაობაში.

5. პლენუმი აღნიშნავს, რომ სამეურნეო მუშაკების უმრავლესობა არ ასრულებს ცეკას 19 აპრილის დირექტივას სამეურნეო გეგმების მუშათა ფართო კრებებზე წინასწარ დამუშავების შესახებ. ამიტომ პლენუმი წინადადებას აძლევს ს. მ. უ. საბჭოს ფრაქციას, რომ უკანასკნელმა ყველა წარმოების ხელმძღვანელს მისცეს დირექტივა სამეურნეო გეგმების დამუშავების შესახებ და მიიღოს გადამჭრელი ზომები აღნიშნულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

6. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სადელეგატო კრებების მუშაობას. მათ მუშაობაში მეტი ადგილი უნდა დაეთმოს საკუთარი წარმოების კონკრეტულ საკითხებს, და მხედველობაში მიღებულ და გამოყენებულ უნდა იქნეს ყოველი ცალკე მუშისა და მუშა ქალის საქმიანი მითითება.

7. მასიური კულტმუშაობის დარგში აღებული უნდა იქნეს მტკიცე კურსი მუშათა მასების საერთო და პროფტეხნიკური განათლების დონის ასაწევად და მათი კულტურულ-ყოფაცხოვრებითი პირობების გასაუმჯობესებლად. საჭიროა სისტემატიური მუშაობა მუშებისა და მუშა ქალების კვალიფიკაციის ასაწევად.

თბილისში მუშათა უნივერსიტეტის არსებობასთან ერთად პლენუმს საჭიროდ მიაჩნია მუშათა საღამოს სკოლების ქსელის გაშლა და კლუბებთან თვითგანვითარების წრეების მოწყობა.

აუცილებლად უნდა გაუმჯობესებულ იქნას კლუბების და წითელი წრეების მასიური მუშაობის ხარისხი (კლუბებიდან უნდა განიდევნოს მასების გამრყვნელი ხალტურა), უნდა მოეწყოს კულტმუშაობა საერთო საცხოვრებლებში და მთელ ამ მუშაობაში საწარმოო ელემენტი უნდა იქნეს შეტანილი. აგრეთვე უნდა გაძლიერდეს პარტხელმძღვანელობა კლუბების კულტკომისიებისა და კედლის გაზეთების მუშაობაში.

8. პლენუმი ადასტურებს, რომ საჭიროა საბჭოთა და სამეურნეო აპარატებში მუშათა შემადგენლობის შემდგომი გაძლიერება, რისთვისაც პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელ საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე მუშაკებისა და მუშა ქალების [illegible]. დაწინაურება უმთავრესად უნდა ტარდებოდეს პროფკავშირების და ქალაქის საბჭოების სექციების მეშვეობით, პირველ რიგში აქტივისტთა რიცხვიდან, საწარმოო თათბირებიდან, ქალაქის საბჭოების სექციებიდან და სხვ. ამასთან ერთად საჭიროა, რომ ის უპარტიო მუშები და მუშა ქალები, რომლებიც საბჭოს წევრები არ არიან, უფრო ძლიერ ჩაიბან საბჭოს სექ- [illegible] ღწეულ იქნას ისეთი მდგომარეობა, რომ დეპუტატები სისტემატიურად მუშაობდნენ როგორც წარმოებებში, ისე საბჭოში, ამასთანავე მათ უნდა აღმოუჩინოს ყოველმხრივი დახმარება.

9. ნებაყოფლობითი საზოგადოებათა მუშაობა მიზნად უნდა ისახავდეს აქტივის აღზრდას და განვითარებას და საზოგადოებათა რიგებში მუშათა ახალი და ახალი კადრების ჩაბმას. საჭიროა, რომ ნებაყოფლობითი საზოგადოებანი წარმოებებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ცალკე პოლიტიკურ კამპანიებში (რემედასი—საერთაშორისო მდგომარეობა; თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება—საბჭოთა კავშირის თავდაცვა; სოფლისა და ქალაქის დაკავშირებისათვის ხელის შემწყობი საზოგადოება—სოფლად მუშაობა); ამასთან ერთად უნდა მიღწეულ იქნას ისეთი მდგომარეობა, რომ ნებაყოფლობითი საზოგადოებების წევრობა ზედმეტად არ ტვირთავდეს მუშის თავისუფალ დროს.

10. საჭიროა განსაკუთრებით სასტიკად თვალყურის დევნება იმისათვის, თუ როგორ ტარდებიან ცხოვრებაში პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების გადაწყვეტილებანი; სათანადოთ უნდა იქნეს დაყენებული მუშათა მასებისათვის ინფორმაციის მიწოდება ამ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შესახებ. ამასთან ერთად საჭიროა, რომ წარმოების ყოველმა მუშამ და მუშა ქალმა იცოდეს საერთო და სადელეგატო კრებების, საწარმოო და ეკონომიური თათბირების და სხვ. დადგენილებათა შედეგები.

11. პლენუმი აღნიშნავს, რომ თითქმის სრულებით არ არსებობს მასიური ლიტერატურა ნაციონალურ ენებზე (ქართული, სომხური, აფხაზური, ოსური და თურქული). ამიტომ პლენუმი ავალებს ცეკას პრეზიდიუმს შეიმუშაოს მასიური ლიტერატურის გამოცემის გეგმა მუშაობის სათანადო დარგების მიხედვით (ქალაქის საბჭოები, პროფმუშაობა, პარტმუშაობა და სხვ.)

12. პლენუმი აღნიშნავს, რომ პრესას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს მუშათა ფართო მასების ჩაბმის მხრივ ჩვენი მშენებლობის დეფექტების გამოსააშკარავებლად წარმოებულ მუშაობაში; მას აგრეთვე მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს იმ მხრივ, რომ თავის ირგვლივ რაზმავს მუშათა კორესპონდენტების კადრებს, რომლებიც ხელს უწყობენ აღნიშნულ მუშაობას. მაგრამ ამასთან ერთად პლენუმი აღნიშნავს, რომ მასები ჯერ კიდევ საკმაოდ არ არიან ჩაბმულნი ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მუშაობაში.

პლენუმი წინადადებას აძლევს პარტორგანიზაციებს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს გააძლიერონ ჩაბმა ცალკე ორგანიზაციების გამოსაკვლევად წარმოებულ მუშაობაში და უფრო დაუკავშირონ ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა პრესას და მუშათა მასიურ ორგანიზაციებს (პროფკავშირები, ქალაქის საბჭოების სექციები და სხვ.)

ცეკა აღნიშნავს, რომ მასიური მუშაობის წესიერად გაშლის ძირითად და აუცილებელ პირობას წარმოადგენს თვითკრიტიკის ყოველმხრივ განვითარება მუშათა კლასის ფართო მასებში—შინაპარტიული და პროფკავშირული დემოკრატიის საფუძველზე. პარტიამ და პროფკავშირებმა ენერგიული წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ ბიუროკრატიულ მიდგომას თვითკრიტიკის განხორციელების საკითხებისადმი (შევიწროება, დევნა მხილებისათვის და სხვ.)

თვითკრიტიკა უნდა ანვითარებდეს მასების აქტუალურ თვითმოქმედებას, უნდა აბამდეს ამ მასებს სოციალისტურ მშენებლობაში და ამავე დროს უნდა წარმოადგენდეს ჩვენი დეფექტებისა და მიღწევების აღრიცხვის საუკეთესო იარაღს. ამ დეფექტებსა და მიღწევებს კარგად უნდა გაეცნონ მუშათა ფართო მასები, რამაც უნდა გამოიწვიოს მათი აქტივობისა და თვითმოქმედების ზრდა.

[illegible] ამოცანები, რომლებიც დგანან მთელი მუშათა კლასის წინაშე ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და მთელი შემდგომი მშენებლობის საქმეში, დაჟინებით გვიკარნახებენ, რომ საჭიროა გაღრმავდეს და გაძლიერდეს მასიური მუშაობა და თვითკრიტიკა, როგორც მძლავრი იარაღი ფართო მასების ჩასაბმელად სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკულ მუშაობაში.

დო 5 წლის წინად. ვინ დაუჯერებს ჯანმრთელობის განყოფილებას, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში არ მომხდარიყოს არც ერთი შემთხვევა პროტექციონიზმისა? რა შეიძლება ვუწოდოთ ასეთ პასუხს, თუ არა ბიუროკრატიული, ფორმალური პასუხი?

შეიძლებოდა მოგვეყვანა ბევრი მაგალითი ტფილისის აღმასკომის აპარატის ბიუროკრატიზმის საილუსტრაციოთ. მაგრამ მე აღარ შევჩერდები ამ მაგალითებზე, რადგან ყველასათვის ცნობილია ეს. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ თბილისშიაც კი, სადაც ჩვენი პარტიული და პროფესიონალური კონტროლი უფრო ძლიერია,—აქაც კი აქვს ადგილი მთელ რიგ ბიუროკრატიულ გადახვევებს. საქართველოს სხვა ქალაქებში ბიუროკრატიზმის შემთხვევები, რა თქმა უნდა, უფრო ხშირი იქნება.

საბჭოების მასიური მუშაობა უნდა გავაძლიეროთ

ზოგიერთ ქალაქში საბჭოების მუშაობის ადგილს იჭერს აღმასკომების მუშაობა, ხოლო აღმასკომების მუშაობის ადგილს—მათი პრეზიდიუმების მუშაობა.

საბჭო უნდა წარმოადგენდეს ამა თუ იმ ქალაქის ან რაიონის ნამდვილ და სრულუფლებიან პატრონს, მაგრამ საბჭოების ყველა უფლება მიითვისეს აღმასკომებმა. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ საბჭო იყოს მომქმედი ორგანიზაცია, ისეთი კოლექტივი, რომელიც პასუხს აგებს ქალაქში წარმოებულ ყველა მუშაობისათვის. საჭიროა გამოვაფხიზლოთ ის ამხანაგები, რომლებსაც არ ესმით საბჭოების მასიური მუშაობის მნიშვნელობა და ყურადღებას არ აქცევენ სექციების მუშაობას. ამასთან დაკავშირებით, მე მსურს გაგახსენოთ პარტიის მე-8 ყრილობის გადაწყვეტილება, სადაც ნათქვამია: „პარტიის ბევრი წევრი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ეს სახელმწ. მუშაობა, შორდება მასებს და ავადდება ბიუროკრატიზმით", ასე ემართება ხშირად საბჭოს ბევრ წევრ-მუშასაც. საჭიროა დაუყოვნებლივ დავიწყოთ გადამწყვეტი ბრძოლა ამ ბოროტების წინააღმდეგ. საბჭოს წევრ-კომუნისტებს აუცილებლად უნდა დავავალოთ—ანგარიშები წარუდგინონ ხოლმე თავიანთ ამომრჩევლებს ორ კვირაში ერთხელ მაინც. ის მუშები, რომლებიც ზედიზედ სამ თვეს საბჭოების მუშაობაზე ატარებენ, ერთი თვით მაინც უნდა დავაბრუნოთ ხოლმე ქარხანაში. ყველა საბჭოთა მუშაკი—პარტიის წევრი ვალდებულია ასრულებდეს რაიმე პარტიულ მუშაობას თავის რაიონში. ყოველი კომუნისტი ვალდებულია იყოს პროფკავშირის წევრი და ესწრებოდეს მის სხდომებს.

უადგილო არ იქნება აღვნიშნო ისიც, რომ ხშირად პარტიის წევრი პროფკავშირში არ ირიცხება, ეს, რა თქმა უნდა, ყოვლად დაუშვებელია.

რამდენიმე სიტყვა მუშების დაწინაურების შესახებ. მიუხედავად დიდი სურვილისა, ჩვენ, სამწუხაროდ ვერ მივიღეთ ციფრობრივი ცნობები ამ საკითხის შესახებ. საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ გვიპასუხა, რომ მას არ შეუძლია მოგვცეს სწორი ცნობები, რადგან სულ ცოტა ხანია, რაც მან მიიღო საანგარიშო ბარათები საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოსაგან, ის ციფრები, რომლებიც მას შეუძლია, შემოწმებული არ არის. საბჭო ვერ იკისრებს პასუხისმგებლობას მათი სისწორისათვის. მაგრამ ამ ციფრების დაუხმარებლადაც შეიძლება ვთქვათ, რომ მუშების დაწინაურების საქმე ძალიან მოისუსტებს, უმთავრესად იმიტომ, რომ პროფესიონალური საბჭოები სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, ხოლო ჩვენი უჯრედები და ადგილობრივი პარტორგანიზაციები ხშირად ითვისებდნენ კავშირების ფუნქციებს, გვერდს უხვევდნენ მათ და თვითონ უშუალოდ აწინაურებდნენ მუშებს სახელმწიფო და სამეურნეო სამუშაოზე. ამით არევ-დარევა და უწესობა შეჰქონდათ ამ მუშაობაში.

ამის დასადასტურებლად მრავალი მაგალითის მოყვანა შემეძლო სამტრედიის, თბილისის და სხვა რაიონისა და ქალაქის სინამდვილიდან.

კოოპერატიული თვითმოქმედების გაძლიერებისათვის

რაც შეეხება კოოპერაციის მასიურ მუშაობას, უნდა ითქვას, რომ სამომხმარებლო კოოპერაციას მრავალი მიღწევა აქვს ამ დარგში, მაგრამ ბევრი დეფექტი მოეპოება. უმთავრეს დეფექტს წარმოადგენს წრეების მუშაობის სუსტად დაყენება და აგრეთვე ის, რომ ამ მუშაობისათვის არ მოგვეპოვებოდა ხელმძღვანელები. ეს ჩვენი დანაშაული კი არა, ჩვენი უბედურებაა: ჩვენ არა გვყავს იმდენი მომზადებული ამხანაგი, რომ მათ შეეძლოთ ხელმძღვანელობა გაუწიონ მშრომელთა თვითგანათლების და კოოპერატიული შეგნების განვითარების წრეებს.

სუსტია სადუქნო კომისიების მუშაობა. მე, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ მთელ საქართველოს. ბოლოს, სუსტია რწმუნებულთა მუშაობაც. აქაც როგორც საბჭოების მუშა-წევრებს შორის, სუსტად არის დაყენებული ანგარიშგების საქმე ამომრჩეველთა წინაშე. ეს ემჩნევა ქალაქსაც და სოფელსაც, მაგრამ სოფელი უფრო მეტად, ვიდრე ქალაქს.

ჩემი მოხსენება ეხება მასიურ მუშაობას წარმოებებზე, მაგრამ ნებას მივცემ ჩემ თავს მოვიყვანო მაგალითი, რომელიც შეეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, რათა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში მომუშავე ამხანაგებმა მეტი ყურადღება მიაქციონ თავიანთ მუშაობას, ვინაიდან პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმზე, უეჭველია, დაისმება საკითხი მასიური მუშაობის შესახებ სოფლად. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელმძღვანელმა განაცხადა: „რა არის მასიური მუშაობა? მასიურ მუშაობად ჩვენ მიგვაჩნია ისეთი მუშაობა, რომელსაც ეწოდება მოანგარიშეთა გადამზადება. ადგილებზე მომუშავე მოანგარიშეებს დიდი ნაკლი აქვთ (ხმები ადგილებიდან: „ეგ არ არის მასიური მუშაობა")—თუ თქვენ არა სთვლით ამას მასიურ მუშაობად, ჩვენ ვთვლით ასეთად". და შემდეგ:

„...მასიური მუშაობა მდგომარეობს შემდეგში: უწინარეს ყოვლისა, სოფლის კავშირი ურჩან **სცდილობდა მხოლოდ მოეწესრიგებია** კავშირი მთელ ჩვენ ქვედა ქსელსა და ცენტრს შორის"...

(ამხ. ნაფეტვარიძის სიტყვა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტთან გამართულ თათბირზე მასიური მუშაობის საკითხების შესახებ).

ასეთი განცხადება აშკარა ლაპსუსია, რომელიც ამტკიცებს, რომ ამხანაგს სრულებით არ ესმის მასიური მუშაობის ამოცანები, რომ? იგი არ იცნობს ჩვენს ლიტერატურას და პარტიის დადგენილებებს. უამისოდ კი 1928 წელს შეუძლებელია ხელმძღვანელობის გაწევა პასუხსაგებ სამეურნეო და პარტიულ მუშაობისათვის.

გავაღრმავოთ მასიური მუშაობა

დასასრულ მინდა მოკლედ აღვნიშნო, რა მნიშვნელობა აქვს მასიურ მუშაობას საქართველოს სპეციფიურ პირობებში. გუშინ და დღეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორის ამხ. პშენიცინის მოხსენების გამო აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს კომპარტიამ ჩაატარა უდიდესი მუშაობა ანტი-საბჭოთა პარტიების ლიკვიდაციისა და განადგურების საქმეში, იმ პარტიების, რომლებიც წარსულში მეტად ძლიერნი იყვნენ საქართველოში; რომ ძალიან ბევრია გაკეთებული მუშათა მასების მისაზიდად და ჩასაბმელად კომპარტიაში. მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მენშევიზმი საქართველოში მთლად აღმოფხვრილი და განადგურებულია. მენშევიზმი, როგორც პოლიტიკური პარტია, როგორც ისეთი პოლიტიკური ფაქტორი, რომელიც რაიმე როლს თამაშობდეს ჩვენი მუშებისა და გლეხების საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უეჭველია განადგურებულია და ჩვენს განსაკუთრებით წვრილ ბურჟუაზიულ პირობებში მოხსპოლილია. მაგრამ მენშევიზმი, როგორც პოლიტიკური მოვლენა, ჯერ კიდევ დიდხანს ისარგებლებს ანტი საბჭოთა ჯგუფების განწყობილებაში.

ეს გარემოება უფრო მეტად გვავალებს მასიური მუშაობის გაღრმავებას და გაძლიერებას მუშებსა და გლეხებს შორის. ის პოლიტიკური განწყობილება და ის სიმპატიები, რომელსაც მუშათა კლასი კომპარტიის მიმართ იჩენს, ორგანიზაციულად უნდა ჩამოყალიბდეს, და განმტკიცდეს ჩვენი პრაქტიკული მუშაობით, იმით, რომ მუშათა კლასი და გლეხობა ჩაბმულ იქნენ ჩვენს სამ., პარტიულ და პროფესიონალურ მუშაობაში.. მასიური მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ლოზუნგს წარმოადგენს თვითკრიტიკის ლოზუნგი. თვითკრიტიკამ, ეჭვი არ არის უფრო მეტი აქტივობა მიანიჭა მუშათა კლასს. მან უფრო მეტად შეამჭიდროვა იგი კომპარტიის გარშემო. ყველგან, მაზრებსა და თბილისში აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგის გატარებასთან დაკავშირებით, მოხდა მუშათა მასების უდავო აქტივიზაცია, საწარმოო თათბირების მუშაობის ხარისხობრივი და რიცხვობრივი გაუმჯობესება, მუშები მეტ აქტივობას იჩენენ სხდომებსა და კრებებზე. თვითკრიტიკამ უკვე მოაწყო პარტიული და უპარტიო ქვედა მასების შეგნებამდე, მაგრამ მან ჯერ საკმაოდ ვერ შეარხია მუშათა და გლეხთა ფართო მასები. საჭიროა უფრო მეტი მუშაობა თვითკრიტიკის გატარების დროს საჭიროა ყველგან, ყველა წრეში და ყველა საწარმოში, განსაკუთრებული მიდგომა და ანგარიშის გაწევა იმ თავისებურებისათვის, რომელსაც ადგილი აქვს ამა თუ იმ სამუშაო უბანში.

თვითკრიტიკის სერიოზულად გატარების გარეშე შეუძლებელია შესრულება იმ დიდი ამოცანებისა, რომელნიც დგანან პარტიის წინაშე და რომელნიც ეხებიან ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და წარმოების რაციონალიზაციას, კულტურულ რევოლუციას, სოფლის მეურნეობის გარდაქმნას. თვითკრიტიკის პრაქტიკაში თავი იჩინა მრავალმა დეფექტმა. იყო შემთხვევები, როდესაც თვითკრიტიკა გადაიქცა სამეურნეო მუშაკთა დევნად. მაგრამ იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თვით სამეურნეო მუშაკები ან ცალკე გაკრიტიკებული ამხანაგები ან პროფესიონალური და პარტიული მუშაკები მეტად მკვახედ გამოეხმაურნენ თვითკრიტიკას. ისინი მავნებლად თვლიან ამ ლოზუნგს და ზოგჯერ ცდილობენ ძალა დაუკარგონ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს. ისინი ამტკიცებენ, რომ თვითკრიტიკა ამჟამად დიდი ფუფუნებაა, იგი ხელსაყრელია ჩვენი მტრებისათვისო. საჭიროა ავლაგმოთ ყველა, ვინც ბოროტად იყენებს ამ სალ ლოზუნგს: მაგრამ უფრო მეტად საჭიროა წესრიგისაკენ მოვუწოდოთ იმ ამხანაგებს, რომელნიც ცდილობენ გააბათილონ პარტიის ეს უმნიშვნელოვანესი ლოზუნგი. თვითკრიტიკა ჩვენთვის უაღრესად საჭიროა, მაგრამ თვითკრიტიკა მხოლოდ მაშინ აღწევს მიზანს, როცა ობიექტიურად, ამხანაგურად აშკარავდება ჩვენი დეფექტები, როცა ეს თვითკრიტიკა ეხმარება ამა თუ იმ სამეურნეო მუშაკს—გაუძლევს მძიმე და პასუხსაგებ მუშაობას თუ თვითკრიტიკას ასე დავაყენებთ, გამოვასწორებთ მასიურ მუშაობას და ავიყვანთ მას სათანადო სიმაღლეზე.

კამათი ამხ. ღოღობერიძის მოხსენების გარშემო

ამხ. ღოღობერიძის მიერ მასიური მუშაობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო გაცხოველებული კამათი გაიმართა. პირველად გამოვიდა ამხ. ანთიძე.

ამხ. ანთიძე

შეჩერდა აქტივის საკითხზე. მან აღნიშნა, რომ არსებული აქტივის რიცხვობრივი აღნუსხვა შემცდარია და არ შეეფერება სინამდვილეს; ეს იმით აიხსნება, რომ ერთი კაცი აღირიცხება, როგორც ცალკე ერთეული დატვირთვის რამდენიმე სახის მიხედვით. საწარმოთა მასიურ მუშაობას ვნებს, უმთავრესად, დატვირთვის სწორი განაწილების უქონლობა. აქტივისტები ზედმეტად არიან დატვირთულნი და ამასთანავე ნაკლებად მომზადებულნიც. ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა უფრო ფართო მასების ჩაბმას საზოგადოებრივ მუშაობაში, დატვირთვის სწორ განაწილებას და აქტივთან მუშაობას.

ამხ. ესაიანი

თავის სიტყვაში შეეხო მასიური მუშაობის საკითხს ქალთა შორის. მან აღნიშნა, ამ მუშაობის სისუსტე იმით აიხსნება, რომ საკმაოდ ვერ არის გაგებული პარტიის დირექტივები ქალთა შორის მუშაობის შესახებ. მასიური მუშაობა ამოიწურება დელეგატი ქალების ამორჩევით. მუშა ქალთა აქტივის ორგანიზაციასა და აღზრდას არც პროფკავშირები აქცევენ ყურადღებას, არც უჯრედები. ამით აიხსნება პარტიაში ქალთა რიცხვის ზრდის სუსტი ტემპი, მუშა ქალების სუსტი მონაწილეობა წარმოების ცხოვრებაში. პარტიის დირექტივა ქალთა ორგანიზატორების პროფსაზით გაუქმების შესახებ ისეა გაგებული, თითქოს საჭირო არ იყოს არავითარი მასიური მუშაობა ქალთა შორის. საჭიროა ადგილობრივ მკაფიო დირექტივების დაგზავნა იმის შესახებ, რომ პროფკავშირებმა და პარტორგანიზაციებმა გააძლიერონ მასიური მუშაობა ქალთა შორის. შემდეგ ამხ. ესაიანი შეჩერდა საბჭოების, კოოპერაციის და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში ქალთა ჩაბმის დეფექტებზე, აგრეთვე იმ დეფექტებზე, რომლებიც ახასიათებს ქალთა ჩაბმის საქმეს სწავლაში, მათ განთავისუფლებას ოჯახ-ცხოვრების უღლისაგან და მუშა ქალების დაწინაურებას ხელმძღვანელ მუშაობაზე.

ამხ. კორსავუმა

აღნიშნა, რომ საწარმოო უჯრედთა მასიური მუშაობა უნდა გაძლიერდეს და ეს საჭიროა აღინიშნოს პლენუმის რეზოლიუციაში. საწარმოებში ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ამოცანას შეადგენს მუშათა ფართო მასების ხელახალი აღზრდა. ჩვენ პირისპირ უნდა მოუდგეთ ამ საკითხს. ჩვენ საწარმოო უჯრედებს კი ჯერ მცირე მუშაობა აქვთ გაწეული უპარტიო აქტივის აღზრდის საქმეში. ჩვენი უჯრედების დღის წესრიგში ძალიან იშვიათად გვხვდება წარმოების რაციონალიზაციის საკითხის განხილვა. ჩვენი უჯრედები უნდა გადავაქციოთ წარმოების ცხოვრების ცენტრად, რათა თვითეული პარტიული სწორედ გამოეხმაუროს წარმოების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. პარტაქტივთან მუშაობა მოწესრიგებული არაა, მას აკლია გეგმიანობა, რასაც შედეგად მოსდევს პარტაქტივის ზრდის ნელი ტემპი, მეტადრე მუშათა ახალ ფენებს შორის. უპარტიო მუშათა აქტივის შესახებ კი, რომელიც პარტუჯრედისა და უპარტიო მასის ერთ-ერთ დამაკავშირებელ ძალას წარმოადგენს, შემდეგი უნდა ითქვას: საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ უპარტიო აქტივთა მუშაობა სისტემატიურად. გეგმიანობის წესით სწარმოებდეს, აგრეთვე საჭიროა უპარტიო აქტივის შესწავლა და აღრიცხვა საწარმოებში.

ამხ. გაბაშვილმა

აღნიშნა, რომ თითქოს არ არსებობს საწარმოო კრებების გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი. ფრიად სერიოზული საქმე — მუშათა გამომგონებლობა — დღევანდლამდე ვერ გაუგია ბევრს სამეურნეო ორგანიზაციას და რამდენიმე სასარგებლო და ძვირფასი გამოგონება უქმად არის გაჩერებული მთელი წლობით. საწარმოო თათბირთა დადგენილებანი და მუშათა ყველა ახალი გამოგონება უნდა ეცნობოს მასებს, რათა ისინი უფრო მეტად იქნან ჩაბმულნი საწარმოო თათბირთა მუშაობაში. შემდეგ ამხ. გაბაშვილი შეჩერდა სადეპუტატო მაგიდების მუშაობაზე საწარმოებში. ხშირად ამ მაგიდებზე მომუშავე დეპუტატები, საკმაო მოუმზადებლობის გამო, ვერ უძლევებიან დაკისრებულ ამოცანებს. საჭიროა შემოღებულ იქნას პასუხისმგებელი ამხანაგების მიმაგრება სადეპუტატო მაგიდებზე. საკლუბო მუშაობის შესახებ ორატორმა სთქვა: საკლუბო მუშაობა საწარმოებში კიდევ უფრო მეტად მოიკოჭლებს სხვადასხვა არსებითი ნაკლის წყალობით, იგი ძალიან სუსტად არის დაყენებული საჭიროა გამოცოცხლდეს საკლუბო მუშაობა და შეტანილ იქნას მასში მასიური მუშაობის ელემენტები.

ამხ. ფანცხავა.

აღნიშნავს, რომ მასიური მუშაობა უნდა განვითარდეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის მოწოდების საფუძველზე და ამ მუშაობაში გეგმაშეწონილად უნდა იქნან ჩაბმული მუშათა უფართოესი მასები. ორატორი ეხება დელეგატების საცეხო კრებების მუშაობას და აღნიშნავს, რომ ამ კრებებმა უნდა გამოარკვიონ მუშათა მასების საჭიროებანი და მოთხოვნილებანი, რომლებიც შემდეგ უნდა განიხილონ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა. ადგილკომებმა და პროფკავშირებმა. შემდეგ ორატორი ეხება ერთ საყურადღებო მომენტს—მასიურ მუშაობას საინჟინერო-ტეხნიკურ ძალთა შორის და მათ ჩაბმას საწარმოო თათბირების მუშაობაში.

ამხ. მაჩაიძე.

ეხება მასიური მუშაობის სისუსტის მიზეზებს და აღნიშნავს, რომ კავშირების გამგეობების მიერ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების. ანკეტებითა და სხვადასხვა ქაღალდებით დატვირთულ აურესებს უკანასკნელთა მუშაობის ხარისხ. შემდეგ ამხ. მაჩაიძე აღნიშნავს, რომ კომუნისტები აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობენ მუშათა საერთო კრებებში.

შემდეგ ამხ. მაჩაიძე ეხება საკლუბო მშენებლობას და აღნიშნავს, რომ ეს მშენებლობა უფრო გაძლიერებული ტემპით უნდა სწარმოებდეს, ვინაიდან კლუბების ნაკლებობა საგრძნობლად აფერხებს მასიური მუშაობის გატარებასა და გაცხოველებას. (ადს).

საბჭოთა საქართველო

წერილები

კინო სოფლად

გლეხობის კულტურულ დონის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოძრავი კინო, დღეს საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს კინო-მეურნეობის განვითარებისათვის. მიუხედავად ასეთი ღონისძიებისა, კინო სოფლად ჯერ კიდევ ვერ არის ისე გამოყენებული, როგორც ეს საჭიროა. ბევრი ისეთი კინო-სურათებია, რომლებიც გამოუსადეგარია გლეხობისათვის. რომლისთვის საჭიროა ისეთი კინო-სურათები, რომელიც მატარებელი იქნება მეცნიერული და რევოლიუციონური შინაარსის სიფრთხილით შერჩეული და შინაარსიანი კინო-სურათები, გლეხობის გათვითცნობიერების საქმეში შეასრულებენ თვალსაჩინო და ღირსშესანიშნავ როლს. ის მეტს შეაგნებინებს სოფლის მეურნე გლეხს. ვიდრე კარგი აგიტატორ-პროპაგანდისტი.

კინომ, როგორც აგიტაციის ყველაზე იოლ საშუალებამ, ნათელი და სწორი წარმოდგენა უნდა მისცეს გლეხობას—მაგ. აგრონომიადან, სხვადასხვა მიღწევებისა და ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შესახებ, რეოლიგიისა და ახალი ყოფა-ცხოვრების დარგიდან, რევ. მოძრაობიდან და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მოძრავი კინოები მაზრაღმასკომებისა და პოლიტგანის ხელმძღვანელობის ქვეშაა:. მოძრავი კინოს რიცხვი მაზრებში თითზე ჩამოითვლებიან. საჭიროა მოძრავ კინოების რიცხვის გამრავლება, რადგან ხარჯებს თვით აინაზღაურებს და მნიშვნელობა კი განუსაზღვრელია.

ვლ. გალდავა.

—:—

დაუდევრობის ერთი ნიმუში
(წერილი ბორჩალოდან)

ბორჩალოს მაზრაში ტყის დაცვის საკითხი ჯერ კიდევ ვერ მოგვარდა სათანადოდ.

მაზრის სატყეო ადმინისტრაციის ძირიანად გადახალისების შემდეგ, ცოტათი დაეტყო ამ საქმეს გამოცოცხლება. მაგრამ ის დაუდევრობა, რომელიც სატყეო ადმინისტრაციის გულგრილობით მოხდა, მაინც საგრძნობია.

ბორჩალოს მაზრაში, არის ხე-ტყის მასალის საექსპორტო ადგილები, როგორც მაგ. ჩათახის და შუმის ქარხნების,—ოპრეტ-შაუმიანის, დარბაზის და სხვა აგარაკები. აქ სწარმოებს ხე-ტყის მასალის დამზადება „ხე-ჩეს" მიერ. ეს უკანასკნელი ბოროტად იყენებს დაწესებულების სახელს.

აი მაგალითიც: საქართველოს სატყეო სამმართველომ სამი წლის წინეთ შუმის ქარხნის აგარაკის განსაზღვრული ნაწილი გადასცა „ხეჩეს" საექსპლოატაციოთ. აღნიშნულ აგარაკზე „ხეჩეს" უნდა მოეჭრა ხის განსაზღვრული რაოდენობა (18—20 ათასი ხე), მაგრამ უნდა ყოფილიყო დაცული ტყის სარგებლობის ყოველივე წესები.

როგორ მოიქცა „ხეჩე"? მან ისარგებლა ბორჩალოს სატყეო ადმინისტრაციის სისუსტით, ყოვლად უსაზღვროდ დაუწყო ჩეხვა ტყეს. იქ—სადაც 18—20 ათასი ხე უნდა მოჭრილიყო, მოჭრილი აღმოჩნდა ორჯერ მეტი.

„ხეჩეს" მიერ ნარდად დაქირავებულმა მუშამ, რომელიც ზედამხედველობის გარეშე მუშაობდა ტყეში არ ეძება არავითარი წესებ ტყის მოხმარების. მიადგა ყანასავით და სადაც მიწვდა მოთიბა ტყე. ასე უთავბოლოდ არის მოჭრილი ეს 40 ათასი ძირი ხე.

ასეთი დაუდევრობები უამრავი ხდება ბორჩალოს დანარჩენ აგარაკებშიაც.

მაზრის სატყეო ადმინისტრაცია პასუხისმგებლობას ვიწრო ფარგლებში იყენებს.

ვნახოთ რას იტყვის საქართველოს მიწამოქმედების სახ. კომისარიატი.

ჟანელი.

—:—

ღირსეული პასუხი მოსთხოვეთ
დ. ნაგომარი, გურია

ნაგომარში იციან ბაზრობა ოთხშაბათობით ამ დღეს ყველა კუთხიდან მოდიან გლეხები და გამოაქვთ თავიანთი ნაწარმოები გასასყიდად. 26 სექტემბერს ბაზარში გამოვიდენ სილაურის თემის მცხოვრებნი კალისტო დარჩია, ონოფრე და ბიქტორ კილაძეები. ისინი ღვინით გალეშილიყვნენ და დაუწყეს მოქალაქეებს ჩხუბი, მორიგე მილიციელმა წესრიგისაკენ მოუწოდა მოჩხუბრებს, მაგრამ მათ არც მილიციელი დაინდვეს და მას ტანსაცმელი შემოახიეს. მილიციელებმა მოინდომეს მათი დაპატიმრება, მოჩხუბრები ხმა მაღლა ყვიროდენ: ჩვენი დაპატიმრების უფლება არავის აქვს.

საჭიროა მოჩხუბრებს სასტიკი პასუხი მოეთხოვოს.

ჭანდარი.

მიწა უკანონოდ მიითვისა
ნინოშვილის თემი, გურია

ნინოშვილის თემში ერთ ყოფილ მემამულეს და მეორე მხრივ გლეხს მოუხდათ ერთ პატარა ნაჭერ მიწაზე დავა, რომელიც გლეხის ეზოს შეადგენდა და გამზადებული იყო დასათესად. ვინაიდან ადგილობრივ ვერ შეთანხმდენ. გლეხმა, სურვილი გამოსთქვა ორივე მხარეს მიწის მოხვნისათვის თავი დაენებებია. მომავალში კი კანონი ვისაც არგუნებდა, იმის უნდა დარჩენოდა. მიწა. ეს შეთანხმება მოხდა აღმასკომის თავმჯდომარის თანადასწრებით. გავიდა რამდენიმე დღე და აღმასკომის თავმჯდომარე ღლონტი მივიდა გლეხთან და სთხოვა, რადგან მიწა მოსახნავად გამზადებულია, ამ ერთ ყანობაზე მე დამითმეო. გლეხმა დაუთმო, მხოლოდ იმ პირობით, როცა მოსავალს მომკიდა—ადგილისთვის თავი უნდა დაენებებია. ეხლა მოქ. ღლონტი კვლავ შეუდგა სამზადისს მიწის მომავალ წელში დასათესად და გლეხს მემამულის ნაცვლად აღმასკომის თავმჯდომარესთან უხდება ბრძოლა.

ნუ თუ დასაშვებია აღმასკომის თავმჯდომარის მიერ ასეთი უკანონო მოქმედება?

მწირი.

—:—

ჩამორთმეული მიწებით ისევ ძველი მეპატრონენი სარგებლობენ
ს. ყულისკარი, ზუგდიდის მაზრა

ყულისკარის თემში ბევრია ისეთი შეძლებული გლეხები, რომლებსაც ნორმაზე ზედმეტი მიწები ჰქონდათ მიწის რეფორმის ჩატარების დროს მათ ეს მიწები ჩამოერთვათ და გადაირიცხა ფონდში უმიწაწყლო გლეხობაზე დასარიგებლად. მაგრამ ეს სინამდვილეში არ განხორციელებულა, ვინაიდან ჩამორთმეულ მიწა-ადგილზე ძველ მეპატრონეებმა არავის მიუშვა, ღარიბი გლეხობა, რომელთათვის მიჩნეულ იქნა ჩამორთმეული მიწები, შეშინდა და ამჯობინა თავი შეეკავებია. ამით ძველ მეპატრონეებმა თავისი ყოფილი მიწა-ადგილი ფაქტიურად შეინარჩუნა, ხოლო უმიწაწყლო გლეხი ისევ ბობოლა გლეხის გავლენის ქვეშ მოექცა. არის კიდევ შეძლებულ გლეხობის მეორე წყება, რომლებსაც მიწა-ადგილი მხოლოდ ქაღალდზე ჩამოერთვათ და არავისზე არ გადაეცათ, ამ მიწებით ისევ ყოფილი მეპატრონენი სარგებლობენ.

ამ გარემოებას სათემო საბჭო და თემ-აღმასკომი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ.

ასეთი მდგომარეობა მიუღებელია, მით უმეტეს ისეთ თემში, სადაც გლეხობის დიდი უმრავლესობა მცირე მიწის პატრონია და შეძლებულ გლეხების მიწების დამუშავება უხდებათ.

საჭიროა ამ საქმის მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და ის მიწები, რომლებიც 1923 წელს მიწის რეფორმის დროს ჩამოერთვათ მემამულეებს, ეხლა მაინც გადაეცეს უმიწაწყლო გლეხობას.

ყ—ლი.

წერილებიდან

დ. ხარაგოული (შორ. მაზრა). ამას წინედ ადიდებულ მდინარეს გლეხობამ დაატოვებია შეშა, ამ დროს საიდღანაც გაჩნდა სარაყავის ყოფილი მეპატრონე ირაკლი ჩუბინი, რომელმაც ლანძღვა-გინებით აიკლო გლეხები და თანაც უბრძანა მოგროვილი შეშის სახლში წაღება არავის გაებედა. საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ მისცა ჩუბინიძეს უფლება საფონდო მამულში შეგროვილი შეშა თავის საკუთრებათ გამოაცხადოს?

ნამეხარი.

ს. აბასთუმანი (ზუგდიდის მაზრა). ადგილობრივი ოთხწლედის ეზო რამდენიმე წელიწადია შეუღობავია ამის გამო ბავშვები ვერავითარ მუშაობას ვერ ეწევიან სკოლის ეზოში. დროა სკოლის გამგემ ამ საკითხის მოგვარებისათვის მიიღოს ზომები.

მ. კ—ია.

ნოქალაქევი (სენაკის მაზრა). სოფ. უშთათაში მცხოვრებ 350 კომლ გლეხობას არ აქვთ სამკითხველო. გლეხობა მოწადინებულია გახსნას სამკითხველო. მაგრამ ხელმძღვანელობას არავინ უწევს. სამაზრო პოლიტგანი უნდა დაეხმაროს მათ ამ საქმეში.

ან. ბეთლემელი.

ყაზბეგი (თბილისის მაზრა). ყაზბეგში მხოლოდ ერთი სადალაქოა, რომლის მეპატრონე როგორც მას მოესურვება იმდენს ახდევინებს გლეხობას საჭიროა თემ-აღმასკომმა ამ ვაჟბატონს დაუწესოს განსაზღვრული ნიხრი.

ილგუჯა.

მუშათა ცხოვრება

კულტურული მუშაობა მოისუსტებს

საკლუბო მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებას საშველი არ დაადგა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე მრავალი თათბირები და დისპუტები იქნა ჩატარებული, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი დადგენილება არსებობს კულტურული მუშაობის გასაცხოველებლად, საკლუბო მუშაობა კვლავ ერთ წერტილზეა გაჩერებული. წინმსვლელობა მას ჯერ კიდევ არ ეტყობა.

შეიძლება კლუბებში იმართებოდეს მრავალ ფეროვანი საღამოები, შეიძლება ამ საღამოებიდან კარგი შემოსავალიც აქვთ კლუბებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკლუბო მუშაობა თავის სიმაღლეზე იყოს. კულტურული და მუშათა მასის გამათვითცნობიერებელი მუშაობა, საღამოების გამართვით არ ამოიწურება. ამ დარგში უფრო რთული და ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანები სდგას ჩვენს წინაშე. ჯერ კიდევ პარტიის მეთოთხმეტე ყრილობამ ხაზი გაუსვა მუშების კულტურული მოთხოვნილების ზრდას და აღნიშნა, რომ პროფკავშირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კულტურულ მუშაობას და მიიღონ ყოველგვარი ზომები მუშათა მასების გასათვითცნობიერებლადო. ეს ამოცანა მით უფრო ფართოდა სდგას ჩვენს წინაშე დღეს, როდესაც ვატარებთ ჩვენი მრეწველობის რეკონსტრუქციას და ვაწარმოებთ ბრძოლას კულტურულ რევოლიუციისათვის.

მაგრამ, რომ წარმატებით ჩავატაროთ ბრძოლა კულტურულ რევოლიუციისათვის, დავაჩქაროთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და დავაკმაყოფილოთ მუშების კულტურული მოთხოვნილება, უპირველეს ყოვლისა საჭიროა მუშათა ფართო მასების ჩაბმა კულტურულ მუშაობაში. ამ მხრივ სიმართლე უნდა ითქვას, ძალიან ცოტაა გაკეთებული. განსაკუთრებით ძველი, გამოცდილი დაზგის მუშები ნაკლებად არიან ჩაბმულნი საკლუბო მუშაობაში. უფრო სწორედ, რომ ვსთქვად ისინი არ ეტანებიან კლუბს, არ ესწრებიან იქ გამართულ საღამოებს და არ იჩენენ თვითმოქმედებას საკლუბო მუშაობაში. ეს იმით აიხსნება, რომ კლუბში წარმოებული მუშაობა ვერ აკმაყოფილებს მუშის კულტურულ მოთხოვნილებას. კლუბების გამგეობებმა ხშირად არც კი იციან რა კულტურულ მოთხოვნილებებს უყენებენ მუშები თავიანთ კლუბებს. ასეთ პირობებში რასაკვირველია, საკლუბო მუშაობის სათანადო დონეზე დაყენება შეუძლებელია. ეს ნაკლი აღნიშნა აგრეთვე კლუბების მუშაობის სრულიად საკავშირო კონფერენციამ.

მეორეს მხრივ საკლუბო მუშაობა მოწყვეტილია წარმოებას. კლუბებში იშვიათად იდგმება ისეთი საღამოები, რომელიც გადმოგვცემდეს წარმოების მდგომარეობას. კულტურული მუშაობა მჭიდროთ უნდა იყოს დაკავშირებული ქარხნების ყოველდღიურ ცხოვრებასთან. კლუბის სცენაზე ხშირად უნდა იდგმებოდეს მხატვრულად დამუშავებული საწარმოო სახის პიესები. საკლუბო მუშაობაში რაც შეიძლება ძველი, გამოცდილი დაზგის მუშები უნდა ჩავაბათ.

გარდა ამისა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კლუბებთან ოჯახთა და ბავშვთა კუთხეების დაარსებას. ამ მხრივაც ჯერ-ჯერობით არაფერი გაკეთებულა; არც ერთ კლუბში არ არის დაარსებული ბავშვთა კუთხე, რომ მუშა ქალს შეეძლოს მონაწილეობა საკლუბო მუშაობაში.

ზამთრის სეზონის განმავლობაში ყურადღება უნდა მიექცეს აღნიშნულ ნაკლოვანებებს და მიღებული უნდა იქნეს ზომები საკლუბო მუშაობის გასაცხოველებლად.

კლუბის წევრი.

—:—

უგეგმო მუშაობა

თბილისის აგურის ქარხნებში არ არის გეგმიანი მუშაობა. ზოგ ქარხანაში მუშების რიცხვი მეტია, ზოგში ნაკლები. იქ, სადაც მეტი პროდუქტები მზადდება, მეტი მუშა ხელია საჭირო. ქარხანაში იმდენი მუშა უნდა იყოს, რამდენიც საჭიროა წარმოებისათვის. მაგრამ აგურის ქარხნებში ეს ასე არ არის.

№ 6 აგურის ქარხანაში, ივნისის თვეში გამოიწვა 616.000 ცალი აგური. ქურიდან, გამომწვარი აგურის გამოზიდვაზე მუშაობდა თერთმეტი მუშა, რომლებმაც გამოზიდეს აგური და იმუშავეს 198 დღე დღიურად, —რისთვისაც საშუალო დღიური ხელფასიც მიიღეს. ამავე ქარხანაში, ივლისში გამოიწვა 626.000 ცალი აგური, რომელიც ქურიდან ათმა კაცმა გამოზიდა. ამათაც დღიურად გამოზიდეს ამ რაოდენობის აგური და შეჩერება გამოუვიდათ 160 კაცი დღე.

როგორც ვხედავთ დღიურ მუშაობაზე მეტი იხარჯება, ვიდრე ნამდვილ საქმეზე. პირველ თვეში მუშაობდა 11 კაცი და გამოზიდეს 610.000 აგური. მეორე თვეში მუშაობდა 10 კაცი და გამოზიდეს 10.000 ცალი მეტი, რაშია საქმე?

№ 4 ქარხანაში ივლისში გამოიწვა 684.000 ცალი აგური, რის გამოზიდვაზე მუშაობდა 13 კაცი და შეჩერდენ 84 კაც-დღე. ამავე ქარხანაში ივლისში გამოიწვა 736.000 ცალი აგური. გამოზიდვაზე მუშაობდა 9 კაცი, მაგრამ დღიური ნამუშევარი 25 კაც დღე იყო. ისე, რომ ივნისში გამოზიდეს 684 ათასი ცალი აგური, ივლისში კი 9 კაცმა 52.000 ცალით მეტი გამოზიდა, ვიდრე 13 კაცმა ივნისში და კიდევ 35 შეჩერება გამოვიდა.

ყოველი სამქროს მომუშავეს აქვს თავისი გამომუშავების ნორმა, მაგრამ ვინ უყურებს ამ ნორმას. რომ გადავხედოთ გამომუშავების ნორმას და ხელფასს სხვადასხვა სამქროში, ვნახავთ, რომ გამომზიდველების გამომუშავება უდრის 2 მან. 4 კაპ. მაგიერ 4—39 კაპ. დღეში. ჩამწყობის 2 მან. 62 კაპ. მაგიერ 5 მან. და 68 კაპ. და ასე შემდეგ.

მუშები ნარდით მუშაობენ. ამიტომ ისინი ძალიან ჩქარობენ მუშაობის დროს. სიჩქარეში ნორმაზე 220 პროც-ით მეტს მუშაობენ. მეორე დღისათვის კი სამუშაო არა აქვთ, რაც იწვევს აურებელ „პრასტოი"-ს, მეორე მხრივ აგური ჩქარა და დაუდევარი მუშაობის გამო იმტვრევა და პირველ ხარისხის მაგიერ მზადდება მესამე ხარისხის აგური. ყველა ეს დიდ ზიანს აყენებს წარმოებას.

საჭიროა ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებამ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება.

მეგრელი.

მუშკორთა წერილებიდან

პროტექცია „ზაკტპო"-ში. „ზაკტპო"-ში მსახურობს ვინმე -. დოლიძე, რომელიც დიდი სიხარულით აწყობს თავის ბიძაშვილებს სამსახურში: ამას წინად მან ოზურგეთიდან ჩამოიყვანა თავისი ბიძაშვილი და ერთ კვირაში მოაწყო სად. სურამის ფარდულში, ბირჟიდან გამოგზავნილ ხალხს კი პ. დოლიძე უკან აბრუნებს.

კავშირის წევრი.

ავარებმა აგვიკლეს. ნორიოს აღმართზე ამხ. სუხიშვილის სახელობის სამკითხველოში, ყოველ საღამოს თავს იყრიან უბნის ავარები და არ აძლევენ საშუალებას მკითხველებს იკითხონ. მილიციავ, მოგვაშორე ავარები.

მაყურებელი.

დამქირავებელი კავშირის წევრი. მოქ. ალექსანდრე დოვლიანიძეს დაქირავებული ჰყავს 17 წლის პ. სხირტლაძე, რომელსაც საშინელ ექსპლოატაციას უწევს დამქირავებელი. ამავე დროს კი დოვლიანიძე ითვლება კავშირის წევრად და № 3605 წიგნაკიც უდევს ჯიბეში. რა აქვს საერთო კავშირთან, ექსპლოატატორს?

უსამშობლო.

კონტრაბანდით ვაჭრობს. ბასეინის ქ. სახ. № 31-ში სცხოვრობს რკ. გზის მოსამსახურე ქალი კასრაძე, რომელიც ვერ კმაყოფილდება თავის ჯამაგირის და ეწევა კონტრაბანდით ვაჭრობას. ამ საქმეზე არა ერთხელ ყოფილა იგი დატუსაღებული, მაგრამ იგი კვლავ განაგრძობს სამსახურსაც და ვაჭრობასაც.

დ—ი.

—:—

ყურადღებას არავინ გვაქცევს. მთ. სახელოსნოში, ვაგონების და ორთქლმავლების ნაწილების საწყობი, ნაწილების გადატან - გადმოსატანად მიღებულნი არიან საზოს სამქროს მუშები, რომლებიც რვა საათის განმავლობაში მუშაობენ და გასამრჯელოს კი დამლაგებელ ქალების ხელფასის ოდენს ღებულობენ. ამის შესახებ მუშებმა მიმართეს საჩივრით სათანადო ორგანოს მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია. კავშირო მოგვაქციე ყურადღება.

მუშა.

საქ. სახკომსაბჭოში

კახეთის მაზრის საოლქო საგზაო დისტანციის გადატანა ქ. გურჯაანში

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა კახეთის მაზრის აღმასკომის შუამდგომლობა საოლქო საგზაო დისტანციის გადატანის შესახებ ქ. გურჯაანში.

ამასთანავე წინადადება მიეცა საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს შეუთანხმდეს კახეთის მაზრის აღმასკომს საოლქო საგზაო დისტანციისათვის საჭირო შენობის გამონახვის საკითხში.

წითელ პარტიზანებისა და წითელ გვარდიელებისათვის გადადებული კრედიტის განაწილების შესახებ

წითელ პარტიზანებისა და წითელ გვარდიელებისათვის გადადებული 43.000 მან. კრედიტის გასანაწილებლად სახკომსაბჭოსთან მოეწყო კომისია ამხ. კალატოზოვის (თავმჯდომარე), გ. ალნიაშვილის და ს. ბუაჩიძის შედგენილობით.

მოსახლეობის გამოსახლება აბასთუმანის საკურორტო ტყეებიდან

აბასთუმანის საკურორტო ტყეებიდან მოსახლეობის გამოსახლების თაობაზე დაარსებული სახკომსაბჭოს კომისიის მუშაობის ვადა განგრძობილ იქნა ამა წ. ოქტომბრის 20-მდე.

სათესლე მასალების შესყიდვა აზერბეიჯანში

წინადადება მიეცა „სოფლის კავშირს" გამონახოს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საშუალებით საჭირო თანხა სათესლე მასალის შესასყიდათ აზერბეიჯანში.

ტეხნიკური დახმარება
სოფლის მეურნეობას

ამიერ-კავკ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შეიმუშავა ამიერ-კავკ. ტრაქტორით მოსარგებლეთათვის ტეხნიკური დახმარების აღმოჩენის პროექტი.

პროექტის თანახმად რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს წინადადება ეძლევა სასწრაფოდ შეუდგნენ სარემონტო სახელოსნოების ქსელის გეგმაშეწონილად გაშლას. ახალ სარემონტო სახელოსნოების მოსაწყობათ 1928—29 წელს განზრახულია დაიხარჯოს 210.000 მანეთი (აზერბეიჯანს — 72.000 მან., საქართველოს—72.000 მან და სომხეთს—66 ათასი მანეთი). არსებულ სახელოსნოთა მოწყობილობის შესავსებათ—73.000 მან. აზერბეიჯანში, 52 000 მან. საქართველოში და 15.000 მან. სომხეთში.

სოფლის მეურნეობისათვის ტეხნიკური დახმარების აღმოჩენის საკითხის დეტალურად შესწავლის დროს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გამოარკვია, რომ სამიწათმოქმედო ინვენტარის—განსაკუთრებით ტრაქტორების მოვლა და შენახვა ამიერ-კავკასიაში ძლიერ ცუდად ხდება. მანქანები და იარაღები იმდენად მუშაობით არ ცვდება, რამდენადაც ცუდი მოვლით და დაუდევარი შენახვით. დღემდე ამიერ-კავკასიაში მოწყობილია 20 სხვადასხვა ტიპის სახელოსნო, მაგრამ ეს საკმარისი არაა.

სულ ამიერ-კავკ. რესპუბლიკებში 1.050 სხვადასხვა სისტემის ტრაქტორია. აქედან 591 აზერბეიჯანში. ყველაზე მეტი ტრაქტორები მოეპოება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას. ტრაქტორების მცირე ნაწილი მუშაობს სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციებში.

კრედიტები მელიორაციისათვის

ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის 1927-28 წლის გეგმის მიხედვით, საქართველოში სამელიორაციო სამუშაოების საწარმოებლად გადადილი ნახევარი მილიონი მანეთი.

აღნიშნული თანხების ანგარიშში საქ. სას. სამ. ბანკმა მიიღო 330.000 მან. მიმდინარე წლისათვის დარჩენილ თანხების მთლიანად გამოყენება ვერ მოხერხდა, ამიტომ ნაწილი მოამარაგა მებამბეობის საქმეს ამიერ-კავკასიაში და ნაწილი მელიორაციას აზერბეიჯანში.

ამჟამად ა.-კ. სას. სამ. ბანკმა, საქ. სას. სამ. ბანკს მელიორაციისათვის გადასცა ზემო აღნიშნული გეგმის ანგარიშში დარჩენილი 48.000 მან.

ამასთან დაკავშირებით ამ დღეებში საქ. სას. სამ. ბანკმა ხონისა და სამტრედიის სამელიორაციო ამხანაგობებს, აღნიშნულ რაიონებისათვის გადასცა 20.000 მან.

ახალი მოსავალი

საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით მოსავლის მდგომარეობა საქართველოში. პირველი ოქტომბრისათვის ხასიათდებოდა შემდეგი ციფრებით: სიმინდი—2,9, ვენახი (ყურძნის მოსავალი)—3.3; ხილის მოსავალი—2.8; ბამბა—2.9 და თამბაქო—2.4.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსავლის მდგომარეობის შესახებ ცნობები მიღებულია მხოლოდ 44 თემიდან. ამ ცნობების თანახმად სიმინდის მოსავალი ხასიათდება—3.4; ვენახის—3.0; ხილის—2.5; ბამბის—2.3 და თამბაქოსი—2.3.

ამგვარად ცენტრ. სტატ. სამმართველოს ცნობებით პირველი ოქტომბრისათვის მოსავალი უკეთესი იყო აღმოსავლეთ საქართველოში. ცალკე კულტურების მხრივ უკეთესი მოსავალია სიმინდის და შემდეგ ვენახის.

საქართველოს კურორტების შესწავლა

საქართველოს კურორტთა მთავარ სამმართველომ შარშან გერმანიიდან მოიწვია ბერლინის უნივერსიტეტის პროფ. ა. ბიკკელი, რომელსაც უნდა შეესწავლა საქართველოს კურორტების ბალნეოლოგიური თვისებები, რის შემდეგ კურორტა სამმართველო შეუდგებოდა კურორტების კეთილმოწყობის გეგმის დამუშავებას.

გასულ წელს პროფ. ბიკკელი საქართველოში ამ მიზნით ჩამოვიდა 2 კვირით. მაშინ ის ზოგადათ გაეცნო ჩვენ კურორტებს. ხოლო წელს, აგვისტოს შუა რიცხვებში, იგი ჩამოვიდა ხელმეორედ და შეუდგა შესაფერის სამეცნიერო მუშაობას.

პროფ. ბიკკელი არკვევდა იმას, თუ რა გავლენას ახდენს ჯანმრთელი ადამიანების და დიაბეტიკების (ე. ი. შაქრის ავადმყოფობით შეპყრობილების) ორგანიზმზე და ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის პროცესზე ბორჯომისა და წაღვერის მინერალური წყლები. ამ მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდენ აგრეთვე ფიზიო-ტერაპიისა და კურორტოლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტები ექ. ი. კანიაშვილი, მ. ტყემალაძე და ექ. ხახკინი.

დღეს, საღამოს 8 საათზე სოციალური ჰიგიენის კათედრის შენობაში (ევანგ. ქ. № 12) პროფ. ბიკკელი წაიკითხავს მოხსენებას მის მიერ ჩატარებულ მუშაობისა და მიღებულ შედეგების შესახებ.

მოხსენებაზე დასასწრებათ მოწვეული არიან თბილისელი ექიმები.

უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიაში

უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისია, რომელიც საქ. ცაკთან არსებობს თავის მზრუნველობაზე აყვანილი ჰყავს ქართველ ებრაელთა მე-102 შრომის სკოლის ღარიბესი მოწაფეები. კომისიას სკოლებთან საკუთარ ხარჯზე მოწყობილი აქვს სასაუზმე მაგიდა, სადაც ყოველდღე თბილი საუზმე ეძლევა 218 ღარიბ ბავშვს. გარდა ამისა ღარიბეს ბავშვებს ეძლევა სასწავლო ნივთები და სხ. გასულ სასწავლო წელში კომისიამ სკოლის ღარიბეს მოწაფეების დახმარების საქმეზე დახარჯა 1.800 მანეთი.

საქართველოს ცაკთან არსებულ უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიამ გადასწყვიტა სკოლის ღარიბეს მოწაფეების დახმარება გაუწიოს მიმდინარე წელშიაც.

შამშოვი
(წერილი ჭრებალოდან).

რამოდენიმე ხნის წინად მოხდა აგარაკ შოვის საზეიმო გახსნა.

ჩვენი წერილის მიზანია ერთხელ კიდევ შევეხოთ ამ აგარაკის მნიშვნელობას. ამ ბოლო დროს მე პირადად საშუალება მომეცა ახლოს გავცნობოდი აგარაკის ადგილ-მდებარეობას და მის მოსაწყობად წარმოებულ მუშაობას, რომლის ინიციატორებად ამხ. შამშე ლეჟავა და მასთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლება ითვლება.

აგარაკი შოვი ქ. ონიდან 80 ვერსის მანძილით არის დაშორებული. ონიდან მიმავალ გზის გასწვრივ ბუნება თანდათანობით იცვლება და თვთ აგარაკ შოვში ის არაჩვეულებრივი სილამაზისაა.

აგარაკ შოვს უჭირავს საკმაოდ ვრცელი ვაკე, რომელსაც გარს აკრავს მშვენიერი ტყით, უმთავრესად ფიჭვით და ნაძვით შემოსილი მთები. ფიჭვნარი და ნაძვნარი მთის მწვერვალისაკენ იცვლება საბალახოებით, ამ უკანასკნელს კი თოვლით დაფარული მაღლობები სცვლის.

შოვის ახლო მთებიდან გამოჩუხჩუხებენ სხვადასხვა სამკურნალო წყაროები, მაგრამ ამით კიდევ არ განისაზღვრება შოვის, როგორც აგარაკის ღირსება. შოვის მიდამოებს მზე დიდხანს დასცქერის.

ყველა ეს სიმდიდრე—წყალი, ჰაერი, მზე ხელს უწყობს იმას, რომ შოვმა კურორტთა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიჭიროს.

დღემდე აგარაკის კეთილმოსაწყობად ჩატარებულია შემდეგი: აგებულია ერთი დიდი, ლამაზი შენობა, რომელიც 60 ოთახისაგან შესდგება. აქვეა აგებული ჰიდროელსადგური და აბანო; საუკეთესო შენობა უჭირავს სასადილოსაც. რომ შენობების აგება დამზადებული მასალის უქონლობით არ შეფერხებულიყო, ამ საქმის ხელმძღვანელათ აქვე აუგიათ ხე-ტყის სახერხი პატარა ქარხანა.

გარდა ამისა შესრულებულია ისეთი ძნელი და აუცილებელი სამუშაო, როგორიცაა წყალსადენის გამოყვანა და კანალიზაციის მოწყობა.

როდესაც ადგილობრივ ეცნობით აგარაკის მოსაწყობ მუშაობას, თქვენში დიდ გაკვირვებას იწვევს ის, თუ როგორ მოხერხდა ამ მოკლე ხნის განმავლობაში მივარდნილ კუთხეში ასეთი დიდი საქმის გაკეთება. მაგრამ დასმულ კითხვაზე პასუხი ერთია: მტკიცე ნებისყოფამ და საქმისადმი ღრმა სიყვარულმა, რომლითაც გამსჭვალული იყვენ კურორტ შოვის მოწყობის ხელმძღვანელნი, უზრუნველჰყო საქმის წარმატებით დაგვირგვინება.

კურორტის გახსნა განსაკუთრებული ზეიმის ხასიათს ატარებდა. მას ადგილობრივ გლეხობას გარდა კომინტერნის კონგრესის დელეგატები—ამხ. პოლიტი (ინგლისი) ჯონსი (ამერიკა), ზაპოტოცკი (ჩეხო-სლოვაკია), ბერნარი (საფრანგეთი) და მათთან ერთად კომინტერნის აღმასკომის წევრი ამხ. დ. მანუილსკიც დაესწრნენ.

თბილისიდან ამ დღეს ჩამოვიდენ. ამხ. მ. კახიანი, გ. მგალობლიშვილი, მამალაძე და სხვ.

უცხოელ ამხანაგებში დიდი აღტაცება გამოიწვია აგარაკ შოვის მდიდარმა ადგილმდებარეობამ და მის მოსაწყობად წარმოებულმა მუშაობამ. მათ აღნიშნეს, რომ როდესაც ისინი სამშობლოში დაბრუნდებიან, აგარაკ შოვის მაგალითზე გააცნობენ თავის ამხანაგებს საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი მუშაობას მშრომელთა საკეთილდღეოთ.

დამსწრე გლეხობა მეტად კმაყოფილი დარჩა ამხ; მ. კახიანის სიტყვით. ამხ. კახიანი შეეხო კურორტის მოწყობის საკითხს და აღნიშნა, რომ აგარაკ შოვის აღმშენებლობის საქმეში, განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ამხ. შ. ლეჟავას. „ამიტომაც—სთქვ ამხ. კახიანმა,—წინადადება შემომაქვს, რომ რამოდენიმე წლის წინად ხუმრობით ნათქვამი „შამშოვი" დადასტურდეს და შოვს დღეიდან „შამშოვი" ეწოდოს.

აგარაკის კეთილ მოსაწყობად დღემდე დიდი მუშაობაა წარმოებული, მაგრამ ამით კიდევ არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ. სამუშაო კიდევ ბევრია. ჩვენ გვჯერა, რომ აგარაკ შოვის მშენებლები გადალახავენ ყოველგვარ დაბრკოლებას და ახალგაზრდა კურორტი სულ მოკლე ხანში საპატიო ადგილს დაიჭერს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

ან. სიამაშვილი.

ტერიტორიალური ნაწილები მანევრებზე

ბრძოლა 412-ისათვის
(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

3 და 4 ოქტომბრის ბრძოლა დიდ ხანს დარჩება ცვალებად წითელი არმიელთა ხსოვნაში.

დილის 10 საათია. „წითლების" რაზმმა, რომელიც დაბანაკებული იყო სოფ. რუისში, მიიღო განკარგულება გამგზავრებულიყო აღმოსავლეთის მიმართულებით, ს. არაშენდასაკენ, და განედევნა „ლურჯები" სიმაღლე 412-დან, რომელზედაც ისინი გამაგრებული იყვნენ.

დილიდანვე ჰქროდა ძლიერი ქარი და ცა იღრუბლებოდა.

„წითლების" რაზმები, დაყოფილი კალონებათ, მიიწევენ წინ და თანდათანობით უახლოვდებიან „ლურჯების" გამაგრებულ პოზიციებს.

ტრიალი მინდორი, აქა-იქ მოხნული საზემო დგომოთ, მთლიანად დაფარულია ჯარით. მზეზე ელვარებენ ხიშტები, ისმის მეთაურის მოკლე და სხარტი განკარგულება; დრო გამოშვებით მოსჩანან საკავშიროელნი მოტოციკლეტებზე და ველოსიპედებზე. მათ მიაქვთ განკარგულებები და ბრძანებები, ისინი აკავშირებენ, ერთი-მეორესთან უშველებელ მანძილზე გაბნეულ ჯარის ნაწილებს.

მეთაურები რუქაზე ეცნობიან „ბრძოლის" რაიონს

აგერ გამოჩნდა არტილერია. მას დაკავებული აქვს მარჯვე ადგილი და იგი აგრიალდება მაშინ, როდესაც ეს საჭირო იქნება. ჯერ ჯერობით ზარბაზნები სდუმან.

არც „ლურჯები" არიან უსაქმოდ. ისინი ემზადებიან „მტრის" მოსაგერიებლად, ამაგრებენ პოზიციებს, სდგამენ საიმედო ადგილზე ტყვიამფრქვევებს და არტილერიას.

საათი საათს მისდევს. ქარი ძლიერდება. ცა იღრუბლება. თრიალეთის მთა სამხრეთით დაბურულია სქელი ნისლით, აღარ მოსჩანან კავკასიონის მწვერვალები, მათ გარს ახვევია ღრუბელი.

„წითლები" მიიწევენ წინ, დაუახლოვდებიან „მოწინააღმდეგეს". მანძილი მათ შორის თანდათან მცირდება. მებრძოლებს ეტყობათ მოუთმენლობა.

გავარდა თოფი.

დაიწყო.

„წითლები" არღვევენ „ლურჯების" რკალს და იჭრებიან მათ მიერ დაკავებულ მიდამოებში. „ლურჯები" იბრძვიან თავგანწირვით, ადვილათ არ უთმობენ „წითლებს" თავის პოზიციებს.

ამოქმედდნენ ტყვიამფრქვევები, გაჩაღდა ცხარე ბრძოლა.

„წითლების" პირველი ეშელონი ნელი ნაბიჯით, მაგრამ მედგრათ მიდის წინ.

„ლურჯებმა" ალაპარაკეს თავისი არტილერია, რომ ამით შეეჩერებინათ „წითლების" წინსვლა.

„ლურჯების" არტილერიას გამოეპასუხა „წითლების" არტილერია. და თავისი ძლიერი ცეცხლით ჩააჩუმა იგი.

უკვე სჩანს, რომ ბრძოლის ინიციატივა „წითლების" ხელშია, მხოლოდ „ლურჯებიც" ჯერ-ჯერობით მტკიცედ ადგანან თავის პოზიციებზე.

დაბინდდა, წამოვიდა წვიმა, ძლიერი; შხაპუნა. ატალახდა: რის გამო გაძნელდა სიარული და მოძრაობა. შინელები დასველდნენ და დამძიმდნენ. მაგრამ მებრძოლნი არ დრკებიან და თოფებით ხელში მიიწევენ წინ.

„ბრძოლის" ველზე ჩამოწვა ნისლი, დაბნელდა. წვიმამ მოუხშირა. „ბრძოლა" შეწყდა. შეუძლებელი გახდა წინსვლა სიბნელისა და ტალახის გამო.

არმიელები „ისვენებენ" წვიმის ქვეშ. ყველა მშიერია, მთელი დღის განმავლობაში მათ არაფერი უჭამიათ, მაგრამ მიუხედავათ ამის; ყველანი საუკეთესოდ გრძნობენ თავს.

„ბრძოლის" ველი მოიცვა სიჩუმემ. ისმის მხოლოდ ქარის ზუზუნი და წვიმის შხაპუნი. ძნელია ძილი ცუდ ამინდში. არმიელნი იბრძვიან თვალებზე მომდგარ ძილს, ცდილობენ ლაპარაკით გაირთონ თავი, უზიარებენ ერთიმეორეს თავის შთაბეჭდილებებს. მაგრამ დაღლილობას მაინც თავისი გააქვს და არმიელნიც ეძლევიან ძილს. რომ მეორე დღეს ახალი ძალებით გადავიდენ იერიშზე.

არ სძინავთ მხოლოდ გუშაგებს, რომელნიც ფხიზლად სდგანან ბანაკის სადარაჯოზე და გაიყურებიან სიბნელეში, ხომ არ მოიპარება „მტერი" ღამის წყვდიადში.

გათენდა. ისევ წვიმს. არე-მარე ატალახებულია. გაისმა განგაშის ხმა. ბანაკმა გაიღვიძა. დღეს უნდა მოხდეს გადამწყვეტი ბრძოლა. „წითლები" გადავიდენ იერიშზე.

ამოქმედდა არტილერია, იგი თავისი ცეცხლით გზას უკაფავს ქვეითი ჯარს, რომელიც არღვევს „ლურჯების" რკალს და მიიწევს მიზნისაკენ.

ისმის განუწყვეტელი გრიალი ზარბაზნებისა, ყუმბარას ყუმბარა მისდევს, კაკანებენ ტყვიამფრქვევებში, შაშხანა თოფებს გააქვთ ტკაცა-ტკუცი.

„მოწინააღმდეგე" იბრძვის თავგანწირვით, ცდილობს შეაჩეროს „წითლების" წინსვლა, მაგრამ ამაოდ. ვერა შველის ვერც არტილერია, ვერც ქიმიური გაზები, რომლითაც იგი სწამლავს არე-მარეს. „წითლების" ქიმიური რაზმები ანაზდეულათ ასუფთავებენ მოწამლულ ადგილებს.

„ლურჯებმა" მიმართეს ფუგასურ ყუმბარებს, რითაც შესძლეს „მოწინააღმდეგის" ცოტა ხნით შეჩერება.

„წითლები" უფრო გაძლიერებით ეკვეთენ „მტერს". გამოჩნდა მავთულხლართი, რომელიც უღობავს გზას „წითლებს". საჭირო შეიქნა არტილერიის დახმარება. ყუმბარებმა გაანადგურეს მავთულხლართი და „წითლებმაც" იწყეს მიახლოვება სიმაღლეზე 412-ან.

გაისმა ვაშა. მიზანი ახლოა. „ლურჯები" ვერ უძლებენ „წითლების" რაზმებს და იხევენ უკან, სტოვებენ 412-ს.

ელვის სისწრაფით მოჰქრიან ცხენოსნები. „ვაშა"-ს ძახილით შეუტიეს „ლურჯებს", რომლებმაც ცხენოსნების დანახვაზე მიატოვეს სიმაღლე 412 და გაიქცენ. ცხენოსნები გაედევნენ გაქცეულ „მტერს" და გზა და გზა ანადგურებენ მათ.

„წითლებმა" მიაღწიეს მიზანს, მათ ხელთ იგდეს სიმაღლე 412.

* *
*

გაისმა ბუკის ხმა, მაუწყებელი იმის, რომ მანევრები დამთავრებულია.

დივიზიის ნაწილები დაბრუნდენ გორში, ბანაკისაკენ. წვიმა შესწყდა ცოტა ხნით.

გორის დაცარიელებული ქუჩები გამოაცოცხლა სამხედრო ორკესტრების ხმამ და მხედრულმა სიმღერამ.

წითელ არმიელები, დასველებულნი თავიდან ფეხამდე, ამოსვრილნი ტალახში, მხიარული სახით მიაბიჯებდენ მწყობრში და გაჰკიოდენ ლაშქრულს.

ე. ხუციშვილი.

5 ოქტომბერი.
ქ. გორი.

საზეიმო კრება
(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

5 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, მე-4-ე ქართ. მსრ. ლეგიონის კლუბში მანევრების დამთავრების გამო შესდგა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ არმიის სარდალი ამხ. ლევანდოვსკი, პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. ვასილიევი, მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზიის უფროსი ამხ. გიორგაძე და ტერიტორიალურ ნაწილის მეთაურთა და პოლიტშემადგენლობა.

ჩატარებული მანევრების შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა არმიის სარდალმა ამხ. ლევანდოვსკიმ; იგი უმთავრესად შეეხო იმ ნაკლულოვანებებს, რომელნიც თან სდევდენ მანევრებს.

ამხ. ლევანდოვსკი შეჩერდა მანევრების ყოველ ცალკე ეტაპზე, როგორიც არის შეხვედრითი ბრძოლა, სალაშქრო მოძრაობა, იერიში, შეტევა და აღნიშნა, რომ ნაწილების მიერ საბრძოლო მოქმედებები მანევრებზე შესრულებულ იქნა წარმატებით.

ამხ. ლევანდოვსკის შემდეგ ილაპარაკა არმიის პოლიტსამმართველოს უფროსმა ამხ. ვასილიევმა, მან თავის სიტყვაში აღნიშნა მანევრებზე წარმოებულ პოლიტმუშაობის ნაკლი და მიღწევები. ამხ. ვასილიევი შეხო აგრეთვე უმცროს მეთაურების მდგომარეობას და თვითკრიტიკის საკითხს წითელ ყაზარმაში.

თავის სიტყვის დასასრულში ამხ. ვასილიევი შეჩერდა იმ მუშაობაზე, რომელიც უნდა აწარმოონ ცვალებადმა მეთაურებმა სახლში დაბრუნების შემდეგ. მან მოუწოდა მეთაურებს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა საბჭოების გადარჩევის კამპანიაში, რადგან ამ კამპანიას აქვს უდიდესი მნიშვნელობა სოციალისტურ მშენებლობის განმტკიცებისათვის.

ბოლოს ილაპარაკა მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზიის უფროსმა ამხ. გიორგაძემ. მან მადლობა გამოუცხადა არმიის სარდალს ამხ. ლევანდოვსკის და ამხ. ვასილიევს ხელმძღვანელობისათვის და სთქვა, რომ დივიზია მთლიანად გაატარებს ცხოვრებაში ყველა მათ მითითებებს.

ამხ. გიორგაძემ მადლობა გამოუცხადა აგრეთვე 1-ლ ქართ. მსრ. დივიზიის ცხენოსან ლეგიონს, რომელმაც მიიღო მხურვალე მონაწილეობა მე-2-ე დივიზიის მანევრებში.

კრების დასასრულს მეთაურებმა და პოლიტშემადგენლობამ ამხ. ლევანდოვსკის გაუმართეს ოვაციები.

საზეიმო კრების შემდეგ მოხდა საჩუქრების განაწილება ტერიტორიალური ნაწილებ შორის.

მე-6-ე ქართ. მსრ. ლეგიონმა მიიღო ვერცხლის აზარფეშა საუკეთესო სროლისა და [illegible] (პირველი ადგილი).

მე-5-ე ქართ. მსრ. ლეგიონმა მიიღო ვერცხლის ბადია სროლაში და სპორტში (მეორე ადგილი).

მე-6-ე ლეგ. [illegible] ოცეულს საუკეთესო სროლისათვის [illegible] ვერცხლის აზარფეშა, ოცეულის მთელი შემადგენლობა დასაჩუქრებულ იქნა ინდივიდუალური პრიზებით.

მე-2-ე ქართ. საარტ. ლეგიონს მიეცა საათი სკოლის გარეშე მუშაობის საუკეთესო წარმოებისათვის.

დასაჩუქრებულ იქნა აგრეთვე მე-6-ე ლეგიონის სამხედრო ორკესტრი.

ე. ხუციშვილი.

5 ოქტომბერი
ქ. გორი

რაზმები მიდიან პოზიციების დასაკავებლად

ელექტრონის და წყლის საფასურის გადახდის ახალი წესი

დღემდე ელექტრონის ენერგიის და წყალის გადასახადის გამოანგარიშება და მისი შეტანა მეტად დიდ დროს მოითხოვს. აბონენტმა, სანამ გადასახადს შეიტანდეს, საგადასახადო ფურცელი უნდა გაატაროს საალრიცხვო ნაწილში, შემდეგ ბუხგალტერიაში და სხვა. რაზეც კარგავს რამოდენიმე დღეს.

ხშირად ერთ კვირას. რიგში დაუსრულებლად დგომა მოქალაქეებში იწვევს სამართლიან უკმაყოფილებას. გარდა ამისა, დროის უქონლობის გამო აბონენტი იძულებულია გადასახადი დაგვიანებით შეიტანოს, რისთვისაც ის იხდის ჯარიმას. მოქალაქეთა შორის ამ უკმაყოფილების მოსპობისა და კომუნალურ განყოფილების საგადასახადო ნაწილში მუშაობის რაციონალურ ნიადაგზე დაყენების მიზნით, კომუნალურმა სექციამ აღძრა ელექტრონისა და წყალის გადასახადის შეტანის წესის გამარტივების საკითხი.

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიამ უკვე შეიმუშავა წყალისა და ელექტრონის ენერგიის საფასურის გადასახადის ახალი წესი. განზრახულია შემოღებული იქნეს ბარათების სისტემა: თვითეულ აბონენტს მიეცემა დანომრული ბარათები. ჩაბარებულ ბარათის ასლი კი დარჩება საგადასახადო ნაწილში. ყოველ თვის ბოლოს აბონენტის ბინაზე მივა კონტროლიორი და ბარათში და მის ასლში აღნიშნავს, როგორც დახარჯულ წყალის, ან ენერგიის რაოდენობას, ისე გადასახდელი თანხის რაოდენობას.

აბონენტს ბარათში აღნიშნული გადასახადი შეუძლია შეიტანოს როგორც კომუნალურ განყოფილების საგადასახადო ნაწილში, ისე აღმასკომის ყველა სარაიონო საგადასახადო სალაროებში, კომუნალურ ბანკის სალაროში და თ. ტელეგრაფის კანტორაში. გადასახადის შეტანის დროს აბონენტს მიეცემა კვიტანცია, რომელშიაც აღნიშნული იქნება გადასახადის შეტანის დრო და გადასახადის რაოდენობა.

ამგვარად აბონენტებს საშუალება ეძლევა გადასახადი გადაიხადონ თავის დროზე და ზედმეტ დროს დაუკარგავად.

ამასთანავე ახალი წესის შემოღების საშუალებით შესაძლებელი გახდება კომუნალურ განყოფილებაში რაციონალიზაციის ჩატარება.

მუშკორ სლისარენკოს საქმე

სოხუმი, 4 ოქტომბერი. 6 ოქტომბერს გაგრაში დაიწყება გარჩევა კოლხიდის მუშათა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის ფეოდორ სლისარენკოს და სოფლის მოჯამაგირის დიმიტრი კოშჩეევის საქმისა.

საბრალმდებლო ოქმი საქმის ვითარებას შემდეგნაირად გადმოგვცემს:

სლისარენკოს უნდოდა თავის, როგორც მუშკორის, ავტორიტეტის ამაღლება საზოგადოებრივობისა და საბჭოთა ხელისუფლების თვალში. ამისთვის მან დაითანხმა სოფლის მოჯამაგირე კოშჩეევი,— მოეწყო მისზე თავდასხმის სიმულიაცია. 29 ივნისს ღამით სლისარენკო ახალ გაგრიდან, მუშკორთა კრებიდან, ბრუნდებოდა სოფ. კოლხიდაში. ამ დროს, წინასწარ შემუშავებულ გეგმის მიხედვით, მას თავს დაესხა სოფლის მოჯამაგირე კოშჩეევი. დაჭრილი სლისარენკო ნახეს ძველი გაგრის ტყის სახერხი ქარხნის მახლობლად.

მას აღმოუჩინეს პირველი საექიმო დახმარება. ვითომ მძიმედ დაჭრილმა სლისარენკომ თავისი ჩვენებით გამოძიება აშკარა ცრუ გზას დააყენა და თავდასხმაში ბრალი დასდო შვიდ კაცს, რომელთაც ვითომ უნდოდათ შური ეძიათ გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზია"-სა და „ბატრაკ"-ში მოთავსებული მამხილებელი წერილებისათვის. სლისარენკოს ჩვენების მიხედვით, სხვათა შორის, დააპატიმრეს ახალი გაგრის მილიციის უფროსი მელაძე და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ტყის მცველი ავიზბა 20 ივლისს ეჭვით დააპატიმრეს კოშჩეევი, რომელმაც მცირე ყოყმანის შემდეგ აღიარა, რომ სლისარენკოს ის დაესხა თავს. თავდასხმის მიზეზად კოშჩეევმა წამოაყენა იჭვიანობა სლისარენკოს ცოლისადმი, რომელთანაც მას, კოშჩეევს, ვითომ ინტიმური კავშირი ჰქონდა. როდესაც სლისარენკოს ცოლი დააპატიმრეს, მან დაადასტურა თავისი კავშირი კოშჩეევთან, მაგრამ შემდეგში, ქმრისადმი მიწერილ წერილებში, იგი არწმუნებდა ამ უკანასკნელს, რომ დაკითხვის დროს მან სიცრუე სთქვა და რომ კოშჩეევსა და მას შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. ბოლოს, ახალი ფაქტების წყალობით, კოშჩეევი იძულებული გახდა გამოტეხილიყო. მან აღიარა, რომ თავდასხმა სლისარენკოზე განგებ იყო მოწყობილი. მეორეს მხრივ, კოშჩეევის აღიარების შემდეგ, სლისარენკოც გამოტყდა იმ ბრალდებაში, რომელიც მას წაუყენეს —თავდასხმის სიმულიაციაში (ადს).

საქართველოს კომპარტიის ცეკა.
10 ოქტომბერს, პროფსაბჭოს მცირე დარბაზში
იწვევს საოლქო, სამაზრო და თბილისის კომიტეტების
მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილების გამგეებს
სრულიად საქართველოს მე-10 თათბირს

ქრონიკა

ინდუსტრიალიზაციის სესხის ტირაჟები

საბჭოთა კავშირის ფინსახკომმა შეიმუშავა მოგებათა ტირაჟების კალენდარული გეგმა 1928—29 წლისათვის. ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის ტირაჟი ჩატარდება ოთხჯერ: ნოემბერში—არხანგელსკში, 1929 წლის თებერვალში—სვერდლოვსკში, მაისში—გროზნოში და აგვისტოში—არტემოვსკში. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ტირაჟიც ჩატარდება აგრეთვე ოთხჯერ: დეკემბერში—ლენინგრადში, მარტში—მოსკოვში, ივნისში—ხარკოვში და 1929 წლის სექტემბერში—თბილისში.

საქართველოს მრეწველობის გამოკვლევა

ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. დოლგოვი, რომელიც გაეცნობა საქართველოს მრეწველობის მდგომარეობას, ახალმშენებლობას და ელექტრომშენებლობას. ნოემბრის დასაწყისში თბილისში ჩამოვა „გლავ-ელექტრო“-ს უფროსის მოადგილე ამხ. ფლოკ ხერმანი.

ხორბლეულის დამზადება

„სოფლის კავშირმა“ თავის ძირითად ქსელის საშუალებით მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე სულ დაამზადა 77.189 ფუთი ხორბლეული. აქედან 54.784 ფუთი ხორბალი და 22.405 ფ.

საგადასახადო შეღავათები წიგნის გამყიდველებს სოფლად

საკავშირო სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საკავშირო ფინსახკომს შესცვალოს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის წესი იმ პირებისათვის, რომლებიც პირადათ ან ოჯახის წევრების საშუალებით აწარმოებენ სასარეწაო გადასახადისაგან განთავისუფლებულ გამომცემლობების მიერ გამოცემულ ბეჭდვითი ნაწარმოებთა გავრცელებას სასოფლო ადგილებში. უნდა შეიცვალოს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის წესი აგრეთვე წიგნებით მოვაჭრეთა და კიოსკებში მოვაჭრეთათვის, თუ ეს პირები არ სარგებლობენ დაქირავებული შრომით და არ მოეპოებათ წიგნების საწყობები.

თბილისის აღმასკომში

◆ **თავისუფლების და კახეთის მოედნებზე** ტრამვაის სადგურების მოსაწყობათ ტრამვაის დირექციამ გადასდო 19.000 მანეთი.

◆ **კბილის საექიმო კაბინეტები.** ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა გარეუბნებში მოაწყოს კბილის საექიმო 3 კაბინეტი.

◆ **ახალი ვაგონები.** ტრამვაის დირექცია ამ დღეებში მოსკოვიდან მიიღებს 18 ახალ ვაგონს.

სხვადასხვა

◆ **კოლმეურნეობათა** რესპუბლიკანურ ცენტრების გასაფართოებლად ამიერ-კავკ. სოფლო-სამ. ბანკმა გადასდო 16.000 მ., აქედან საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრს მიეცემა— 5.000 მანეთი.

◆ **ქუთაისის ახალი აბრეშუმის** სართავი ქარხანა ამუშავებული იქნება ოქტომბრის დღესასწაულებზე.

◆ **ქართული ენის კაბინეტში** (მე-14 შ. სკ.) დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება ქართული ენის მასწავლებელთა კრება.

შემთხვევები

ტრამვაის დაჯახება.

გუშინ საღამოს პლეხანოვის პრ. და რეუტოვის ქუჩის კუთხეში ტრამვაის ვაგონი დაეჯახა ურემს და ცალი ხარი დაასახიჩრა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

დაჭრა

მეხუთე სამილიციო უბანში 4 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე ღვინის აღმართზე მდებარე საწვრილმანო დუქანში ჩხუბის დროს პავლე იაკობის ძე გერმასაშვილმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა არტამ ალექსანდრეს ძე ოგანოვი, რომელიც გადაიგზავნა მე-2 საავადმყოფოში. დამნაშავე შეპყრობილია.

მკვლელობა

4 ოქტომბერს, საღამოს 6 ს. სოფ. დიღომში ადგილობრივ კოოპერატივის ნოქარმა—კოლა ლუხუტაშვილმა თოფით მოჰკლა კოოპერატივის გამგე შალიკო კალანდაძე და მძიმედ დასჭრა ნოქარი სურენ ქობულაშვილი. ლუხუტაშვილი შეიპყრეს.

ქურდობა

4 ოქტომბერს სარფიონის ქუჩაზე ახლად აგებულ ღამის თავშესაფარიდან მოიპარეს 13 ონკანი;—გაქურდეს ჯამიკ მურადოვის ბინა (გრიბოედოვის ქ. № 26;)—გაქურდეს კინო „პროლეტარი“. ქურდი გიორგი ჩორვანტენკო შეიპყრეს.

ამხ. ტოკარევის დაღუპვა

28 სექტემბერს ღამით საბარგო მატარებელმა, რომელიც დატვირთული იყო ტრამვაის ახალი ვაგონებით, სადგურ ნავთლუღის აქეთ გასრისა უცნობი კაცი.

დაღუპული აღმოჩნდა მოსკოვის ტრამვაის ქარხნის მუშა ამხ. ტოკარევი, რომელიც თბილისში იყო გამოგზავნილი ტრამვაის ახალ ვაგონების ჩასაბარებლად.

ამის შესახებ თბილისის ტრამვაის სახელოსნოების ადგილკომმა მეორე დღესვე აცნობა თბილისში მყოფ მოსკოვის ტრამვაის ქარხნის წარმომადგენელს, რომელმაც გამოიცნო დაღუპული გვამი.

2 ოქტომბერს ნაშუადღევის 5 საათზე თბილისის ტრამვაის მუშა-მოსამსახურეების თანადასწრებით ამხ. ტოკარევის გვამი დაკრძალული იქნა არამიანცის საავადმყოფოს სასაფლაოზე. განსვენებულის საფლავზე სიტყვა წარმოსთქვა მოსკოვის ტრამვაის ქარხნის წარმომადგენელმა, რომელმაც დაახასიათა მისი თავდადებული მუშაობა პარტიაში და ქარხანაში.

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს თბილისის ტრამვაის მუშების წარმომადგენლებმა.

ხელოვნება

ვ. ფაფაზიანის გასტროლები

სახელმწიფო ოპერის თეატრში დიდის წარმატებით მიმდინარეობს სომხეთის ცნობილი ტრაგიკის ვაჰრამ ფაფაზიანის გასტროლები. ფაფაზიანი გამოვიდა შემდეგ როლებში: ოტელოში, ურიელ აკოსტაში, ჰამლეტში, კინში.

არტისტი ფაფაზიანი დიდი და მრავალმხრივი ნიჭის პატრონია. მისი რეპერტუარი არ განისაზღვრება მარტო ტრაგედიებით, ის ხალისით და საუცხოვოდ ასრულებს თავის როლებს სერიოზულ კომედიებშიაც („დონ ჟუან“-ი, „კინ“-ი), რომლების შესრულებაში მას ბევრი სიცოცხლე და უშუალობა შეაქვს. არტისტს ახასიათებს მშვენიერი გარეგანი მარე: ლამაზი, ეფექტიური ფიგურა, მეტად ყამომეტყველი მოძრავი სახე, საუცხოვო პლასტიკა, მდიდარი აქტიორული ტეხნიკა. ამასთან ფაფაზიანის მიერ თავის როლების შინაგან გადმოცემას ახასიათებს ინტონაციების იშვიათი ბუნებრივობა და გულწრფელობა.

4 ოქტომბერს კინის როლი ფაფაზიანმა ბრწყინვალედ ჩაატარა. მან შექმნა წარმტაცი, მომხიბვლელი, მხატვრული სახე ინგლისის ცნობილი აქტიორისა. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ მეტის მეტად ჩქარი გამოთქმა, რომელსაც წარმატებით ანვითარებს სცენისათვის საფრანგეთის სკოლა და რომელიც, ჩვენის აზრით, ვერ გამოდგება სომხური სცენისათვის (სომხური ენის წმინდა ფონეტიკური თავისებურობათა გამო) დრო გამოშვებით ხელს უშლიდა მაყურებელს სათანადო შთაბეჭდილება მიეღო დიუმას დიალოგიდან (მიუხედავად ფაფაზიანის გარკვეული დიქციისა). განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გასტროლიორმა სცენებში ელენესთან და ანა დემბისთან.

დანარჩენ შემსრულებლებში უნდა აღინიშნოს **ა. გასიანი** (ანა დემბი), **ვ. მირზოიანი** (სოლომონი), **ნვარდი ალიხანიანი** მეტად ექსპანსიურად ხატავდა (ეს თავშეკავებულ ელენესათვის შეუფერებელია) თავის სულიერ მღელვარებას. საერთო ანსამბლი სუსტი იყო. არტისტებს ეძნელებოდათ ყველა ამ პრინცების, ლორდების, გრაფების და სხვა „გამოჩენილ უცხოელთა“ გამოსახვა სცენაზე. ამ მხრივ პრინცი უელსის როლში ტიპის შეუფერებელი შესრულებით პირველობა ეკუთვნის ბაღდასარიანს.

თეატრში დიდძალი ხალხი იყო. გასტროლიორს დიდი გამარჯვება ერგო. **ვ.**

—:—

ხელოვნების ქრონიკა

„თანამგზავრობის პრობლემა“

დღეს, 6 ოქტომბერს საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის გაფართოებულ სხდომაზე ბ. ჟღენტი წაიკითხავს მოხსენებას: „თანამგზავრობის პრობლემა“. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ამხ. **შ. დუდუჩავა, ს. ხუნდაძე, ტ. ტაბიძე, ს. ეული, ს. ჩიქოვანი, შ. რატიანი, პ. ქიქოძე, ა. ქეიშვილი** და სხვ. შესვლა თავისუფალია. დასაწყისი 8 ს.

◆ **ეიხარევას გასტროლი.** დღეს, მედსანშრომის კლუბში გაიმართება ეიხარევას გასტროლი.

◆ **ქუთაისის დრამის სეზონი** გაიხსნება ნოემბრის პირველ რიცხვებში.

ქუთაისი

ქუთაისის ბიუჯეტი

ქუთაისის მაზრის 1928—29 წლის ბიუჯეტი უდრის 6.110.005 მანეთს, შარშანდელი —3.615.857 მანეთის ნაცვლად. სახალხო განათლებაზე გადადებულია—1.445.803 მანეთი, ჯანმრთელობის დაცვის საქმისთვის—507.760 მანეთი.

ელექტრონის რკინის გზა ქუთაისი-წყალტუბო

ქუთაისში მოეწყო სპეციალური კომისია ქუთაის-წყალტუბოს ელექტრონის რკინის გზის გასაყვანად, საჭირო გამოკვლევითი მუშაობის ჩასატარებლად. რკინის გზის სიგრძე დაახლოვებით 10 კილომეტრი იქნება. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

რკინის გზაზე

მთავარი სახელოსნოები—დამოუკიდებელ ბიუჯეტზე

მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრიდან თბილისის მთავარი სახელოსნოები გადაკეთებულია ორთქლმავლებისა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანად.

ამავე დღიდან ქარხანა ა. კ. რკინის გზების გამგეობის უშუალო გამგებლობაში გადადის. ქარხნის ძირითადი კაპიტალს შეადგენს ქარხნის შენობები, სხვადასხვა მოწყობილობები, მანქანები, დაზგები და სხვა.

საოპერაციო წელიწადში მიღებულ მოგების 50 პროცენტი მოხმარდება თვით ქარხანას, ხოლო დანარჩენი გადავა გზათა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში.

148.000 მან. განათლების საქმისათვის

სატრანსპორტო განათლებას ცენტრალურმა სამმართველომ მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ამიერ-კავკასიის რკინის გზების განათლების განყოფილებას, გადასცა 148.154 მანეთი.

წვიმები

4 ოქტომბრიდან ამიერ-კავკასიის რკინის გზების მთელ დასავლეთ უბანზე მოდის კოკისპირული წვიმა. მატარებლის დატვირთვა და გადმოტვირთვა უკანასკნელი დღეების განმავლობაში ძალიან შესუსტდა.

პირველი თოვლი

საქართველოს სამხედრო გზაზე

გუშინ, საქართველოს სამხედრო გზის მეორე უბანის უფროსმა ინჟ. ბენკევიჩმა საქ. გზატკეცილების სამმართველოს კობიდან აცნობა, რომ 4 ოქტომბერს საქართველოს სამხედრო გზაზე, უღელტეხილის რაიონში, მოვიდა თოვლი.

ინჟ. ბენკევიჩის ცნობით უღელტეხილზე სთოვდა 4 ოქტომბრის ნაშუადღევიდან მეორე დღის დილამდე. გზატკეცილების სამმართველომ ამის შესახებ შეატყობინა „ზაკავტოპრომტორგს“ და ყველა იმ საავტომობილო საზოგადოებებს, რომლებიც აწარმოებენ ავტომობილებით მიმოსვლას სამხედრო გზაზე.

თოვლის მოსვლის შესახებ ცნობა მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც თბილისიდან კავკასიისაკენ უკვე გავიდნენ სამგზავრო ავტომობილები.

ახალქალაქი, 5 ოქტომბერი. მოვიდა პირველი თოვლი. თოვლის სიმაღლე 30 სანტიმეტრს უდრის. შესწყდა პურის ლეწვა.

დიდი წვიმები

4 ოქტომბერს საღამოდან თბილისში დაიწყო წვიმიანი ამინდი. ღამით ქალაქში მოვიდა კოკისპირული წვიმა, რამაც ქუჩებში გამოიწვია დიდი ნიაღვრები. განსაკუთრებით დიდი ნიაღვარი მოვარდა საბჭოთა ქუჩაზე და მოსკოვის ქუჩაზე. ქალაქისათვის ნიაღვარს ზარალი არ მიუყენებია. დიდ წვიმებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე კახეთში და ქუთაისის მაზრაში.

მტკვარის ადიდება

უკანასკნელ დღეებში მტკვარს დაეტყო ადიდება. გუშინ, კი, ნაშუადღევიდან, მტკვრის დონემ სწრაფად დაიწყო მომატება და საღამოს 9 საათზე დაფარა რიყის ნაწილი.

მტკვრის ადიდების შესახებ ცნობის მიღებისთანავე რიყეში სასწრაფოდ გამოცხადდა ცეცხლის მქრობელი რაზმი და მილიციის თანამშრომლები.

საშიშარ ადგილებში მცხოვრებლებს წინადადება მიეცათ მოემზადონ, რომ მტკვრის უფრო მეტად ადიდების შემთხვევაში დაუყოვნებლივ დასტოვონ ბინები.

მიღებულია ზომები მცხოვრებთა მოსათავსებლად დროებით ბინებში.

სასამართლო

ხულიგანი—მილიციონერები

მესამე უბნის საუწყებო მილიციის თანამშრომლები **ანდრია მხეიძე, სპირდონ წიგნაძე** და **ალექსანდრე კრავეიშვილი** კარგ დროს ტარებაზე და „ყარაჩოღულ“ ქეიფზე უფრო მეტად ზრუნავდნენ, ვინემ წესრიგის დაცვაზე და მოქალაქეთა მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფაზე.

ისინი ერთმანეთის ამქრები იყვნენ და ერთი უმეორესოდ, როგორც იტყვიან! „პურს არ გასტეხდენ“.

მაისის საღამო იყო: მხეიძე, წიგნაძე და კრავეიშვილი ამობარბაცდენ სარდაფიდან პუშკინის ქუჩაზე და ჩასხდენ ეტლში.

როგორც მოგეხსენებათ, კომინტერნის (ყოფ. სასახლის) ქუჩაზე სასტიკად აკრძალულია ეტლის გატარება.

„ყარაჩოღელებს“ მაინც და მაინც აკრძალული გზით უნდათ ჩაექროლოთ ეტლი. აქაო და „წესრიგის დამცველები“ ჩვენა ვართ, ვინ გაგვიბედავს წინააღმდეგობასო.

მეეტლემ დააყენა ეტლი და მგზავრებს მუდარით მიმართა: „ნუ დამღუპავთ! დამიჭერენ, დაჯარიმებენ და ნუ მიზამთ ასეთ საქმესო“.

მილიციელი მხეიძე მეეტლეს ნაგანით დაემუქრა და დაუყვირა: „გააქანე, თორემ გაგათავებო“.

მეეტლემ გადაჰკრა მათრახი ცხენებს და კომინტერნის ქუჩაზე გააქანა ეტლი.

ასტყდა ფსტვენა. მეეზოვეები დაედევნენ ეტლს. ერთი მათგანი—ჩუხრუკიძე წინ გადაუდგა კომბალით ეტლს და წინადადება მისცა მეეტლეს შეჩერებულიყო.

„წესრიგის დამცველებმა“ მეეზოვეებს რკალი გაარღვიეს რევოლვერებით და მაღალ სიმღერა შემოსძახეს რუსთაველის პროსპექტზე.

მილიციელებმა ჩამოსახტომ პუნქტად აირჩიეს ერთი თონე, სადაც ხალხი შენიშნეს. შევარდენ თონეში მილეწ-მოლეწეს იქაურობა, დაუწყეს ლანძღვა-გინება პურის საყიდლათ მისულ მოქალაქეებს, ჩალეწეს ფანჯრები და კიდევ არ აპირებდენ დაწყნარებას, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს არ მოესწროთ.

სამივე ხულიგანი მილიციელი დაპატიმრებულ იქნა.

მაგრამ ამით როდი გათავდა დებოში. მილიციის სამმართველოში სამივე „ძმა-ბიჭი“ ერთმანეთს ეჯიბრებოდენ ლანძღვა-გინებაში, აგინებდენ უფროსებს, მორიგე მილიციელს, გამვლელსა და გამომვლელს.

ერთმა მათგანმა მილიციელ ჩხეიძეს თავი გაარტყა ცხვირში და ჩხეიძე კინაღამ სისხლიდან დაიცალა.

ხულგანი მილიციელები ანდრია მხეიძე, სპირდონ წიგნაძე და ალექსანდრე კრავეიშვილი გუშინ გაასამართლა თბილისის სამხედრო სასამართლომ ამხ. **რ. კალანდაძის** თავმჯდომარეობით.

თვითეულ მათგანს მუშურ-გლეხურ მილიციის სახელის გატეხვისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ექვს-ექვსი წლით. მათვე დაეკისრათ სასამართლოს ხარჯები.

„ჯადოთი“ მოვაჭრე მოლა

თბილისის მესამე უბნის სახალხო სასამართლომ გაასამართლა მოლა **მამედ გუსეინ მირზა-ოღლი** (105 წლის) და მისი შვილი **ჯალილ მამედ ოღლი.**

მოლა მამედ გუსეინ მირზა-ოღლი ბნელ და გაუნათლებელ მოქალაქეებს შორის ავრცელებდა ხმებს, თითქოს მას „ჯადოს“ საშუალებით შეეძლია გაყრილი ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაუბრუნოს. თუ ქალიშვილს გათხოვება „დაუგვიანდა“ „ბედი არ უჩანს“, მოლას „ჯადოთი“ ქალიშვილს ორ კვირაში „ბედი კარზე მიადგება“ და გათხოვდება. ერთი სიტყვით, მოლას და აგრეთვე მის ვაჟიშვილს ჯალილს ხელში ეპყრათ „ბედნიერების გასაღები“.

იღებდენ უვიცი ხალხისაგან „ავანსად“ გასამჯელოს და რაღაც შემწვარ-შეხრაკულ ბალახებს და სხვადასხვა სიბინძურეს ასაღებდენ „ჯადოს“ სახით ოქროს ფასად.

დიდხანს ატყუეს ბნელი და გაუნათლებელი მოქალაქეები მოლამ და მისმა შვილმა.

ხალხს ფულები ხელიდან დასძრა, „ბედნიერება“ კი არსად სჩანდა. პირიქით, ერთმანეთის მოძულე ცოლ-ქმარს შორის, რომლებიც მოლას „ჯადოს“ ერთმანეთის „ამომავალ მზეთ“ უნდა გადაექცია, კიდევ უფრო გაშინდა ჩხუბი და დავიდარაბა იმ „ზედმეტ ხარჯების“ გამო, რომელსაც „ჯადოთი“ მკურნალობა იწვევდა.

უკმაყოფილო ელემენტებმა სააშკარაოზე გამოიტანეს მოლას და მისი ვაჟის თვალთმაქცობა და აღძრეს მათ წინააღმდეგ საჩივარი.

სასამართლომ ბრალდებულებს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ექვს-ექვსი თვით და აუკრძალა ასეთი თაღლითობა.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო მოლა მამედ-გუსეინ მირზა ოღლის ღრმა მოხუცებულობა (105 წ.) და სასჯელი შეუცვალა პირობით ორი წლის ვადით.

ზერ.

რადიო-გადაცემა

დღეს, 6 ოქტომბერს, თბილისის ოთხ კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემულ იქნება: მორზეს ანბანის ახსნა გამარტება (ქართულ ენაზე), გლეხური რადიო-გაზეთი (ქართულ ენაზე), წითელ არმიელთა რადიო-გაზეთი (რუსულ ენაზე), საუბარი „წითელა და აუცილებელი გამაფრთხილებელი ზომები მის წინააღმდეგ“, მუსიკალური ანტრაქტი, რადიო-გაზეთი სომხურ ენაზე, გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობა (ქართულ და რუსულ ენაზე). ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია. კონცერტის ტრანსლიაცია.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 6 ოქტომბერს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: ზინაიდა კრინსკაია; ანდრო ბუდიასკი; ნადეჟდა აკოფოვა; ევგრაფი ყარკოვი; ელისაბედ ადლური; გარეგინ პაპაზიანი; არმენაკ კისაგულიანი; **გონებრივ მუშაკთა სექციიდან:** კლავდია მერიაშვილი; მარგარიტა ზარაფიშვილი; ლიდა პარკაძე; ანიკო მიქელაძე; ოლა მჭედლიშვილი; ანნა გოგიშვილი; თამარ ელისაბედაშვილი; ევგენია პანიევა; პარმენ ვართანოვი; ალექსანდრე ფუტურიძე, მარიამ არუთინოვა; დავით ჩოლოყაშვილი; ნიკოლოზ ჯანდიერი; ირაკლი სახოკია, დავით მეგრელაძე, ელისაბედ ეიგალკო; ანა ბელოვსკაია; **მედსექციიდან:** შუშანა ალიგითიანი; ალექსანდრე მატეოსოვი; მარიამ დემუროვი; არტემ შეხბაზიანი; ქსენია ჩეიკინა; ანასტასია ბიხმოვა. **შავ მუშათა სექციიდან:** სოფიო გასპარიანი; ივანე ჩერკოვი; სერგო გოგავა; გიორგი ზაქარიაშვილი; ფერდინანდ შმიდტი; მელიქსედეკ ჯღარკავა; ალექსანდრე ხინჩაგოვი; ვართან ტარმუდოვა; შალვა ჯიხვაშვილი; რუბენ ხითაროვი; ალი ალავერდოვი; ირაკლი უნგიაძე; არჩილ ბადიაშვილი.

ნარევი

ბრძოლა ბოროტმოქმედებებთან ამერიკაში

შეერთებული შტატების, ერთ-ერთ ბანკში შემოღებულია ასეთი საინტერესო სისტემა სიგნალიზაციისა ბოროტმოქმედთა თავდასხმის შემთხვევისათვის: როცა მძარცველი უახლოვდება მოლარეს და უყვირის—„ხელები მაღლა“, მოლარე ასრულებს ამ განკარგულებას, და როგორც კი ხელებს მაღლა ასწევს, მაშინვე მოქმედებას იწყებს სასიგნალო მოწყობილობა. ხდება ეს იმის გამო, რომ სივრცე მოლარის მაგიდასა და ჭერს შუა მაგნიტურ არეს წარმოადგენს. ხელების აწევა ამოქმედებს ამ არეს და ამუშავებს სიგნალიზაციას.

დიპლომატიური გართულება პიესის გამო

ამ რამდენიმე ხნის წინად პარიზის ერთ-ერთ თეატრში დადგმული იქნა **მორის როსტანის** ახალი პიესა „ნაპოლეონ IV“. პიესის სიუჟეტათ როსტანმა გამოიყენა ნაპოლეონ III შვილის უცნაური სიკვდილი ზულულანდში, როსტანი თვლის, რომ ინგლისის მთავრობამ ნაპოლეონის შთამომავლობის მოსპობის მიზნით მოსყიდულ მკვლელებს მოაკვლევინა ნაპოლეონ მესამეს შვილი. პიესაში არის ინგლისის „ღირსების შეურაცხმყოფელი“ ზოგიერთი ფრაზები. მაგალითად, „მუდამ ვერადროთ ინგლისთან მეგობრობას“ და სხვ. ინგლისელებმა, რომლებიც მრავლად დაესწრენ პიესის პირველ წარმოდგენას, ასტეხეს სტვენა, ხმაურობა და დემონსტრატიულად დასტოვეს თეატრი. მეორე დღეს, გაზეთები თუმცა აქებდნენ როსტანის პიესას, მაგრამ გამოსთქვამდნენ შიშს, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო პროტესტს განაცხადებს ინგლისის სახელის შეურაცხმყოფელ თეატრალურ წარმოდგენისათვის. და მართლაც, ამის შემდეგ მორის როსტანი დირექციის „თხოვნით“ იძულებული შეიქნა ამოეშალა პიესიდან ზოგიერთი ფრაზები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ თვითკონტიკის გატარების შესამოწმებლად (საქ. კომ. პარ. ც.კ. დირექტივის თანახმად მობილიზაციის წესით გაწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები, რომლებიც უნდა გამოცხადდნენ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციაში დღეს, 6 ოქტომბერს, დილის ათ საათზე. მელიქაძე (მიწა-ტყის კავშირი), მნაცაკანოვი (მუშკოოპი), ფიშერი („რაბოჩაია პრავდა“), მარგალიტაძე (თბ. აღმასკომი), პიტერსკი („რაბოჩაია პრავდა“), გარგალაჯევა, ტკაჩევი, ხანდკაროვი და ვილჩინსკაია (ცეკას პროპაგანდისტთა ჯგუფი), ადამაძე (ქალაქის რაიკომი).

—:—

საქართველოს კომპარტიის თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის აგიტპროპგანყოფილება დღეს, 6 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (კალაოუბნის ქ. № 3) იწვევს **საღამოს პარტსკოლების მსმენელთა პირველ საორგანიზაციო კრებას.** რაიკომი წინადადებას აძლევს უჯრედებს: № 91, 64, 83, 61, 36, 87; 32; 74; 48; 43; 53; 55; 62; 13, 3, 4, 2, 57, 31; 76; 79; 6; 10, 7. 65, 66, 72, 12, 54, 77, 5, 11, 15; 16; 42; 41; 30; 27, 56, 35, 66, 81, 14, 29-ის მდივნებს გამოგზავნონ თავიანთ უჯრედებიდან საღამოს პარტსკოლებში ჩარიცხულები და აგრეთვე ისინი, რომლებიც არ გატარებულან რაიკომის მიმღებ კომისიაში და ჩაწერილნი იყვნენ უჯრედებში, დამატებით, საღამოს პარტსკოლებში სამეცადინოთ. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

დღეს, 6 ოქტომბერს, დღის 12 საათზე; ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ კომისიის სხდომა, რომელზედაც უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: **იმედაძე, ბოკერია,** (უცოდ.-კითხვა), **ბუჯიაშვილი** (ა.ლ.კ.კ. ცეკა) და საქართველოს პროფკავშირთა კულტ. განყ. წარმომადგენელი.

—:—

დღეს, 6 ოქტომბერს, დილის 9 საათზე ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება კომისიის სხდომა პიონერ-მოძრაობის საკითხის შესახებ, რომელზედაც უნდა დაესწრონ ცეკასთან არსებულ საბავშვო კომისიის, ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს, თავდაცვა-ავიაქიმის, საქართველოს საგეგმო კომისიის ჯანსახკომის, განსახკომის და საქართველოს პროფ. კავშ. კულტგანყოფილების წარმომადგენლები.

—:—

დღეს, 6 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე აგიტპროპმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში შესდგება ყველა საღამოს პარტსკოლების საზოგადო-პოლიტიკურ დისციპლინების ხელმძღვანელთა თათბირი. დასწრება სავალდებულოა.

ორშაბათს, დილის 10 საათზე შესდგება საქართველოს ლენინურ კომკავშირის ცეკასთან და თბილისის კომიტეტთან არსებულ შრომისა და განათლების განყოფილებების კოლეგიის შეერთებული გაფართოებული სხდომა. ქვემოთ დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ: ჯავახიშვილი, მაისურაძე, ეგოროვი, გრიგორიანი, ჭელიძე, შავგულიძე, დუნდუა, არჩვაძე, აბულაძე, კობახიძე, ლეკვეიშვილი, კიპრიზოვი, ბარბამაშვილი, გოცირიძე, ამირევი, კერესელიძე, მდივანი, ცხაკაია, ნერსესოვი, ქორიძე, დავლიანიძე, აჯიბეგაშვილი, ჯიქია, ნარიმანაშვილი, კალანდაძე, ბეგიაშვილი, უნგიაძე, სურმავა, ბეჟანოვი, გუბელოვი, არუთინოვა და ჯაფარიძე. სხდომაზე მოწვეულია აგრეთვე ამხ. უბირია (ინდუსტრ. ტეხნიკუმიდან), მგელაძე, (ეკონომიური ტეხნიკუმიდან) და სოკოლია (ქიმიური ტეხნიკუმიდან).

—:—

საქართველოს კომპარტიის თბ. ორგანიზაციის 26 კომუნარის სახელობის რაიკომი იუწყება, რომ კვირას, 7 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, რაიკომის შენობაში (კახეთის ქუჩა № 1) **შესდგება მიმღებ კომისიის სხდომა.** ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: ალექსანდრე ბაღდასაროვი, ოჰანეს მალხასიანი, მაკრეი ბაბაიანი, ვალენტინ ტისტოლდოვი, ალექსი გაბარაშვილი, პეტრე ჯარანნინძაია, პ. ირემაშვილი, არუთინ ავაქიანი, ამაიკ ზახარიანი, პოღოს თუმასოვი, აშოტ უნანოვი, თამარა საფაროვა, ავეტიკ შიმაროვი, ნიკოლოზ გაიშა, რომანოზ კობერიძე, ივანე სადღუნაშვილი, ივანე ლილოძე, დავით მურიშვილი, გ. მარტიროზოვი, ვარამაშვილი, გ. მჭედლიშვილი, გალ. კობერიძე, დომენტი მესერიძე, გიორგი ნონიკაშვილი, დავით მაზმიშვილი, გიორგი სოლოღაშვილი, მიხეილ ინაშვილი, იოსებ ვაშაძე, გაბრიელ ნაშალაშვილი, ლევონ არუთინოვი, არამაის ოსიპოვი, სარქის ტერ-ოგანეზოვი, აშოტ დადიანი, არამ შახკულოვი, აბრამ არუთინოვი, არტემ გაბიჩვაძე, ოლღა მოდესტოვინა, გრ. ტერ-არუთინოვი, რაჟდენ მარტიროსოვი, არშაკ ბეგიჯანოვი, იაკობ კოკოიანცი, გიორგი ალობარიძე, ვასილ ქარხული, ვასილ ქართველიშვილი, ზაქრო ორემაშვილი, ალექსი ტერბარსეგოვი, აკაკი სიორიძია, პეტროს ამირზანოვი, ნინა ივანოვა, ნინა მანჯგალაძე, გაბრიელ ჯანიკაშვილი, ვასილ თაბაზიშვილი, ბორის ბადაევიანი, საკ არუთინოვი, ალექსანდრე არუთინოვი, ალექსანდრე გრიგორის ძე არუთინოვი, სერგო კაზაროვი და ნინა წითლიძე.

თბ. სახ. უნივერსიტეტ. კომკავშირის ბიურო კოლექტივი, დღეს, 6 ოქტომბერს იწვევს ყველა უჯრედების წევრების სხდომას აქტივთან ერთად. დასწრება სავალდებულოა.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ვ. ს—ძისას

კითხვა:

ხუთი წელია ვმსახურობ მასწავლებლად. ვარ კავშირის წევრი და დაზღვეული. ფეხმძიმობის გამო მარტის თვეში გავედი შვებულებაში. ჩემს მომშობიარებამდე საზაფხულო არდადეგების გამო სწავლა შესწყდა.

გთხოვთ გაგვიმარტოთ: 1) ვალდებულია თუ არა დამზღვევი სალარო მომცეს დახმარება 2) რამდენი თვის ან დღის დასვენების უფლებით სარგებლობს მშობიარე ან ეკუთვნის თუ არა დროებით მასწავლებელს ჯამაგირი მუშაობაზე დაბრუნებამდე?

პასუხი:

მშობიარეს, რომელიც ფიზიკურ შრომას არ ეწევა ეძლევა დახმარება ექვსი კვირის განმავლობაში დღიდან მშობიარობისა. ამ დროის განმავლობაში დამზღვევი სალარო ვალდებულია აძლიოს დახმარება. სოცდაზღვევის საკავშირო საბჭოს 1927 წ. მაისის 9-ის № 122 დამტკიცებული წესების მე-13 მუხ. თანახმად განათლების მუშაკებს არდადეგების პერიოდში შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს დახმარება უნდა მიცემოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არდადეგების დროს მოწვეული იქნებოდნენ მუშაობაზე და შრომის უნარის დაკარგვის გამო დაკარგავდენ ხელფასს. მაგრამ სოცდაზღვევის საკავშირო საბჭოს ა. წ. მაისის 10-ის № 319 დადგენილების თანახმად ხსენებული წესების მე-13 მუხ. შეცვლილია და ახლა იმ მუხლის თანახმად შრომის უნარის დროებითი დაკარგვის გამო დახმარება განათლების მუშაკებს მიეცემათ დამზღვევ სალაროდან არდადეგების დროსაც დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის ჰქონდა ადგილი შრომის უნარის დაკარგვას არდადეგებამდე, თუ არდადეგების დაწყების შემდეგ. ეს უკანასკნელი დადგენილება შეეფარდება ისეთ შემთხვევებსაც, როცა შრომის უნარიანობის დაკარგვა გრძელდებოდა ა. წ. 1 ივნისამდე. ამის გამო, თუ მშობიარობის დღიდან ივნისის პირველამდე არ გასულა ექვსი კვირა, ეს ახალი დადგენილება შეგეხებათ თქვენც.

რაჟდენ ილიკოს ძე ბახტაძეს (კავშ. წევრი № 184)

კითხვა

ვმსახურობდი ქალაქ ხონში ალექსანდრე ქუთათელაძის გრეხილ-ავეჯეულობის ქარხანაში. მწარმოებლის მატერიალურ კრიზისის გამო ეს წარმოება დაიხურა. 1928 წ. იანვრიდან მე მერგებოდა ქუთათელაძისაგან ფაქტიურად ნამუშევარი ხელფასი 122 მან. და 60 კ., რაზედაც დათხოვნისთანავე მივიღე ხელწერილი. დათხოვნის შესახებ წინასწარ გაფრთხილებული არ ვყოფილვარ. სასამართლომ მომისაჯა მხოლოდ ეს 122 მან. და 60 კაპ. მერგება თუ არა დღემდე განაცდენი დროის ასანაზღაურებელი ხელფასი და გაუფრთხილებლობის ჯილდო?

პასუხი

თუ თქვენ არ იყავით გაფრთხილებული დათხოვნის შესახებ, თანახმად შრომის კოდექსის მე-88 მუხლისა, თქვენ გეკუთვნით ორი კვირის გასასვლელი დახმარება. რაც შეეხება განაცდენი დროის ხელფასს, უნდა ითქვას ის, რომ სამსახურის საბოლოო ვადათ, თანახმად ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს № 17, 1923 წ. 20 თებერვლის დადგენილებისა, უნდა ჩაითვალოს ის დღე, როდესაც მოხდა თქვენთან ფაქტიურად ანგარიშის გასწორება. თუ ხელწერილის მიღება ანგარიშის გასწორების დროს მოხდა თქვენი თანხმობით და ამის შესახებ თქვენ პრეტენზია არ გაგიცხადებიათ, ამ ხელწერილის მიღების დღე უნდა ჩაითვალოს ფაქტიურად ანგარიშის გასწორების დღეთ, და მაშინ თქვენ მეტი არაფერი გერგებათ.

ჩვენი ფოსტა

თამარა ნიკოლაიძეს. გაცნობებთ მისამართით, რომ თქვენგან მიღებულ 1 მანეთის ანგარიშში ერთი თვით გამოგიგზავნით ჩვენი გაზეთი.

დამწუხრებულნი მშობლები ნიკოლოზ და ლუბა, ძმები მიხეილ და გრიგოლ კურცხალიები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 3 ოქტომბერს გარდაიცვალა მე-4 შრომის სკოლის მე 6 ჯგუფის მოწაფე

ანიკო ნიკოლოზის ასული კურცხალია

გამოსვენება და დაკრძალვა ქუთაისში, ჯუღაშვილის მე-4 ჩიხი, კვირას, 7 ოქტომბერს 3 საათზე ოლასკურის სასაფლაოზე. 4414

ღრმად დამწუხრებული მშობლები კოტე მიხეილის ძე, მაგდალინა ქაიხოსროს ასული, დები: ნორა, ქეთო ფარეიშვილები, და ძმა გიორგი (ჟორჟიკა) ფარეიშვილი—ჯომარჯიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს, და მეგობარებს, რომ ტრაგიკულად დაკარგულ, დაუვიწყარ, სიკეთით სავსე და მათი უსაყვარლესი ახალგაზრდა

ვალიკო სვიმონის ძე ფარეიშვილ-(ჯომარჯიძის)

ხსოვნის აღსანიშნავად, კუკიის სასაფლაოზე 6 ოქტომბერს ნაშუადღევის 4 საათზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 4411

სამუდამოთ გულმოკლული ცოლი და დამწუხრებული მშობლები ადა იოსების ასული და კონსტანტინე მიხეილისძე ჩიჟაძეები აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და მეგობრებს, რომ კვირას, 7 ოქტომბერს 1 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის უდროოდ დაკარგულ ერთად ერთი უსაყვარლესის პირმშო შვილის, მცხეთის სკოლის მე-5 ჯგუფის მოწაფის

კონსტანტინე (კოტია) კონსტანტინეს ძის ჩიჟაძის

ხსოვნის აღსანიშნავად 4416

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მარო და ძმა ვახტანგი აუწყებენ საზოგადოებას რომ ტრაგიკულად გარდაცვალებულის საყვარელი და დაუვიწყარი

შალვა მიხეილის ძე კალანდაძის

გამოსვენება მოხდება ალექსანდროვის საავადმყოფოდან დღეს 3 ნახ. ს. ბინაზე ჯოგებაშვილის გას. № 3, დაკრძალვა 7 ოქტომბერს 12 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე.

სამუდამოთ გლოვით მოცული ცოლი—ელიკა, სიდედრი—ფოფო, სიძე დათიკო მაჭავარიანი ცოლით, ცოლისძმა ვალოდია შალიკაშვილი ცოლით და გიგო ფალავანდიშვილი ოჯახობით აუწყებენ ნათესავებს და საზოგადოებას, რომ საყვარელი და დაუვიწყარ ტრაგიკულად დაღუპულ

არჩილ ალექსანდრეს ძე სალინაშვილის

ნეშტის დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე 6 ოქტომბერს ნაშუადღევის 3 საათ გამოსვენება საკუთარ ბინიდან ორჯონიკიძის შესახ. № 6 (დიდუბე). 4407

კინო-პალასი მალე კინო-არფასტო

2 დღე
რეჟისორი სტაბოვოი
მთავარ როლებში:
ნ. ზამიჩკოვსკი
ს. მ ნინი
ვ. გაკეგუში

2

გაყიდული მადა
დადგმა ოხლოპკოვის
მთავარ როლებში,
ბუჩმა, ციბულსკი,
დესიმეტიერი

განსაკუთრებით მხატვრული სურათი
თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს

სახქინმრეწვის კინოები	
განთიადი	სიცოცხლე სიცოცხლისათვის
არფასტო პალასი	დიდი წარმატების გამო გრძელდება კიდევ 2 დღე ადამიანი იშვა მოსკვინი მონაწილეობით
სოლეი	ცნობილი სპორტსმენი-ტრიუკისტი ალფრედ ბოკოლინი სურათ. სასიკვდილო ნახტომი
მინიონი	კარმენ ბონი საუკეთესო სურათში ნამდვილი მამაკაცი
აპოლო	მერი ხრისტიანსი მხატვრულ სურათში ლურჯი სისხლი
დარბაზი	მეი მურეი მხატვრულ სურათში სენატორის კარიერა
პროლეტარი ავლაბარი	უკანასკნელად თბილისში პოეტი და მეფე

ახოხსი მალე კაზაკები ლ. ნ. ტოლსტოის მოთხ. მიხედ. 0—4

საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს

ლითონტრესტი

თბილისი. კალინინის სახელობის ქარხანა—ყვირილის ქ. № 9, ტელ. 4—34

იყიდება საწყობიდან

ელექტრო მოტორები და დინამოები მუდმივი დენისა 65-110 220-440 ვოლტი 1-30 ცხენის ძალისა.
მზადდება უმფორმერები და მოტორ-გენერატორები.
ელექტრომოტორები ცვალებადი დენისა.
ტრანსფორმატორები 100 კილოვატამდე.
აგრეგატები შესადუღებელი მუშაობისათვის.
ელექტრო-გამხურებლები, მძლავრნი და ლაბორატორიებისათვის.
მოტორებისა და სხვადასხვა ელექტრო-აპარატების რემონტი.
ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები.
გამომცდელი სადგური

იყიდება დიზელი 100 ცხენის ძალისა და ატლას-დიზელი დინამოთი 115 ვოლტი 50 ცხენის ძალა.
2—1 ნ. 1664

ექიმი
თოდაძე
დაბრუნდა. ღებულობს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს. (თირკმელები, საშარდე ბუშტი და სხვა). ცისტოსკოპია, დიატერმია.
თბილისი, ბელგიის ქ., № 1; მიღება—4—6 საათამდე. 13—1

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ლორისის ქ. კუთხე.

შაბათს, 1928 წლის 6 ოქტომბერს, სოციალური—ჰიგიენის აუდიტორიაში
ლუნაჩარსკის ქ. № 12 (ყოფ. ევანგულოვისა) საღამოს 8 საათზე
ბერლინის უნივერსიტეტის პროფ. **გიკელი**
მოწვეული საქართველოს კურორტთა მთავარი სამმართველოს მიერ, საქართველოს კურორტებზე სპეციალურ სამუშაოთა ორგანიზაციისათვის
წაიკითხავს თბ. ექიმთათვის მოხსენებას:
„საქართველოს კურორტები და მათი პერსპექტივები“
საქართველოს კურორტთა მთავარი სამმართველო
ნ. 1677

ქ. თბილ. მე-4 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ა. გიორგაძე
ამით აცხადებს, რომ ის 9 ოქტომბერს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 70 კლარა ცეტკინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. იაკობ ცეკვაშვილის მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფს, კამოდს, ტუალეტის სარკეს, ხალიჩას, რბილ ავეჯს და სხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 216 მანეთად, მოქ. ვალერიან გიორგობიანის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის სახელმწ. სანოტარო კანტორისაგან 7 სექტემბრის 1928 წ. თარიღით, № 113 გაცემულ აღმასრულებითი წარწერისა. 4412

თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტთან არსებული კოლექტივების გაერთიანების სამმართველოს
სატრიკოტაჟო ფაბრიკა
„პროლეტარი ქალი“
ბამბის რიგი, № 1, ტელ. № 15—93
ღებულობს დაკვეთებს ყოველგვარ სატრიკოტაჟო ნაწარმოებზე, სახელდობრ: ქალის ჩულქებზე, მამაკაცის და საბავშვო წინდებზე, ჟაკეტებზე, სვიტერებზე, ბეტრებზე და სხვ.
ფაბრიკასთან არსებობს აგრეთვე სამღებრო
ნ. 1649

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ
ტელეფ.—1267. 25—1

ლოგოპედი
ა. ა. კიფშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
კლარა ცეტკინის ქ., № 132.

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს
დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს.
მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი** ავადმყოფობა. სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჟნაია) № 7— ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
დილ. 9—3 საათ. და საღ. 6—7 ს. რუსთაველის გამზირი, № 12. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომლებიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღ.—5—8 ს. ქალები და ბავშვების მიღება: დილის—8—9 ს. 4—საღ.—5 ს. მისამართი: კამოს ქ., № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

ექიმმა
ს. ი. ვოლოხვა
განაახლა ავადმყოფთა მიღება
(ქალთა სნეულებანი და მეანობა)
ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 5 ს.-დან 7 ს.-მდე. ბელგიის ქ., № 5, მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლად. ტელ. 10—80
25—1

ექიმმა
ი. ვ. ხანდამოვმა
განაახლა სიფილისით, კანისა და ვენერიული ავადმყოფობით დავადებულთა მიღება. დღის 1—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ძნელაძის ქ., № 35, (ყოფ. საპიორის ქ.), 4, კადეტთა კორპუსის უკან.
(25—1)

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. და საღ. 6—8 საათ.
კამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

მათემატიკის
მასწავლებელი
1929 ს. წ. ამზადებს
ქართულ და რუსულ ენაზე
უმაღლეს სასწავ., მუშფაკ., სპეც ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) მოწმობაზე, მისაღებ და განმეორებითი გამოცდებისათვის აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 2—6 საათზე. ერთ მოწაფეს ვღებულობთ სრულ კმაყოფაზე და ბინით. 3—2 4378

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 6—8 კაცებს, 5—6 ქალებს.
25—1

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტები მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12— ს.—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35
13—2

ექიმი
ანასტასი ლევის ძე
ორლოვსკი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და საბავშო სნეულებით ავადმყოფთა მიღება. (სპეციალურად მალიარია) ამოს ქუჩა (ყოფ. ქსენიევის ქუჩა), 9 მიღება დილით 1—2 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე 25—1

ექიმ ივ. გველესიანის
პარაზიტოლოგიური
კაბინეტი
იღებს გამოსაკვლევად ყოველგვარ მასალას სპეციალურად სისხლის პარაზიტებზე (მალარია, სპიროხეტოზი და სხვა) და ნაწლავების პარაზიტებზე (amoeba, trichomonas, giardia intestinalis და სხვა protozoa: ჭიებზე) მასალა გამოსაკვლევად მიიღება: დილის 8—9, საღამოს 5—7 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა 38
ელსმ. 6—22 4364 25—1

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა
ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.
ელსმნი —11—78. 25—1

ექიმი
ნ. ა. ჯანდიერი
ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჩინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
25—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
დღის 2—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4
ტელ. 14—23.

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—1

ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩეჩელაშვილი
დაბრუნდა. იღებს შინაგან ავადმყოფებს სპეციალ. ფილტვების ექიმობა.
ჰავჭავაძის ქ., № 4, ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით, მიღება დილის 8—11 საათ. 4261. 13—1

დავკარგე: ს.კ.პ. (ბ) პარტ-მანდატი № 0864633 პავლე მიქელის-ძე თავაძის სახელზე, ჩ. გ. 4413

დავკარგე: საპენსიო წიგნაკი ეკატერინე მიხეილის ასული ჩიტიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4415

დავკარგე: ლომბარდის ქვითარი № 055098 ჩ. გ. 4417

დავკარგე: პირადობის მოწმობა № 364 ვალიკო ბიქტორის-ძე ლაზავას სახელზე ჩ. გ. 4419

დავკარგე: საკავშირის წიგნაკი იოსებ ისაკის-ძე გოგინაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4419

დავკარგე: სამსახურის სტაჟის მოწმობა გაცემული ფოთის მ. გ. მილიციის სამმართველოს მიერ ერმილე პეტრეს-ძე ჯაფარიძის სახელზე, ჩ. გ. 4419

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.